ჟან შარდენი

მოგზაურობა საქართველოში

თარგმნილი ფრანგულიდან
ვასილ ბარნოვის მიერ

სახელმწიფო გამომცემლობა
1935

91
შ – 25 – მ

ა-1

_____
რედაქტორი: შ. რ ა დ ი ა ნ ი
ტექრედაქტორი: ვ. გ ო რ გ ა ძ ე
კორექტორი: მ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი
გამომშვები: ა. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა
გადაეცა წარმოებას 20/XII – 34 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.II – 35 წ.
ქაღ. ზ. 72 X 105. წიგ. ზ. 5 X 8
მთავლ. რწმ. № ა – 2170
შეკვ. № 809. ტირაჟი 4.000

_____
სახელგამის I-ლი სტ. პლეხანოვის პრ. № 91.

შარდენი და მისი „მოგზაურობა საქართველოში“

გამოჩენილი მოგზაური ჟ ა ნ შ ა რ დ ენ ი, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოზე, დაბადებულა პარიზს 1643 წლის 26 ნოემბერს. წარმოშობით ფრანგი, თავისი სარწმუნოებრივი მიმართულებით იგი პროტესტანტულ ოჯახს ეკუთვნოდა. მამა მისი იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე ყოფილა, ეს ხელობა მას თავისი ვაჟისათვისაც შეუსწავლებია. 1665 წელს ახალგაზრდა შარდენი მამის დავალებით ინდოეთს გამგზავრებულა, იქედან კი სპარსეთს. შაჰის კარზე შარდენმა მიიღო „სპარსეთის შაჰის ვაჭრის“ ტიტული. კარისკაცებთან დაახლოვებამ ფრანგ მოგზაურს საშუალება მისცა ახლო გასცნობოდა სპარსეთის შინაურ ცხოვრებას, პოლიტიკასა და კულტურას. თანამედროვე სპარსეთის ცხოვრებით დაინტერესების ნაყოფი იყო მისი პირველი შრომა: „სპარსეთის მეფე სულეიმან III-ის ტახტზე ასვლის შესახებ“ (პარიზი, 1671). შარდენი საფრანგეთში დაბრუნდა 1670 წლის მაისში.

4 სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შარდენს კარიერის ძიება დაუწყია, მაგრამ კათოლიკური საფრანგეთი ხელსაყრელ პირობებს არ უქმნიდა მოქალაქეს, რომელიც სარწმუნოებით პროტესტანტი იყო და სპარსეთის შაჰის

ვაჭრის ტიტულს ატარებდა. იმედგაცრუებული შარდენი ხელმეორედ გამგზავრებულა 1671 წლის 17 აგვისტოს სპარსეთის შაჰთან ძვირფასი ნივთებით, რომელიც მისთვის თვითონ შაჰ აბას მეორეს დაუკვეთია. შარდენი სპარსეთში კონსტანტინეპოლისა და კავკასიის გზით ჩასულა. მას თან ახლდენ მხატვარი გ რ ე ლ ო (grélot) და მეგზური რ ე ზ ე ნ (Raisin).

სპარსეთ/ში შარდენმა ოთხი წელი დაჰყო. შემდეგ ის გადავიდა ინდოეთს და 1677 წელს დაბრუნდა ევროპაში. მაგრამ შარდენი ჩავიდა ლონდონში და არა კათოლიკურ საფრანგეთში. კარლოს მეორემ ის კარგად მიიღო და 1881 წლის 24 აგვისტოს უბოძა კავალერის (ChevaIier) ტიტული. 1683 წელს შარდენი დანიშნეს ელჩად ჰოლანდიაში და ინგლის-ინდოეთის ამხანაგობის კანტორის მმართველად. 1711 წელს ჟან შარდენი დაბრუნებულა ინგლისში და გარდაცვლილა ლონდონის მახლობლად 1713 წლის 26 იანვარს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში თავისი ხელმეორედ გამგზავრების აღწერა შარდენმა პირველად გამოსცა 1686 წელს ლონდონში. 1711 წელს შარდენის შრომა დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ამსტერდამში ორ გამოცემად: ერთი – ოთხი ტომის მოცულობით, ხოლო მეორე – ათ ტომად. ამ გამოცემის სრული სათაურია: Voyages de Monsieur le cheyaliér Chardin en Perse et autres lieux de I'0rient (ბატ. კავალერ შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში). შემდეგი გამოცემანი დაიბეჭდა 1723, 1735, 1811 წლებში. შარდენის თხზულება თარგმნილია მრავალ ევროპულ ენაზე. ნაწყვეტი პირველი ტომიდან, რომელიც კავკასიის აღწერილობას შეიცავს, რუსულად დაიბეჭდა ტფილისს 1902 წელს, ხოლო ის ნაწილი, რომელიც კერძოდ

საქართველოს ეხება, პირველად იცემა ცალკე წიგნად. ქართული თარგმანი შესრულებულია ცნობილი ქართველი რომანისტის, განსვენებულ ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ი ს მიერ.

*

* *

შარდენის „მოგზაურობა“ წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს მე-17 საუკუნის ისტორიის შესასწავლად. მიუხედავად მრავალი მძიმე შეცდომისა, რომელიც შარდენის აღწერაში გვხვდება და რომელთა შესახებ ქვემოდ გვექნება საუბარი, „მოგზაურობა“ მაინც წარმოადგენს უაღრესად საინტერესო თხზულებას ევროპულ მოგზაურობათა ლიტერატურიდან. შარდენის აღწერილობა უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თავისი სისრულით და მკითხველს საშუალება აქვს ფართო წარმოდგენა იქონიოს მოგზაურის ნახულისა და გაგონილის შესახებ. მე-13 – 17 საუკუნეების ისეთი მოგზაურნი, როგორიც იყვნენ მ ა რ კ ო პ ო ლ ო, კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი, ვ ა ს ი ლ ი გ ა გ ა რ ა, პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ა ვ ა ლ ე და სხვანი – საკმაო სიძუნწით აგვიწერდენ თანამედროვე საქართველოს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მე-17 საუკუნის კათოლიკე მისიონერთა, ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ა და ზ ა მ პ ი ს, შრომები, რომლებიც მრავალმხრივ საინტერესო ისტორიულ-ეტნოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან საქართეელოს ერთი კუთხის – სამეგრელოს შესახებ. მაგრამ ლამბერტიმ და ზამპიმ ათეული წლები გაატარეს საქართველოში და ისინი მოგზაურებად ვერ ჩაითვლებიან; ამასთანავე – მათი შრომების გეოგრაფიასთან შედარებით ჟან შარდენის „მოგზაურობის“ არე უფრო

ვრცელია: თავის აღწერის საგნად მოგზაურს გაუხდია, როგორც ლევან დადიანის სამეგრელო, ისე იმერეთი და შაჰნავაზის დროინდელი ქართლი. მისი აღწერილობა იძლევა ძვირფას ცნობებს კათოლიკე მისიონერებსა და მეჩვიდმეტე საუკუნის ტფილისზე.

მაგრამ შარდენის „მოგზაურობა“ არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. ასეთი მოვლენა საზოგადოა მსგავსს თხზულებებში. ევროპიელ მოგზაურთა შრომებში შემჩნეული შეცდომები გამოწვეულია უმთავრესად ორი გარემოების წყალობით:

1. აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული წარსულისა და კულტურის არ ცოდნით.

და 2. ევროპიელის მიერ წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისით იმ ერებზე, რომელთა კულტურული ფიზიონომია იმ დროს უცნობი იყო დასავლეთისათვის

ამ მიზეზებმა გამოიწვიეს შეცდომები შარდენის სა-

მგზავრო დღიურში და ამიტომაც ცნობილი მოგზაურის გადმოცემასა და აღწერაში ბევრი არა სწორი ცნობა გვხვდება.

ჯერ მოკლედ შარდენის თანამედროვე საქართველოს ისტორიული ვითარების შესახებ.

ჟ. შარდენი საქართველოში ჩამოდის მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში *). ის ზღვის გავლით მიადგა სამეგრელოს, რომელიც იმ დროს აწიოკებას განიცდიდა ოსმალთა მიერ. თვითონ შარდენი დაწვრილებით აგვიწერს სამეგრელოს დარბევას და თავის თავგადასავალს. რასაკვირველია ასეთ პირობებში არც იყო მოსალოდნელი გადაჭარბებული თავაზიანობის გამოჩენა უცხოელი ვაჭრისადმი. აკი თვითონ შარდენიც მიდიოდა მთებ-

*) შარდენი საქართველოში ჩამოვიდა 1672 წლის სექტემბერში.

ში გასახიზნად, ბინებიდან აყრილ მეგრელებთან ერთად, ოსმალთა სამეგრელოში შესევის დროს? ის შეძრწუნებული იყო მცირეწლოვან ბავშთა უნუგეშო მდგომარეობით ასეთ არა სასიამოვნო მოგზაურობისას. მიუხედავად ამისა, შარდენი ველურებად ნათლავს მეგრელთა ტომს, მისდამი ზოგიერთ შემთხვევაში მართლაც უტიფარი მოპყრობის გამო. მაგრამ, ვიმეორებ, პარიზელი ჯენტლმენის თავაზიანობა არ მოეთხოვებოდა აწიოკებული კუთხის ბინადართ.

შარდენის მოგზაურობის დროს ქართლში მეფობდა გამაჰმადიანებული ქართველი – ვახტანგ V მუხრანის ბატონი, შაჰნავაზად წოდებული (1658 – 1675), რომელიც სპარსეთის შაჰის ვასალად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, ეს მეფე ფარულად მართლმადიდებლობას აღიარებდა, ხოლო ოფიციალურად მუსლიმანურ რიტუალებს იცავდა თავის სასახლეში. აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი საფრთხე მოელოდა უმთავრესად სპარსეთიდან და მეფე იძულებული იყო ძლიერი მეზობლის ძალას დაჰმორჩილებოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის მხრით. ქვეყნის ასეთი მდგომარეობა თავისებურ დაღს ასვამდა ქართველების შინაურ ცხოვრებას, მორალსა და კულტურას. სპარსული უზნეობისა და აღვირახსნილობის სენი თანდათან ვრცელდებოდა, ფეოდალური არისტოკრატია იძენდა მისთვის უცხო ზნეჩვეულებებს. მეორეს მხრით შაჰნავაზის სპარსელი პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილ ფეოდალების (მაგ. ცნობილ

ზაალ ერისთავის) ბრძოლები ასუსტებდენ საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, მიუხედავად იმისა, რომ შაჰნავაზი საკმაოდ გამოცდილი და ჭკვიანი მმართველი იყო.

ამრიგად, შარდენის დროინდელი საქართველო ვერ დაუხვდებოდა ევროპელ მოგზაურს იმ თავაზიანობით, რომელიც პარიზელის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა. სავსებით გასაგები მიზეზების გამო ზოგიერთი უსიამოვნობა მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. ამას თან ერთვოდა კავკასიელებზე წინასწარ გამომუშავებული შეხედულება, რომელიც შარდენს მოუსვენარს გრძნობას ჰგვრიდა საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობისას: შეშინებული ძარცვის მოლოდინით და იმ აზრით, თითქოს ველურთა შორის იმყოფებოდეს, შარდენი იძულებულია ყალბი წარმოდგენა იქონიოს ხალხის კულტურული დონისა და ზნეჩვეულებების შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შარდენს თან ახლდენ კათოლიკე მისიონერები, რომელნიც (ზამპის გამოკლებით) ნაკლებად განათლებული იყვნენ და მოგზაურს ხშირად არა სწორ ცნობებს გადასცემდენ. ეს მჟღავნდება ისეთი დეტალებით, როგორიცაა მაგ. ტფილისის ზოგიერთი ეკლესიის სახელწოდებათა განმარტებანი. მართალია, შაჰნავაზის სასახლეში ის ნაწილობრივ გრძნობს კიდეც სულ სხვა სტილსა და კულტურას, მაგრამ პარიზელი პროტესტანტის შეხედულება ქართველებზე მაინც არ შეცვლილა მეფის სასახლეში მიღებული იშვიათი წესრიგისა და მორთულობის ნახვით. ქართველი ქალების სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებას მოგზაური არ მალავს, მაგრამ მათ ბევრ უარყოფით თვისებასაც მიაწერს.

ამიტომაც მე-17 საუკუნის საქართველოს თავისებური ისტორიული ვითარება მარტო როდი ჩაითვლება იმის მიზეზად, რომ შარდენის აღწერილობა ხშირად ქართველთა უარყოფით დახასიათებას შეიაცავს.

შარდენის „მოგზაურობა“-ში მკითხველი ადვილად შეამჩნევს აგრეთვე ერთს დამახასიათებელ მომენტს ოდ-

ნავ ძუნწი, თავისი პროფესიით გატაცებულ, იუველირის დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი. „სპარსეთის შაჰის ვაჭრის“ ხასიათში უთუოდ იყო მერკანტი-

ლისტური მიდრეკილებანი: ასე, მაგ., შარდენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან საჩუქრები მიართვა სამეგრელოში მთავარს დადიანს და მის მეუღლეს, ხოლო ტფილისში – საქართველოს მეფეს, შაჰნავაზს. ყოველივე ამას მოგზაური აღნიშნავს ფარული დანანებით, თუმცა სამეგრელოს მთავრისა და საქართველოს მეფისათვის მისი საჩუქრები არც ისე დიდი ღირებულებისა უნდა ყოფილიყვნენ. თავის მხრივ შარდენი იუველირისა და მუშტრის თვალით უცქერის იმ ნივთებს, რომლებსაც შაჰნავაზის სასახლეში ხმარობენ ნადიმობის დროს. და არაა გასაკვირალი, თუ მოგზაური არ იშურებს გადაჭარბებულად დამამცირებელ ეპიტეტს მეგრელებისადმი, როცა ამ უკანასკნელთ მისი ნივთების უმნიშვნელო ნაწილი მიაქვთ.

ჩვენ აქ არ გამოვეკიდებით ცალკე დეტალებს, რომელნიც ამხელენ მოგზაურის აღწერილობის ზოგიერთს ნაკლს. საშუალო ცოდნის მკითხველი თვითონვე შეამჩნევს იმ შეცდომებს, რომელსაც შარდენი უშვებს გეოგრაფიული ადგილების დასახელებისა და დახასიათების დროს (მაგ. შარდენს ჰგონია, თითქოს მტკვარი ერთვის არაქსს). მიუხედავად ზოგადი და კერძო ხასიათის შეცდომებისა, ჟან შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“ უაღრესად საინტერესო თხზულებას წარმოადგენს. კერძოდ ტფილისის აღწერილობა იძლევა საქართველოს დედაქალაქის ყველაზე უფრო სრულს სურათს მე-17 საუკუნეში. „მოგზაურობა“ ძვირფას ცნობებს შეიცავს შაჰნავაზისა, მისი სასახლისა და კათოლიკე მისიონერთა ორდენების შესახებ.

აკ. გაწერელია.

მოგზაურობა საქართველოში

10 სექტემბერს ისგაურში *) მოვედით. ისგაური არის სამეგრელოს ნავთ-საყუდელი და საკმაოდ კარგია ზაფხულობით. იქ დგებიან ხომალდები, რომელნიც კოლხიდაში მოდიან სავაჭროდ, როცა ჩვენ მოვედით იქ შვიდი დიდი ხომალდი იდგა. ჩვენმა ნავის უფროსმა დააბმევინა ხომალდი ოთხი ღუზით და დააშვებინა ანძები. ისგაური უდაბური და უკაცური ადგილია. ვაჭრები იქ თუ აფხაზების არ შეეშინდათ წნორის ქოხებს აკეთებენ. საშიშროება კი იქ ყოველთვის არის. ამ ქოხების გარდა იქ სახლებს ვერ ნახავთ.

კოლხიდა მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე. აღმოსავლეთით მას საზღვრავს პატარა სამეფო, რომელიც შეადგენს საქართველოს ნაწილს და რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი იმერეთს უწოდებენ. სამხრეთით მას საზღვრავს შავი ზღვა, დასავლეთით აფხაზეთი, ჩრდილოეთით კავკასიის მთები. მისი სიგრძე ზღვიდან მთებამდის წვდება და სიგანე აფხაზეთიდან იმერეთამდის. მის საზღვრებს შეადგენენ კორაქსი და ფაზისი – ძველი ისტორიკოსების სახელოვანი მდინარეები, რომენლნიც ახლა კოდორად და რიონად იწოდებიან. პირველი ჰყოფს კოლხიდას და აფხაზეთსა, მეორე კოლხიდას და იმერეთსა. კოლხიდის სიგრძე ას ათ ეჯზე **) მეტია. ეს მე ვიცი

*) მდინარე ნაბადას შავი ზღვის შესართავთან მდებარე დღევანდელი ყულევი.

**) ეჯი უდრის სამ მილს.

არა მარტო იქაურ მცხოვრებლებისაგან გაგონებით, არამედ მე თვითონ ერთი კუთხიდან მეორემდის დამივლია ეს მხარე. კოლხიდას ერთ დროს ჩრდილოეთის მხრივ სამოცი ეჯის სიგრძის კედელი ჰქონდა აფხაზეთითგან სა--ფარად, მაგრამ დიდი ხანია, რაც ეს კედელი დაინგრა. ახლა ტყეებია მისი დამცველი და უდიდესი იმედი კავკასიის მცხოვრებნი შეადგენენ იმ მეომარ ხალხს, რომელნიც ეგრე განთქმული არიან ჰუნების სახელით, და რომელნიც ახლა რამდენიმე პატარ-პატარა ტომებად არიან

დაყოფილი.

. . . . . .

როდესაც ჩვენი ხომალდი დადგა ისგაურის ნავთსაყუდელში, მე და ერთი ვაჭარი ბერძენი, რომელიც თან მომდევდა, გავედით ნაპირზე. იმედი მქონდა, ვიპოვიდი იქ სახლს, რაიმე ხორაგს და დახმარებას. ეს იმედი არ იყო მთლად უსაფუძვლო, რადგან შვიდ ხომალდს ვხედავდი ნავთსადგურში. ძლიერ მოვტყუვდი: იქ მე ვერაფერი ვერ ვიშოვე. ისგაურის მიდამო მთლად ტყით არის შემოსილი. ნაპირიდან ას ნაბიჯზე გამართულია მოედანი, რომელსაც უჭირავს სიგრძით 250 ნაბიჯი და სიგანით 50 ნაბიჯი: ეს არის სამეგრელოს დიდი ბაზარი. გარდა ამისა აქ არის ქუჩა, რომლის ორივე მხარეზედ გამწკრივებულია ასიოდე წნული ქოხი. თითო ვაჭარი იჭერს თითო ქოხს, ბინავდება შიგ და იქვე მართავს დუქანს, სადაც აწყობს მხოლოდ იმდენ საქონელს, რამდენის გა-

ყიდვაც შეიძლება ორ-სამ დღეში. იქვე ნაყიდ საქონელს
და ისეთ სავაჭროს, რომელიც მალე ვერ გაიყიდება, ხო-
მალდში ინახავენ, რადგან ნაპირზე შიშიანობაა. ბაზარ-
ში სხვა არაფერი არ არის. არც ერთი გლეხის სახლი არ
არის ახლო-მახლო. ჩემმა ეტიკმა *) დააბარა ბაზარში

*) ეტიკი – გზის მცოდნე.

მოსულ გლეხებს, რომ მეორე დღეს ღომი მოეტანათ;
გლეხები დაგვპირდნენ, მაგრამ არ შეგვისრულეს დაპი-
რება.

მე ძლიერ გავკვირდი და შევწუხდი როდესაც იქ ვე-
რავითარი საზრდო ვერ ვიპოვე საყიდლად, რადგან ჩვე-
ნი საგზალი კიდეც თავდებოდა. ბაზარში ვნახე მხოლოდ
გასაყიდად შებორკილი მონები და რამდენიმე ტიტველი
კაცი მშვილდ-ისრით ხელში, რომელთაც ხალხი უფრთ-
ხოდა. ესენი მებაჟეები იყვნენ. უფრო შევწუხდი და მე-
წყინა, როდესაც გავიგე, რომ ოსმალოები და მთავარი
გურიელი შესულიყვნენ ჯარებით სამეგრელოში, დაეწ-
ყოთ ომი, ცარცვავდნენ თავიანთ მეზობლების სახლებს,
იტაცებდნენ ხალხს და პირუტყვს, სადაც კი მოასწრებ-
დნენ.

დიდი იმედი მქონდა სამეგრელოში მყოფ მონოზნე-
ბის – თეატინებისა. მეგონა, იმათ ექნებოდათ სახლი, სა-
დაც შეიძლებოდა უშიშრად დაბინავება, და მალეც გა-
მისტუმრებდენ სპარსეთში. მათი სახლი იყო ისგაურიდან
ხმელეთით 40 ეჯზე, ზღვით 55 ეჯზე. გავგზავნე კაცი
მისიონერების უფროსთან და გავატანე წერილი. წერი-
ლით ვაცნობე, რომ მე სამეგრელოში ვარ, საჭირო საქ-
მეებისთვის სპარსეთში მივდივარ და ჩემ შესახებ მასთან
წერილები მაქვს საფრანგეთის ელჩისა, გენუის რეზიდენ-
ტისა, საბარძნეთის კაპუცინების წინამძღვარისა და კონ-
სტანტინოპოლელ თეატინების ვექილებისაგან. დაბეჯი-
თებით ვთხოვე გამოეგზავნა ისეთი ვინმე, რომელსაც შე-
ეძლო მოეცა საჭირო ცნობები ჩემი მოგზაურობის შესა-
ხებ. მინდოდა ფულით დამექირავებინა შიკრიკი, მაგრამ
ფულის მაგიერ ტილო მომთხოვეს. ჩემი ეტიკი გაურიგ-
და ორ თოფ ლურჯ ტილოდ იმ პირობით, რომ შიკრიკი
ორ დღე ნახევარში უნდა დაბრუნებულიყო უკან. ეს ორი

თოფი ტილო კაფფაში ორ ფრანკად ღირს. მე ძალიან დაღონებული და შეწუხებული დავბრუნდი ხომალდზე, რადგან თურმე ისეთ ქვეყანაში მოვსულვარ, სადაც არავითარი ხორაგი არ იყო გასაყიდი, ფული არ გადიოდა და სახლიც არ იშოვებოდა, რომ კაცს თავი შეეფარებინა. მე ეს მწუხარება არავისთვის გამიმჟღავნებია, არც ამხანაგისთვის, არც მსახურებისათვის. მხოლოდ ის კი ვუთხარი, რომ თუმცა აღმითქვეს სურსათის მოტანა, მაგრამ მაინც კარგი იქნება, რაც შეიძლება დაზოგვით ვიხმაროთ ის ხორაგი, რომელიც ხელთა გვაქვს.

როგორცა ვთქვი, ომი იყო სამეგრელოში და ომიანობის ხმამ მაინც არ დაუშალა ჩვენს ხომალდზე მყოფ ვაჭრებს გადაბარგება ხმელეთზე. მეორე დღეს, განთიადისას, ისინი გავიდნენ ზღვის ნაპირას, დაიჭირეს ქოხები და გაიტანეს სავაჭრო.

. . . . . .

4 ოქტომბერს, დილით, დაბრუნდა ჩემგან გაგზავნილი კაცი და თან უფროსი მოიყვანა. უფროსი თავის თავს დონ-მარი-ჟოზეფ-ზამპს ეძახდა. მივეგებე, მივესალმე და ვკითხე. აი რა მითხრა მან პირველადვე: ღმერთმა შეუნდოს, ბატონო, იმათ, ვინც თქვენ აქ მოსვლა გირჩიეს; ბოროტი რჩევა მოუციათ. თქვენ მოხველით იმისთანა ქვეყანაში, რომელსაც სიავით და ბარბაროსობით სხვა ქვეყანა არ შეედრება დედა-მიწის ზურგზე. უმჯობესი იქნება დაბრუნდეთ კონსტანტინოპოლშივე დაუყოვნებლივ, თუ შემთხვევა მოგეცეთ“. რამდენადაც ამ უფროსის ნახვამ გაგვახარა, იმდენად მისმა სიტყვებმა დაგვაღონა. წავიყვანე ქოხში და იქ, ჩემ ამხანაგათან მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა უნდა გვექნა.

მე ვუთხარი, რომ მფარველობის წერილი გვაქვს სამეგრელოს მთავართან. მან მომიგო, რომ ეს მთავარი ისე-

თივე ავი სული, დიდი ავაზაკი და ნამდვილი მცარცველია, როგორც მისი ქვეშევრდომები და გვიამბო შემდეგი: „სამი წლის წინათ მე დავბრუნდი იტალიიდან და მოვუტანე მდიდარი საჩუქრები მთავარს, მის ცოლს, ვეზირსა და უპირველეს კარის კაცებს და ასე დავურიგე იმათ თითქმის მთელი ჩემი ქონება. მაგრამ მთავარს მაინც ვერ ვაამე: მომისია კაცები და რაც შევინარჩუნე ისიც წამართვა, თუმცა მე მთვარისა და ყველა წარჩინე-

ბულის ექიმი ვიყავი, მაგრამ ვეზირმა მაინც ჩამაგდო სა-
ტუსაღოში ჯაჭვით ყელზე და შებორკილი, რომ ჩემთვის
ფულები წაერთმია და მხოლოდ მაშინ დავაღწიე თავი
იმ აფთარს, როდესაც ორმოცი ეკიუ *) მივეცი. ამას გე-
უბნებით, ბატონებო, დაასრულა სიტყვა უფროსმა, არა
იმიტომ, რომ უკან დაგაბრუნოთ, არამედ იმიტომ, რომ
გაგაგებინოთ, რა ხიფათში აგდებთ თქვენს თავს სამეგ-
რელოში მოსვლით. თუ მაინც არ დაიშლით აქ, სამეგ-
რელოში, ყოფნას, მე ჩემის მხრით ყოველ ღონისძიებას
ვიხმარ მშვიდობიანად შეგინახოთ, მფარველობა გაგი-
წიოთ თქვენცა, თქვენს ქონებასაც და უვნებლად გაგი-
სტუმრობა სპარსეთში“.

მე იმის შიში ფიქრადაც არ მქონდა, რასაც იგი გვე-
უბნებოდა. ბოროტი, რომლითაც ის სამეგრელოში გვა-
შინებდა, მერმისის საქმე იყო და იმედი მქონდა, არ ვიცი
კი რისი, რომ თავის დროზე ავიცილებდი იმ სიბორო-
ტეს. მე მაწუხებდა დღევანდელი დღე, რომ საჭმელ-სა-
სმელი გვაკლდებოდა; იმითი მქონდა გონება მოცული
და გული დაჩაგრული. მე მოვახსენე ზამპის, რომ რაც
უნდა გაჭირვება მოგველოდეს სამეგრელოში, მაინც ნა-
კლები იქნება იმაზე, რა გაჭირვებასაც ვნახავთ, თუ კაფ-

*) ეკიუ (ფრ. ecu) ძველებური ფრანგული ოქროს და ვერ-
ხლის ფული (3 ფრანკი).

ფაში დავბრუნდით და იმ გაჭირვებას უსათუოდ თანაც
გადავყვებით. მე ვაცნობე ზამპის, რომ აღარ გვქონდა
საჭმელი; ხომალდი, რომელზედაც ვიყავით ჩვენ, ძველი
იყო და დღითი-დღე უფრო-და-უფრო ივსებოდა ორივე
სქესის და ყოველი ჰასაკის მონებით ისე, რომ საძრაობა
აღარ იყო: დილიდან საღამომდის ხომალდზე მიდი-მო-
დიოდა მრავალი აფხაზი და მეგრელი, რომელნიც ხო-
მალდს მკბენარით ავსებდენ და ისეთ სიმყრალეს ავრცე-
ლებდნენ, რომ შეიძლებოდა ჟამი გაჩენილიყო. გარდა
ამისა, ხომალდი ორ თვეზე ადრე ვერ წავიდოდა კაფფას,
რადგანაც ქართა ბერვის დრო იყო, შავი ზღვა ძლიერ
ღელავდა და საშიში იყო მაზე სიარული. ვთქვათ, მი-
ვაღწიეთ კიდეც კაფფას და, თუ გნებავთ, კონსტანტი-
ნოპოლსაც, – ეს ოთხ თვეზე ადრე არ შეიძლება, რომ-
ლის შემდეგ მაინც მოგვინდება ხელახლა მოგზაურობის
დაწყება, ე. ი. ოსმალეთზე გასასვლელი გზის მოძებნა;
ხელახლა უნდა ვითმინოთ ოსმალოების უსამართლობა და
მათი მებაჟეების უზრდელი ქცევა. ამდენ მოგზაურობა-

ში ჩვენ იმდენჯერ ჩავვარდებით განსაცდელში, რომ სჯობს რაც მოგვივა, ისევ სამეგრელოში მოგვივიდეს; აქ განსაცდელი მაინც არ იქნება დიდი და ჩვენი მოგზაურობაც არც ამდენი ხანი გაგრძელდება; აქედან მხოლოდ ოთხი დღის სავალია მშვიდობიან ქვეყნამდის.

ზამპიმ არც ერთ ჩემს მოსაზრებაზე არა სთქვა უარი. ჩვენს მისვლას თვითონ მისთვის და მისი სახლისთვის მხოლოდ სიკეთის მოტანა შეეძლო. ახლა ის მარტო იმაზე ლაპარაკობდა, როგორ გამოვეყვანეთ ხომალდიდან და თავისთან წავეყვანეთ. ნავი, რომლითაც ჩემმა კაცმა ზამპი მოიყვანა, ფილუგასავით გრძელი იყო, მაგრამ უფრო განიერი და ღრმა. ჩვენ ჩავსხედით ნავში ჩვენის ბარგით და ასი ეკიუს ფასის საქონელით, რომელიც ხომალდ-

ზე ვიყიდეთ. ზამპიმ გვიყიდა; მე მას ვთხოვე ეყიდნა, რადგან მან იცოდა თუ რას ჰქონდა გასავალი სამეგრელოში, სადაც როგორც ვთქვი, ფული მხოლოდ ისე გადის, როგორც სხვა რაიმე სავაჭრო. ჩვენ შუადღემდის გავათავეთ ჩვენი საქმე და მაშინვე გავემგზავრენით.

შუაღამე იყო, როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედით. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. ეს სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია. ჩვენ დავდექით იქ და გავუგზავნეთ ანარგიაში *) ჩვენი ნავის ორი მსახურთაგანი შიშიანობის გამოსარკვევად. ეს სოფელი ზღვიდან ორი ვერსტით არის დაშორებული და შესანიშნავი ადგილია სამეგრელოში. სოფელში ასი კომლია, მაგრამ სახლები ისე დაშორებულია ერთი მეორისაგან, რომ ერთიდან მეორემდის მანძილი ორ ეჯს უდრის. ამ სოფელში ყოველთვის იმყოფებიან ოსმალოები, რომლებიც ყიდულობენ მონებს და აგრეთვე ნავებსაც მონების გადასაყვანად. ამბობენ, რომ ის იმ ალაგას არის გაშენებული, სადაც ოდესმე იყო დიდი ქალაქი სახელად ჰერაკლე.

5 ოქტომბერს, გათენებისას, ჩვენი გაგზავნილი მენავეები მოვიდნენ; მოგვიტანეს ამბავი, აფხაზები არ დასცემიან ანარგიის მიდამოს, ისინი თხუთმეტ ეჯზე არიან ამ სოფლიდანო. ზამპიმ ააჩქარებინა ნავი, რომ ქალაქში ადრე მივსულიყავით და ყველაფერი გადაგვეტანა ნავიდან ისე, რომ არავის არ შევენიშნეთ. როგორც გვინდოდა ყველაფერი ისე შევასრულეთ. ძალიან ხალვათად დავბინავდით ერთ გლეხისას. ბევრი ყუთები გვქონდა; ყვე-

ლაზე დიდი ყუთი წიგნებით იყო სავსე. ზამპიმ მირჩია, როცა დავბინავდებოდით გამეხსნა ეს ყუთი და ყველა-

*) ანარგია – ანაკლია.

ფერი ამომელაგებინა, ვითომდა ვეძებდი რასმე, ეს იმიტომ, რომ ხალხი რომლებთანაც მივედით დარწმუნებულიყო, რომ სხვა ყუთებში საუნჯე რამ არ არის და ზამპისაც დაეჯერებინა ისინი, რომ ჩვენ ბერები ვართ და წიგნების მეტი არა გვაქვს რა. მე მივიღე ეს რჩევა და კარგიც ვქმენ. სახლში მყოფნი გაჰკვირდნენ როცა ასეთ ყუთში წიგნების მეტი ვერა ნახეს-რ,ა და მგონი გულიც დააჯერეს.

სანამ ანარგიაში ვცხოვრობდით, საჭმლის ნაკლებობა არ განგვიცდია. აქ შინაური ფრინველის გარეული მტრედის, ღორისა და თხის შოვნა შეიძლებოდა. ჩემი მსახურები ყველაფერს ამას სცვლიდნენ ტილოსა, ნემსებსა, მელანსა, სავარცხლებსა და დანებზე. ხორაგი საკმაოდ იაფი იყო, ღვინო მრავალი: რთველი ჰქონდათ მაშინ, მხოლოდ პური-ღა მაკლდა.

მ. ზამპიმ მე კაპუცინად გამომაცხადა. ის ამბობდა, რომ ვითომ მე იმ კაპუცინების საძებრად ჩამოვედი, რომელნიც იყვნენ საქართველოში და სხვა ტანისამოსით იმიტომ ვიყავ შემოსილი, რომ ოსმალოებს არ შეეტყოთ და უფრო ადვილად გამომევლო მათი ქვეყანა. ხალხის ამაში უფრო დასარწმუნებლად, ზამპიმ დამარიგა ღარიბულად შევმოსილიყავ და ყოველ შემთხვევაში ღარიბად მეჩვენებინა თავი. მე საკმაოდ კარგად ვასრულებდი ზამპისაგან შემოკვეთილს, მაგრამ ჩემი მსახურების ყოფაქცევა კი მამჟღავნებდა. ისინი ხელს მიშლიდნენ იმით, რომ სასმელ-საჭმელს ბევრსა და უხვად ყიდულობდენ. რასაც კი საჭმელს ნახავდენ ყველაფერს ყიდულობდენ, რაც უნდა ღირებულიყო და რა ფასიც უნდა ეთხოვნათ. ამით იმ დანაკლისის ამოვსება უნდოდათ, რომელიც გამოიარეს. ეს ხარჯი აგრძნობინებდა ხალხს, რომ მე ისე ღარიბი არ ვიყავი, როგორათაც თავს ვაჩვენებდი.

2

გათენებას ჯერკიდევ ორი საათი აკლდა, როცა 14-ს

ანარგიიდან გავემგზავრენით. გავიარეთ ორი ეჯი ასტოლფის აყოლებით, მერე გადმოვაბარგეთ ჩვენი ხაბაკი და დავაწყეთ ექვს პატარა ურემზე. სხვა ორი ურემიც დატვირთული იყო სურსათით, რომელიც მამა ზამპიმ იყიდა. ამ რვა დაბარგულმა ურემმა საშინელი ხმა დაგვიყარა. სამეგრელოში ამდენი ქონების ერთად ნახვას ჩვეულნი არ არიან. ორმა დღემაც არ გაიარა, რომ მთელმა მხარემ გაიგო, მოვიდნენ ევროპელნი, რომელთაც რვა სავსე ურემი ბარგი აქვთო. ამ ახალ ამბავს დაწვრილებით ლაპარაკობდენ და ამან, როგორც გიამბობთ ბევრი უსიამოვნობა მოგვაყენა. გავიარეთ ხმელეთით ოთხ ეჯ ნახევარი და მზის ჩასვლისას მივედით სიპიაში.

სიპია ორი პატარა ეკლესიის სახელია; ერთი მათგანი მეგრელებისაა და მეორე თეატინებს ეკუთვნის. თეატინების ეკლესიას დიდი გალავანი აქვს და ამ გალავანში სდგას ორივე ეკლესია. გალავანში რამდენიმე ხის სახლია აშენებული იმ გვარი, როგორსაც აქ აშენებენ: ზოგი ორსართულიანი, ზოგი ერთსართულიანი. თითო ბერს თითო ამისთანა სახლი ა ქვს სადგომად, ისე რომ ისინი მთლად განცალკევებულნი არიან. სულ პატარა სახლები სავსეა მათი მონებით და ორი კომლი გლეხით, რომელნიც მათი ყმანი არიან.

თეატინები სამეგრელოში 1627 წელს მოსულან. ისინი აქ მიუღიათ, როგორც ექიმები. მაშინდელი სამეგრელოს მთავარი ძლიერი იყო. მას მოახსენეს, რომ სასარგებლო იქნებოდა მისი ქვეყნისათვის, თუ ნებას მისცემდა ეცხოვრა იქ ისეთ ხალხს, რომელმაც იცის მკურნალობა და სნეულებისაგან მორჩენა ადამიანისა. მთავარმა მი-

იღო თეატინები, მისცა სახლი, მიწები და რამდენიმე გლეხი ამ მიწების დასამუშავებლად.

18-ს სამეგრელოს დედოფალი მობრძანდა თეატინებთან. პრეფექტი საჩქაროდ მიეგება დედოფალს. დედოფალი ცხენზე იჯდა; მის ამალაში რვა ქალი და ათიოდე ქვეითი კაცი იყო. კაცები მის ცხენს ერტყნენ გარს. ამალა ძალიან ცუდად იყო ჩაცმული და შეიარაღებული. დედოფალსაც გაეგო, ვითომ თეატინებს სურსათი მოსვლიაო, რომელსაც ყოველ წლობით იღებენ სტამბოლიდან და უბრძანა პრეფექტს: შენთან მოსულან ევროპელები, რომლებსაც დიდი ბარგი მოუტანიათ, მე ეს ძალიან მესიამოვნა, მსურს ვნახო ისინი და მოულოცო მშვიდობით მოსვლაო. მე დამიძახეს; მითხრეს დედოფალს

გამოეგებეო. მ. ზამპიმ მითხრა ძღვენი მიართვიო: ჩვეულებაა აქ, ძღვნით დახვდენ მთავარსა და დედოფალს, როცა მიბრძანდებიან სადმეო. მე შევევედრე დედოფალს და ვსთხოვე: – კეთილინებეთ, ცოტა ხნით მომითმინეთ სასახლეში მოგართმევთ ძღვენს. დედოფალმა შეიწყნარა ჩემი თხოვნა. მოახსენეს, რომ მე ოსმალური და სპარსული ვიცი; მან მოაყვანინა მონა, რომელმაც კარგად იცოდა ოსმალური და დაწვრილებით გამომკითხა, ვინა ვარ, სადაური ვარ და სად მიმგზავრია.

19-ს დილით დედოფალმა კაცი გამომიგზავნა და სადილად მიმიწვია. სადილზე ჩემთან ერთად იყვნენ მ. ზამპი და ერთი სხვა თეატინი. დედოფალი ცხოვრობდა მხოლოდ ორი ეჯის მანძილზე ჩვენგან. მთავართან არ ცხოვრობდა, რადგან მთავარი ვერ ეთვისებოდა თავის მეუღლეს და ჭირივით ძულდა იგი; ეს ქალი მას ძალად შეერთო.

დედოფალი ამ დღეს უფრო კარგად მორთული ვნახე, ვიდრე წინა დღეს იყო; ფერ-უმარილი წაესვა და ძა-

ლიან ცდილობდა ლამაზი გამოჩენილიყო; ოქრო-ქსოვილი ფარჩის ტანისამოსი ეცვა და თავსაფარი ძვირფასი ქვებით ჰქონდა მორთული; მისი პირბადე კარგი და მშვენიერი რამ იყო. ხალიჩაზე იჯდა, გვერდით ცხრა თუ ათი მოდარბაზე ქალი უსხდა. მისი საკუთარი სეფე-ქალები, როგორც თქვეს, ომიანობის გამო გახიზნულები ყოფილან. დარბაზი სავსე იყო თითქმის ნახევრად ტიტველი ხალხით, რომელნიც მის ამალას შეადგენდენ. ჯერ ვიდრე სახლში შემიშვებდნენ, მომთხოვეს დედოფლისთვის მიტანილი ძღვენი; ერთ ჩემ მსახურს მოჰქონდა ეს ძღვენი და გადასცა კაცებს. ძღვნად მივართვი აბრეშუმის ბაბთები, ქაღალდი, ნემსები, დანის ქარქაშები და საკმაოდ ლამაზი საჭრელი იარაღი. ეს ყველაფერი ღირდა ოც და სამი, ანუ ოც და ოთხი ფრანკი. მაგრამ სამეგრელოში კი სამოცზე მეტი ღირდა. დედოფალი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ საჩუქრით; შემიყვანეს მის სანახავად. დედოფლის ახლოს სკამი იდგა, რომელზედაც ოსმალურის მცოდნე მონამ მიმიწვია დავმჯდარიყავი. დედოფალმა ჯერ მითხრა: – მე მსურს შეგრთო ცოლად ერთი ჩემი მეგობარი და მინდა, რომ არ წახვიდე ჩემი ქვეყნიდან; მოგცემ სახლს, მიწებს, მონებს და ყმებს.

სახლი, რომელშიაც დედოფალი ცხოვრობდა, იდგა

ხუთსა თუ ექვს სხვა სახლებს შუა; თითოეული მათგანი ასი ნაბიჯით იყო ერთი მეორეზე დაშორებული; სახლები არც ღობით იყო შემოზღუდული, არც გალავნით. სახ-ლის წინ მოჩანდა ხის ტახტი, სიმაღლით 18 გოჯამდე, პატარა გუმბათით დახურული. ძირს ხალიჩები იყო და-ფენილი. დედოფალი ხალიჩაზე იჯდა, ქალები ისხდნენ ოთხ ნაბიჯზე მოშორებით სხვა ხალიჩებზე. თეატინების-თვის და ჩემთვის ორი სკამი იდგა ამ ტახტის ახლო: ერ-თი დასაჯდომად, მეორე მაგიდის მაგივრად. როდესაც

დედოფალი დაბრძანდა, მსახურმა გაშალა მის წინ გრძე-ლი ჭრელი ტილო და ერთ მხარეზე დააწყო ჭურჭელი: ორი დიდი და ორი პატარა ჭიქა, ოთხი ლანგარი, რვა სხვადასხვა სიდიდის ჯამი, ერთი დიდი ბადია, ერთი ჩამჩა. ეს ჭურჭელი სულ ვერცხლისა იყო. მეორე მსა-ხურმა ამავე დროს ყველას წინ, ვინც კი სუფრას უჯდა, დააწყო ხის ტოტები საინების მაგივრად; ქალების წინაც ეს ტოტები დააწყეს. როდესაც ყველაფერი მოამზადეს, მოიტანეს ორი ქვაბი იდა შუა ალაგას დასდგეს, ერთი ძა-ლიან დიდი იყო, ოთხ კაცს მოჰქონდა, ის ჩვეულებრივი ღომით იყო სავსე; მეორე უფრო მომცრო იყო, და შიგ თეთრი ღომი იყო, ისიც ორ კაცს მოჰქონდა. ორმა სხვა კაცმა მოიტანა ხონჩით მთლიანად მოხარშული ღორი და ოთხმა სხვამ, თითომ თითო დოქი ღვინო. ჯერ დედო-ფალს მიართვეს, მერე ქალებს, მერე ჩვენ, მერე მთელ ამალას. ამას გარდა დედოფალს მიართვეს პინაკი *), რო-მელშიაც ეწყო პური და მწვანილი მადის გასაღვიძებლად, კიდევ ერთი ვერცხლის დიდი ლანგარი მიართვეს, რომელ ზედაც ორი ფრინველი იდვა: ერთი მოხარშული და მე-ორე შემწვარი, ორივე რაღაც საძაგელი საწებლით, რომ-ლის ჭამა სრულებითაც ვერ შევძელ. დედოფალმა გამო-მიგზავნა ცოტაოდენი პური, მწვანილი და შემომითვალა, თუ ვახშმად დარჩები, ხარს დაგიკლავო. ეს მხოლოდ ცა-რიელი თავაზიანობა და მომადლიერება იყო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამოგზავნა ფრინველის ორი ნაჭერი და აკითხვინა: რატომ სამეგრელოში არ მოდიან ის ევრო-პელი ხელოსნები, რომლებმაც ასე მშვენივრად იციან ლითონის, აბრეშუმისა და მატყლის ხელობა და რად მო-დიან მარტო ბერები: ბერები რად გვინდა, ან რისი მაქ-

*) პინაკი – ჯამი.

ნისი არიანო. მე ძალიან გამაკვირვა ამ კითხვამ. დედოფალი ხმა-მაღლა ლაპარაკობდა მეგრულად, მისი მონა ხმამაღლავე მითარგმნიდა ოსმალურად. წარმოიდგინეთ, ამ ლაპარაკის გამო რანაირად შერცხვათ იქ მყოფ თეატინებს. მართალი უნდა ვთქვა, მე ძალიან დავეხმარე მათ; მე მივუგე ჩემ და იმათ მაგივრადაც: – ევროპელი ხელოსნები მხოლოდ მოგებისათვის მუშაობენ, მოგება იქაც საკმაო აქვთ და სხვაგან არ ეძებენ სიმდიდრეს; ბერებს კი ღვთის დიდება და ხალხის ცხონება აინტერესებთ და მხოლოდ ეს დიდი სურვილი აიძულებთ დატოვონ თავიანთი ქვეყანა და ასე შორს წამოვიდნენ.

სადილმა ორ საათს გასტანა. შუა სადილზე დედოფალმა გამოგზავნა ერთი თასი ღვინო და შემომითვალა, რომ ეს ღვინო მისი ღვინოა და თასიც ის თასია, რომლითაც თითონ მიირთმევს. ასეთი პატივი სამჯერ მცა. დედოფალი ძალიან გაჰკვირდა, როდესაც ნახა, რომ მე ღვინოში წყალს ვურევდი და თქვა, თავის დღეში არ მინახავს ესაო. თითონ და მის გვერდით მყოფი მანდილოსნები სვამდნენ წმინდა ღვინოს და საკმაოდ ბევრსაც. სადილის გათავებისას გამომიგზავნა კაცი და აკითხვინა, მოვიტანე თუ არა ევროპიდან სურნელება და ჩინური; ექვსჯერ თუ შვიდჯერ გამომიგზავნა კაცი მხოლოდ ამისთანა რამეების საკითხავად. ამით მივხვდი, რომ ეს ქალბატონი მხოლოდ თავის სარგებლობისთვის მეალერსებოდა. ყველაფერზე, უარი შევუთვალე. ბოლოს გაწყრა და თქვა, – მე მსურს კაცები გავგზავნო შენი ბარგის გასასინჯავადაო. – ნება თქვენი იყოს, შევუთვალე მე. ასეთი პასუხი იმიტომ მივეცი, რომ მეშინოდა, ვაი თუ უარს და წინააღმდეგობას უფრო სიხარბეში შეეყვანა დედოფალი. მეშინოდა, აგრეთვე, არ შეემჩნიათ რა, თავზარი დამცა ამ მუქარამ. ბოლოს დედოფალმა დამამშვიდა: გეხუმრე-

ბიო. მე ვითომ დავიჯერე, მაგრამ როდესაც სადილი გავათავეთ, შევეხვეწე ერთ ჩემთან მყოფ თეატინს სასწრაფოდ წასულიყო, ეცნობებინა ჩემი ამხანაგისათვის დედოფლის სიტყვები და მზად ყოფილიყო ყოველ შემთხვევისათვის.

სახლში ძალიან დაფიქრებული და შეწუხებული დავბრუნდი. დედოფლის სიტყვებმა მეტად დამაღონეს, მე-

შინოდა, სიხარბითა და ან სხვადასხვა მიზეზით რაიმე ბოროტი არ შეემთხვია ჩემთვის. მ. ზამპიმ მითხრა, რომ უსათუოდ ელოდე ყოველსავეო. მე მოვემზადე ამისთვის და მეორე ღამეს მიწაში ჩავფალით ყველაფერი, რაც კი უფრო ძვირფასი რამე გვქონდა. ამოვათხრევინე ერთი თეატინის სახლში ხუთი ფუტის სიღრმე ორმო და ჩავფალ იმაში ძვირფასი ქვებით მოოჭვილი კედლისა და უბის საათებით სავსე ყუთი და ერთიც მარჯნებით სავსე ყუთი. ყუთები ისე ლამაზად იყო ჩაფლული, რომ სრულებით არ ჩანდა ნათხარი მიწა. მერე ამავე აზრით ეკლესიაში წაველ. მ. ზამპიმ მირჩია ამეხადნა ერთი თეატინის სამარე, რომელიც აქ ექვსი წლის წინათ იყო ამოთხრილი, და შიგ შემენახა პატარა ყუთი, რომლის დამალვაც მსურდა. მე ვარჩიე ამომეთხარა ორმო ეკლესიის ერთ კუთხეში კარებს უკან; იქ გავაკებინე, როგორც ოთახში ღრმა ფოსო და ჩავდე ეს ყუთი, რომელშიაც თორმეტი ათასი დუკატი ოქრო იყო. შემდეგ დავმალე ჩემი სახლის სართულზზ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ხმალი და ხანჯალი. სართული ჩალით იყო დახურული. მე და ჩემმა ამხანაგმა ძვირფასი და მსუბუქი ნივთები თავისთან შევინახეთ და, რაც ისე ძვირფასი არ იყო, ის თეატინებს მივაბარეთ.

23-ს გავიგე, რასაც მიპირებდა დედოფალი, როდესაც დამემუქრა, რომ გააჩხრეკინებდა ჩემს ბარგსა. კვი-

რა იყო; დღის ერთი ნაწილი ლოცვაში და სულთქმაში გავატარე, რადგან ვგრძნობდი უბედურებას, რომელიც თავს დამტრიალებდა, ვგრძნობდი განსაცდელს, რომლითაც გარშემოზღუდული ვიყავ და არა მქონდა გზა ამ გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად.

როდესაც ჩვენ ვსადილობდით, შევიდნენ და უთხრეს პრეფექტს, რომ ორი კეთილშობილია კარზე და გეძახიანო. ეს კეთილშობილები იმათი მეზობლები იყვნენ. ისინი ცხენებზე ისხდნენ და ჩაჩქანში იყვნენ ჩამსხდრები და მთლად შეიარაღებულები. პრეფექტს არ გაუკვირდა იმათი ამ სახით და ამოდენა ამალით მოსვლა, რადგან მაშინ ომიანობა იყო. კეთილშობილებმა უთხრეს პრეფექტს, რომ ჩვენ მოვედით შენთან და ახლად მოსულ ევროპელებთან სალაპარაკოდო. ამასობაში ცხენებიდან ჩამოხდნენ. პრეფექტმა დაგვიძახა მე და ჩემ ამხანაგს. ჩვენ გავედით. მე ჯერ ვერ მივხვდი იმათ ბოროტ განზრახ-

ვას, მაგრამ მალე ნეკზე ვიკბინე და ყოველივე გავიგე. მივუახლოვდი თუ არა, მაშინვე შეგვიპყრეს თავიანთ მსახურთა შემწეობით. მე ვუთხარი: ბერები ვართ; მთელი ჩვენი სიმდიდრე წიგნები, ქაღალდები და უბრალო ბარგია; ნუ იხმართ ჩვენზე ძალას და ყველაფერს გიჩვენებთ. ამის მეტი ღონე აღარ დამრჩენიყო, რადგან დაჭერილი და შებოჭილი ვიყავ და რადგან ამ ავაზაკებმა უკვე დაიპყრეს ჩვენი სახლი და ყველა მასში მცხოვრებნი. ამ მოხერხებამ ღვთის მადლით ცოტათი შიშველა: გამიხსნეს ხელები და მითხრეს, გააღე ოთახის კარებიო, ეს ოთახი პირველ სართულში იყო; იმაში მხოლოდ ის იყო, რაც გვინდოდა ენახათ იმათ. ჩვენ, როგორც ვთქვი, თან გვქონდა უძვირფასესი თვლები: ჩემს ამხანაგს ისინი ჩაკერებული ჰქონდა თავის სქელ ტყავით დასარჩულებულ ტანთსაცმლის საყელოში; მე ჩემები გახვეული

მქონდა ორ ბოხჩაში და დამალული ყუთში, რომელშიაც ჩემი წიგნები ეწყო. ვერ გავბედე ისინი თან მქონიყო, რადგან მეშინოდა ან არ მოვეკალით, ან არ გავეცარცვეთ და ან გასასყიდად არ შევეპყარით. მე ერის კაცად მყოფ თეატინს და ჩემს ამხანაგს ვუთხარი, რომ ეს კეთილშობილები ცალკე გაეხმოთ, ლაპარაკით შეექციათ და ცოტაოდენი ფული შეეძლიათ, რომ ამგვარად ჩემთვის მოეცათ დრო, ამომეღო ყუთიდან ეს ორი ძვირფასი ბოხჩა და დამემალა სადმე. იმათ მოახერხეს ეს. შევედი ჩვენს ოთახში და ჩავიკეტე კარი. მხლებლებმა ეჭვი აიღეს ჩემს განზრახვაზე, დაუძახეს ბატონებს და ისინიც მოადგნენ კარებს; ის მაგრა იყო შიგნიდან ჩაკეტილი. მე გავიგონე ჩემი ამხანაგის ძახილი, რომ ჭუჭრუტანებიდან გათვალიერებენ და გაუფრთხილდიო. ამის გამო მაშინვე გამოვიღე ჩემი ორი ბოხჩა ჭერიდან, სადაც ისინი დავმალე, მეშინოდა, ვაი თუ დამინახეს, – ჩავიწყე ჯიბეში და რომ ვნახე, ეს ავაზაკები კარებს ამტვრევდენ, გადავხტი ფანჯრიდან, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. უფრო მცირე გაჭირვებაში, რაც უნდა მოეცათ, ვერ გავბედავდი იქიდან გადახტომას, რადგან თავის სასიკვდილოდ გამომეტება იქნებოდა, მაგრამ შიშისაგან შეპყრობილი კაცი მარტო იმ საგანზე ფიქრობს, რაც მას აშინებს. გავიქეცი ბაღის ბოლოს და ჩემი ბოხჩები ჯაგებში გადავყარე. ისე აღელვებული ვიყავი, რომ კარგად ვერც კი დავათვალიერე ის ადგილი, სადაც ჩავყარე. მაშინვე დავბრუნდი ოთახში და ვნახე, რომ

ოთახი უკვე სავსე იყო მცარცველებითა. ზოგნი ეჭიდე-
ბოდენ ჩემს ამხანაგს, სხვანი თეატინებს უყვიროდენ,
რომელნიც აქ საშველად მოსულიყვნენ, ჩამოგვეცალე-
ნით, თუ გაინძრევით, დაგხოცავთო. შეშინებული პრე-
ფექტი გაიქცა. სხვებმა არ მოისურვეს ჩვენი თავის და-

ნებება და ერთი ერისკაცთაგანი თეატინი – კი ძალიან და-
გვეხმარა: ამან თავი გადასდო ჩვენთვის და, თუმცა ამო-
ღებული ხმალი კისერზე დაადეს, მაინც არ გაგვშორდა.
ჩვენი მსახურები მაშინვე შებოჭეს. ერთ მათგანს სურ-
და წინააღმდეგობა გაეწია და ამოიღო დიდი დანა, რო-
მელიც სარტყელში ჰქონდა გარჭობილი; ამ მოსამსახუ-
რეს შუბი ჰკრეს და წააქციეს მიწაზე, შეჰკრეს და ხეზე
მიაბეს.

მერე ამ ავაზაკებმა გამოგვიცხადეს, რომ სურთ გა-
სინჯონ ჩვენი ქონება. მე მივუგე, – ბატონი ბრძანდე-
ბით, ჩვენ ვართ მხოლოდ ღარიბი კაპუცინები. ზოგნი
კეტებს სცემდენ ჩემს ყუთებს და უნდოდათ – გაეტე-
ხათ. მე ცოტა გული მომეცა, რადგან ვიცოდი, იქ ძვირ-
ფასი არა იყო რა და ვუთხარი, – გაფრთხილებთ, აქ
სპარსეთის მეფისაგან ვარ გამოგზავნილი და საქართვე-
ლოს მეფე გადაგიხდით, რომ ჩემზე ძალას ხმარობთ; ვა-
ჩვენე კიდეც სპარსეთის შაჰისაგან მოცემული ქაღალდი.
ერთმა კეთილშობილთაგანმა აიღო ეს ქაღალდი და მო-
ისურვა მისი დახევა და თანაც თქვა, რომ მას მთელ ქვე-
ყანაზე არავისი არ ეშინია და არც ხათრი აქვს. მეორემ
შეაყენა და დაუშალა: ვარაყით ნაწერმა და მოოქრულმა
ბეჭედმა იმოქმედა მაზე. მან მითხრა თარჯიმნის შემწე-
ობით, რომ გამეღო ყუთები და არაფერ ბოროტს არ
შემამთხვევდა. მაგრამ თუ კიდევ უარზე დადგები, თავს
მოგკვეთთო. მე დამორჩილების მაგივრად სიტყვის შე-
ბრუნება მოვინდომე. მან კინაღამ ძვირად დამისვა ეს:
ერთმა მხლებელთაგანმა იშიშვლა ხმალი და მომიღერა
თავში დასაკრავად. ერის კაცთაგანმა თეატინმა დაუჭი-
რა მას ხელი. ამასობაში გავაღე ყუთები და საკვირველი
ცარცვა დაიწყეს: რაც კი მოეწონათ ამ ბატონებს, ყვე-
ლაფერი მოიტაცეს.

26

ამ ცარცვის დროს მე ფანჯარაზე ვიყავი მიყუდებუ-

ლი. ცარცვას თვალი მოვარიდე, რომ უფრო არ მომმა-
ტებოდა სიმწარე. ბაღისკენ რომ ვიყურებოდი, შევნიშნე
იქ ორი მხლებელი ჯაგებს ჩხრეკავდნენ იმ მხარეს, სა-
დაც, ვგონებ, მე დავმალე ჩემი ორი ბოხჩა. მე მთლად
გამწარებული გავექანე იმათკენ; ერთი თეატინი მომდევ-
და უკან. ის ორი კაცი, დაგვინახეს თუ არა ბაღში შე-
სულნი, წავიდნენ იქიდან, არ ვიცი კი რად. მაშინვე და-
ვიწყე ძებნა. ჩემი მღელვარება მიშლიდა მეპოვნა ალა-
გი, სადაც ჩავყარე: ველარ ვიპოვნე და დაბეჯითებით
მეგონა, რომ მათ იპოვეს და წაიღეს. ბოხჩები ოც და
ოთხი ათასი ეკიუს საფასი იყო და ადვილად წარმოსა-
დგენია, რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდებოდი: იმ წამს-
ვე მოვკვდებოდი, რომ ღმერთს არ შევეწყალებინე; მან
თვისი სახიერებით ხელი აღმიპყრა მე და შემარჩინა
ცოტაოდენი ღონე. ჩემი ამხანაგი და ერის კაცთაგანი
თეატინი მაღალის ხმით მიძახდნენ. გამოვედი ბაღიდან
და შევირბინე ოთახში. შევედი თუ არა ორმა მხლე-
ბელმა შემიპყრო, მიმათრია კუთხეში და ამომაცალა ჯი-
ბიდან რაცა მქონდა; მაგდენი კი არაფერი არა იყო-რა.
მერე დამიჭირეს და უნდოდათ ხელები შეეკრათ ჩემ-
თვის. მე დავიწყე ყვირილი, გაძალიანება, მოვთხოვე მი-
ვეყვანე თავიანთ ბატონებთან და ვათქმევინე ამ ავაზა-
კების უფროსებისთვის, რომ არ არის საჭირო ჩემი შე-
კვრა და შებოჭვა: – თუნდ სასიკვდილოდ წამიყვანოთ
და თუნდ რაც უნდა მიყოთ, მე მზად ვარ მოვითმინო
ყველაფერი. მათ მიპასუხეს, რომ მთავართან უნდა წა-
გიყვანოთო, რადგან მეფის გამოგზავნილები ყოფილ-
ხართო. მე მივუგე, რომ შეუბოჭავადაც წამოვალთ იმას-
თან და იმედი გვაქვს, ის გაგვასამართლებს; ჩვენ გვაქვს
იმასთან წერილები, რომლებსაც უსათუოდ პატივს და-

სდებს. გვიანღა იყო, ღამდებოდა. მთავრის სასახლე 15
ეჯზე იყო. ჩვენ გაგვანთავისუფლეს და მარტო ის მო-
სამსახურე წაიყვანეს, რომელმაც წინააღმდეგობა გაუ-
წია. ეს მოსამსახურე 15 დღის შემდეგ 10 პიასტრად *)
გამოვიყოლე.

3

როდესაც დავაღწიე თავი ამ მცარცველებს, შევედი
ბაღში. თეატინმა, რომელიც, უკან მომდევდა ორი ძვირ-
ფასი ქვებით სავსე ბოხჩის ძებნის დროს, ყველას უამბო

სახლში ჩემი უბედურება. ყველა დარწმუნებული იყო, რომ იმ ორმა მხლებელმა თვალი შემასწრო განძეულობის დამალვის დროს და იპოვეს კიდეც ის, ერთი ჩემი მსახურთაგანი, სომეხი ალავერდა, მომდევდა თან; მე გავოცდი, როდესაც ეს მსახური მომეხვია ყელზე თვალცრემლიანი და მითხრა: „ბატონო! დავიღუპენით!“ საზოგადო შიშმა და უბედურებამ მთხლად დაგვავიწყა, ვინ ვიყავით. მე ისე აღშფოთებული ვიყავი, რომ ჩემივე კაცი ჯერ მეგრელი მეგონა და გულში ვთქვი, ამას უთუოდ ჩემი დახრჩობა უნდა. როდესაც ვიცანი, გული ამიჩუყა მისმა ერთგულობამ. ვუბრძანე, – ნუ სტირი! – ბატონო! მითხრა მან, – კარგა კი მოძებნეთ?

– იმდენი ვეძებე, – მივუგე მე, – რომ სრულიად გადავიწყვიტე იმედი პოვნისა და ვგრძნობ, რომ ყოვლად უბედური კაცი ვარ. მოსამსახურემ გული ვერ დაიმშვიდა. მითხრა, – მაჩვენე ის ალაგი, სადაც ბოხჩები გადაყარე და, მიამბე, როგორ დამალე და რანაირად ეძებდი მერე. მე ვუამბე ყოველივე ამ საწყალსა, რომელმაც ესეთი ერთგულება გამოიჩინა, მაგრამ დარწმუნებუ-

*) პიასტრა, იტ., ნიშნავს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ღირებულობის ფულს.

ლი ვიყავ, რომ ტყუილად დაიწყებდა ძებნას და აღარც კი დავუცადე. დაღამდა. ჯავრმა ისე შემიპყრო და ამაღელვა, რომ არ ვიცოდი, რას ჩავდიოდი, სად მივდიოდი, რას ვგრძნობდი. სულ მთლად გავვოცდი, როდესაც ის საწყალი ჩემი მოსამსახურე მეორედ მომეხვია ყელზე და თან უბეში ჩამიდო ორსი შეკრული, რომელიც მე დაკარგული მეგონა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გამახარა ამ სასიამოვნო გარემოებამ. გამახარა იმიტომ კი არა, რომ ვიპოვნე ოც და ხუთი ათასი ეკიუ, არამედ იმიტომ უფრო, რომ ღმერთმა შემიბრალა და არ გამაუბედურა. ამ ფიქრმა ძალიან გამამხნევა. მაშინდელი ჩემი მდგომარეობა აღარ მაღონებდა და აღარც მერმისის მწუხარება, რადგან დავრწმუნდი, რომ ღმერთი არ გამწირავდა. ეს რწმენა მამხნევებდა მას შემდეგ, როცა ფათერაკსა და განსაცდელში ჩავვარდებოდი.

რადგან ეს ოქრო ბოხჩა ვიპოვე, იმის დარდი აღარა მქონდა, რასაც ჩემი ყუთებიდან წაიღებდნენ. შევედი ოთახში და შევატყობინე ჩემს ამხანაგს, რომ ძვირფასეულობა ვიპოვე. ჩემს ამხანაგს ცოტათი მიელაგებინა ჩვენი მიფუტკნულ-მოფუტკნული საცოდავი ბინა. წაეღოთ

ტანისამოსი, იარაღი, სპილენძეული, ყაითნები და სხვა უბრალო ნივთები. ჩვენ გადავწყვიტეთ არ გაგვემხილნა, რომ ის ორი დაკარგული ბოხჩა ვიპოვეთ. გვინდოდა ხალხი დაგვერწმუნებინა, რომ აღარაფერი აღარ დაგვრჩა. ამან ძალიან გვიშველა: თეატინების მსახურებს ეგონათ, მთლად გაგვცარცვეს. ხოლო სულ ყველაფერი, რაც დავკარგეთ, ღვთის მადლით, მხოლოდ რამდენიმე ასი ეკიუ ღირდა.

24-ს დილით თეატინების პრეფექტმა და მისმა ერისკაცად ყოფილმა ძმამ საჩივლელად წამიყვანეს კათალიკოზსა და მთავართან. მითხრეს, ძღვენი მიართვიო. მე

ვამტკიცებდი რომ თუ გაცარცვასა და გაქურდვაზე ვიჩივლებ ძღვენი რაღა შუაში უნდა იყოს. მაგრამ ჩვეულებამ თავისი გაიტანა, მივართვი კათალიკოზს ერთი და ნის ქარქაში, ვერცხლის დანა-ჩანგალი და ქუდი, რომელიც თვითონ მთხოვა სხვისი პირით. კათალიკოზსა და აგრეთვე მთავარსაც ვაჩვენე სპარსეთის მეფის ბრძანების ქაღალდი და მისგან ბოძებული რაყამი (პასპორტი). მთავარს არ წარვუდგინე საფრანგეთის ელჩის წერილი, რადგან თეატინებმა მირჩიეს, საჭირო არ არისო. არც ერთმა და არც მეორემ არაფრით არ დამაკმაყოფილა. მთავარმა მითხრა, ომიანობაა ახლა და კეთილშობილები ვერ დამიმორჩილებია, სხვა დროს კი კარგსა და ჩქარ სამართალს მოგცემდიო; მაინც ჩემის მხრივ ღონისძიებას ვიხმარ, დაგიბრუნო რაც წაურთმევიათო. კათალიკოზმაც ესეთივე საუბარი გამართა და შველის მაგივრად ნუგეშის ცემა დამიწყო. იმათ მაინც მომცეს თითო კაცი და მათის სახელით უნდა მოეთხოვათ მცარცველებისაგან, რაც ჰქონდათ ჩვენგან წაღებული.

ამ მიწყდომ-მოწყდომაში შევიტყე, რომ თვითონ დადიანსაც მონაწილეობა ჰქონოდა ჩემი გაცარცვის საქმეში და ნაცარცვის მესამედი მიეღო. ამან უფრო კარგად გამაცნო იმ ქვეყნის ხასიათი და ვითარება, სადაც ვიყავი; უფრო ნათლად დავინახე განსაცდელი, რომელიც ჩვენ გველოდა. ის ორი კეთილშობილი, რომლებიც შემწეობისათვის მოგვცეს, ჩვენსა წამოვიდნენ დასადგომად. ახლა ამათთვის უნდა მიგვერთმია ძღვენი. იმათ იმ დღეს და მეორე დღესაც ვითომ ძლიერ გამოიდეს თავი ჩვენ საშველად, მაგრამ მათი ცდილობა ამაო შეიქმნა. 26-ს საღამოს მოვიდნენ და გვითხრეს, რომ ვერაფერს გავხდითო, აღარ შეგვიძლიან ამ საქმეს მივდიოთ, რად-

გან ოსმალონი მოვიდნენ სამეგრელოში, წვავენ და იკ-

ლებენ ყველაფერს და იძულებულნი ვართ სწრაფად ვე-
ახლოთ ჩვენს ბატონებსო.

მე ისე შევეჩვიე ყოველგვარ მოსალოდნელ განსაც-
დელს, რომ ამ ამბავმა არ შემაძრწუნა. თეატინები სასო-
წარკვეთილებაში ჩაცვივდნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ
ოსმალოების შემოსევა სულ ბოლოს მოუღებდა ამ სა-
ცოდავებს, ყველანი გასახიზნად მოვემზადენით. შუაღა-
მისას ორჯერ გავიგონეთ ზარბაზნის ხმა: ეს იმის ნიშანი
იყო, რომ მტერი მოუახლოვდა რუხის ციხეს. თვით ზარ-
ბაზნების სროლა ამ ციხიდან ისმოდა. რაკი ეს შეიტყო
ხალხმა, დაიწყო გახიზნვა. მიჰქონდათ და მიჰყავდათ თან
ტყეებში და სიმაგრეებში ყველაფერი, რის წაღებაც და
წაყვანაც კი შეეძლოთ.

27-ს, განთიადისას, ჩვენც სხვებსავით გასახიზნად წა-
ვედით. არაფერს არ ვახლე ხელი, რაც ან დაფლული
იყო ან დამალული სახლის სართულში და ან სხვაგან.
მე ვფიქრობდი, რომ ჩვენი ძვირფასი სარჩო-საბადებელი
უფრო საიმედო ალაგას არის, ვიდრე იქ იქნება, საცა
მივდიოდით. თეატინებს მარტო ერთი ურემი ჰქონდათ
და ორი ცხენი ჰყავდათ. ურემზე იყო მთლად სახლის
ავეჯი და ორიც პატარა ყმაწვილი; ერთ ცხენზე ერის
კაცთაგანი თეატინი იჯდა, მეორეზე – ჩემი ამხანაგი,
რომელიც ავად იყო. ეს გარემოება ძალიან გვაგვიანებ-
და და ჩქარა ვწერ მივდიოდით. ორი თეატინი და მე
ფეხით მივსდევდით ურემს. მონები და მთლად სახლის
მსახურები მოგვდევდნენ ჩვენ. სახლში მარტო ერთი
თეატინი დარჩა, რომ თვალყური დაეჭირა იქაურობაზე.
ათასი რამ დავტოვეთ იქ ისეთი, რის წამოღებაც შეუ-
ძლებელი იყო, რადგანაც ურმები არა გვქონდა. მე და-
ვტოვე იქ ჩემი წიგნები, უმეტესი ნაწილი ჩემი ქაღალ-
დებისა და იარაღი მათემატიკურ გამოკვლევათათვის. მე

მეგონა, არც ოსმალოები და არც მეგრელები ამაებს ხელს
არ ახლებდნენ. სახლის საყარაულოდ დატოვებული თე-
ატინი ტყეში გაქცეულიყო, გაეგო, თუ არა, რომ მტერი
ახლოა; ის მხოლოდ საღამოთი დაბრუნებულიყო შინ, მე
უკვე ვთქვი, რომ მეგრელებისა და მათი მეზობლების
ომი მხოლოდ უეცარი თავდასხმა და ცარცვა არის, ეს

ომი დიდხანს არ გასტანს. მართლაც ცოტა ხნის შემდეგ მტერი ისევ უკან დაბრუნდა. ამის გამო ყველანი სახლში ყოველთვის ერთს ან ორ კაცს სტოვებენ, რომ მეზობლებმა არ მოიპარონ ხორბალი, ღვინო და ან სხვა რამე, რისიც თან წაღება გახიზვნის დროს არ შეიძლება. ამ ყარაულებს ხანდისხან მტერი მოასწრებს, თუმცა იშვიათად კი, რადგან სამალავად ახლო აქვთ ძალიან დიდი და დაბურული ტყეები.

საცოდავი სანახავი იყო ამ ხალხის გახიზნვა: დედაკაცები დატვირთულნი იყვნენ ბავშვებით და ბოხჩებით, კაცები სხვა ბარგით. ერთი საქონელს მიერეკებოდა, მეორეს ავეჯით სავსე ურემი მიჰყავდა. გზაზე ნახავდით ღონე გამოცლილ და სიკვდილამდე მიღწეულ სნეულებს, ბებრებსა და პაწაწინებს, რომელთაც სიარული აღარ შეეძლოთ და შველას ითხოვდნენ. ეს ძახილი, მწუხარება და უბედურება მხოლოდ ბარბაროსთა გულს ვერ ალხობდა. მართალია, ვერც მე ვიგრძენი სიბრალული, მაგრამ არა გულქვაობით, არამედ იმიტომ, რომ ჩემმა საკუთარმა უბედურებამ ისეთნაირად შემიპყრო, რომ აღარ შემეძლო სხვა შემებრალებინა. ჩვენ გავიხიზნენით ერთ ციხეში, რომელიც ტყეში იდგა. ციხის პატრონს საბათარი ერქვა; ის იყო გამაჰმადიანებული და მერე ისევ გაქრისტიანებული ქართველი. ის ისე ცბიერი და ავაზაკი არ იყო, როგორც სხვები. მივედით მისას. ისეთი საფლობი ტალახი და ლაფი იყო გზაზე, რომ მეგონა

ურემი თავის დღეში ვერ გამოატანდა. რამდენჯერმე დავცალეთ და ისევ დავტვირთეთ ურემი. ორჯერ კინაღამ არ აიკლეს ურემი; კინაღამ არ გამცარცვეს და არ მომკლეს. ყოველდღე ამისთანა ხიფათში ვიყავი. ციხის პატრონმა კარგად მიგვიღო. თეატინებმა უთხრეს ჩემ შესახებ, რომ მე ისეთი ვინმე ვარ, რომლის დავალება სამაგიეროს გადაუხდელად არ დარჩება. მან დაგვაბინავა ერთ ცუდსა და პატარა ქოხში, რომელიც ისეთი ფარღალალა იყო, რომ იქ ყოფნა ცისქვეშ ყოფნას უდრიდა. ყოველ მხრივ თავზე წვიმა გვასხამდა. მაინც დიდი მოწყალება იყო ამ ქოხის შოვნა. კიდევ კარგი, რომ არ გაგვრიეს სხვა საცოდავთა შორის, რომელნიც ერთი ერთმანეთზე იყვნენ მიყრილნი უალაგობით. ციხე ხალხით იყო სავსე; როცა ჩვენ მივედით, იქ რვა ასი სხული იყო, თითქმის სულ დედაკაცები და ბავშვები.

28-ს გათენებამდის თეარინების პრეფექტმა დაგვანება თავი და თავის სახლში წავიდა, რომ რამე ჭურჭელი და ხორაგი მოეტანა იქიდან. მინდოდა ამავე აზრით მეც გავყოლოდი, მაგრამ გათენებამდის კიდევ ორი საათი იყო, როცა ის წავიდა. სახლი სავსე დახვედროდა ფაშისა და გურიელის კაცებით, რომელთაც დიდი უკადრისობა მიეყენებინათ, ჯოხითა და კეტებით ეცემათ. მოენდომებინათ ეკლესიის გაღება, რადგანაც ეგონათ, სახლის ქონება იქ ექნებათ დამალულიო. პრეფექტს რომ შეენიშნა ეს მტრის გროვა, გადაესროლა ეკლესიის გასაღები ჯაგებში, თუმცა ძალა ძალიან დაეტანებინა, მაგრამ ის თურმე სულ იძახოდა: მე არა მაქვს გასაღებიო. ბოლოს ოსმალოებს ცოტა პატივი დაედვათ იმის ხარისხისათვის, მხოლოდ ზოგი ტანისამოსი წაერთმიათ, მარტო მსუბუქი ნივთები წაეღოთ და ის რაც ძვირფასი რამ ეპოვნათ სახლში; ჩემი წიგნებისა და ქაღალდებისათვის ხელი არ უხლიათ.

29-ს ღამით მისულიყო იქ ერთი მეგრელი კეთილშობილი ოცდაათ კაცამდინ მხლებლებით და სუყველაფერი აეკლო. იმას მთლად მოეჩხრიკა ჩემი ოთახი, რადგან ჰგონებია, იქ ბევრი რამ იქნება დამალულიო; წაეღო ყველაფერი, რაც მე იქა მქონდა, ჭურჭელი, ყუთები და სახლის ავეჯი. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც მე დავტოვე იქ, და რისთვისაც ოსმალოებს ხელი არ უხლიათ, როგორც ერთობ მცირე ფასიანი და მძიმე საზიდისათვის. იგი მეგრელი, როგორც ვთქვით, ღამით მოსულიყო, იმ ავაზაკს, რადგან სანთელი არა ჰქონოდა დაენთო ცეცხლი ჩემი ქაღალდებიდან და წიგნებიდან, ოთახი გაენათებინა, ჯერ დაეგლიჯა ყდები, რადგან დავარაყებულები და წარწერილები იყვნენ. მე ძალიან საიშვიათოდ დავაყდევებინე ჩემი წიგნები პარიზიდან რომ მოვდიოდი. ამ წიგნთაგან ერთიც აღარ გადარჩა.

30-ს დილით გავიგე ამ გაცარცვის ამბავი და ისე მეწყინა, რომ გამოთქმა არ შემიძლია. საღამოზე ერთი ოსმალო მოვიდა ციხეში, სადაც მე ვიყავი და განაცხადა, რომ ფაშისაგან ვარ მოგზავნილიო. საბათარ გავიდა გასაგებად რა ამბავი მოიტანა, რომ ფაშის ლეიტენანტი, რომელიც რუხის წინა დგას, გაკვირვებულია, რომ საბათარ არ მივიდა მასთან მორჩილების გამოსაცხადებლად და მისთვის პატივის საცემად, რადგან სამეგრელო ხონთქარს ეკუთვნისო; ფაშას გაცემული აქვს ბრძანება კარ-

გად მოეპყრან იმათ, რომელნიც ოსმალოებს ემხრობიან
და მტრად მოეკიდნონ იმათ, ვინც არ ემხრობა; თუ
სურს გადაარჩინოს თავისი ქონება, სიცოცხლე, ციხე და
რაც იმაში არის სწრაფად უნდა წავიდეს ფაშის ბრძანე-
ბის მისაღებად. საბათარმა მიუგო, რომ ფაშას ჩემ ბა-
ტონად ვსთვლი, გულით ოსმალო ვარ, და არა მეგრე-
ლი; მინდოდა კიდეც ვხლებოდი ფაშას, რა წამსაც გავი-
გებდი იმის ბრძანებასა და რაკი ეხლა ვიცი, რომ მისი

ლეიტენანტი რუხთან არის, ხვალ დილითვე მივალ მისი
ბრძანების მისაღებადაო.

31-ს საბათარი ოცდაათი შეიარაღებული კაცით წა-
ვიდა ფაშის ლეიტენანტის სანახავად და მიართვა მას
ძღვნად ოთხი მონა, ერთი ბადია აბრეშუმი, წმინდა სახ-
თილი და ხორაგი. ბანაკში საღამოზე მივიდა. იქ ნახა
რამდენიმე სამეგრელოს კეთილშობილი, რომელნიც მი-
სებრ დამორჩილებოდნენ შიშის გამო,რომ მტერი არ
მისულიყო მათ ციხეებზე და არ აეოხრებინა მათი მამუ-
ლები. ლეიტენანტმა უთხრა, რომ მის ბატონს ხონთქრი-
საგან მიცემული აქვს ბრძანება, დაანგრიოს ყველა სი-
მაგრე სამეგრელოში, მაგრამ მას თვითონ კი სურს დაი-
ცვას იმ მებატონეების ციხეები, რომელნიც დამორჩილ-
დნენ; რომ ხონთქარმა წაართვა მთავრობა ლევანს, რო-
მელიც რუხშია, და მისცა ახალგაზრდა მთავარს, რომე-
ლიც ახალციხეში იყო აღზრდილი; რომ საბათარმა უნ-
და შეჰფიცოს მორჩილება, მისცეს ერთი თავისი შვილი
მძევლად და მიართვას ფაშას ძღვენი. საბათარი დათან-
ხმდა ფაშასთვის ძღვნად მიერთმია ათი მონა ორივე
სქესისა და სამასი ეკიუ ვერცხლით და აბრეშუმით.

4.

ოქტომბრის 1-ს საბათარი დაბრუნდა უკან და თან
მოიყვანა ოსმალოები თავისი ციხის და მთლად თავისი
მამულის მცველად. მთელი ღამე ზეზე იყო და აგრო-
ვებდა ძღვენს, რომელიც უნდა მიერთმია. აცნობა ყვე-
ლას, ვინც კი შეხიზნული იყო მის ციხეში, რომ ოსმა-
ლოებმა დაუყენეს მათ მცველნი და მის სამაგიეროდ
ოც და ხუთი მონა და რვა ასი ეკიუ უნდა გაიღონ. ეს
ყველაფერა მოიკრიფა იმათგან, ვინც მის ციხეში იყო
შეხიზნული. ყველა ოჯახიდან, საცა ოთხი ბავშვი იყო,
ერთი გამოართვა. ძალიან საცოდავი სანახავი იყო, რო-

ცა საწყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდან, გადააბამდნენ ორ-ორს ერთმანეთზე და მიჰყავდათ ოსმალოებთან. მე ოცი ეკიუ გამომართვეს.

შეგროვებულის ხარჯიდან საბათარმა ფაშის ლეიტენანტს მარტო ის მიართვა, რასაც დაპირებული იყო; დანარჩენი თვითონ აიღო. როდესაც ნახეს, რომ წავიდა საბათარი და წაიყვანა თან თავისი უმცროსი შვილი, მის ცოლებს, მის ყმაწვილებს და მთელ ციხეს ჟრიამული შეუდგათ. ყმაწვილები, რომელთაც ოსმალოებს მძევლად აძლევენ, მერე მათი მონებად ხდებიან, თავის დღეში ვეღარ დაეხწევიან ოსმალოს ხელიდან. ისინი სტამბოლში მიჰყავთ ლამაზი ყმაწვილების რიცხვის გასამრავლებლად და სერალში ინახავენ. ფაშის ლეიტენანტმა მიიღო ძღვენი, მძევლები და საბათარიც თავისთან დაიჭირა. ლეიტენანტმა სამჯერ მისცა დადიანს წინადადება დამორჩილებოდა, მაგრამ მთავარი არ დამორჩილდა. მისი ციხე კარგად იყო დაცული სვანების მიერ, რომელნიც მის ვეზირს მოეყვანა და, რომელნიც უფრო მეტად ბატონობდნენ, ვიდრე თვით დადიანი. ვეზირი ყოველდღე უთვლიდა, გამაგრებულიყო, მეც მზადა ვარ მტერს თავს დავესხაო. ოსმალოებმა რუხის ციხის წინ ოთხი დღე დაჰყვეს, შეიპყრეს ორ ათასზე მეტი ტყვე, აიღეს მრავალი დავლა და ბოლოს უკან დაბრუნდნენ. ოსმალოებს არტილერია არ ჰქონდათ და ამან შეუშალა მათ ციხეზე იერიშის მიტანა. მათ წაიყვანეს თან სამეგრელოს ყველა კეთილშობილი, რომელნიც დაემორჩილნენ და, რომელთაც შეჰფიცეს ახალ მთავარს. კათალიკოზი შეფიცულთა შორის იყო; ფაშამ ბრძანა დაენიშნათ კათალიკოზი ახალი მთავრის ვაზირად, გაეგზავნათ მისი სახელით აფხაზეთის მთავართან და ეთხოვნათ მთავრისთვის ცოლად აფხაზეთის მთავრის ქალი

36

ეგონათ ოსმალოების მოსვლა სამეგრელოში დაამყარებდა წესიერებას, ჩამოაგდებდა მშვიდობას და იარაღს დაადებინეიბდა. ეს სრულებითაც ასე არ მოხდა. ისინი მოვიდნენ, აიკლეს მხარე და ჩააგდეს ქვეყანა უფრო დიდ არეულობაში, ვიდრე წინათ იყო. გაჰყვეს იგი ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ფიცისა და მძევლების მიცემის გამო იძულებული იყო ახალი მთავრის მხარე დაეჭირა,

ხოლო მეორე დარჩა მომხრე და მორჩილი ძველი მთავ-
რისა. ამ განხეთქილებამ იძულებული ჰყო ყველა იარაღი
აეღოთ ხელში. რადგან ვხედავდი ამისთანა უბედურ ყო-
ფას, რომელიც ესე შორს იყო მშვიდობიანობაზე, გადავ-
სწყვიტე წავსულიყავ საქართველოში, როგორც უნდა
ყოფილიყო და რა გაჭირებაც უნდა მენახა. მე იმდენი
უბედურება მაწყდებოდა თავს სამეგრელოში ყოველ
დღე, რომ ეჭვი არა მქონდა, ეს უბედურებანი მალე მო-
მიღებდნენ ბოლოს. ლევანი ემუქრებოდა ციხეების, ქო-
ნებისა და მამულების აკლებას იმ მეგატონეებს, რო-
მელნიც დაჰმორჩილდნენ ოსმალოებს. საბათარი ჯერ
ისევ ოსმალოებთან იყო; მისი შვილები, რომელნიც
ბრძანდებოდნენ ციხეში, დიდი ავაზაკები და საშინელი
დაუნდობლები იყვნენ. ყოველ დღე ჯავრი და უხორა-
გობა მკლავდა. დიდი საქმე იყო ერთი მუჭა ღომისა და
ერთი გირვანქა ხორცის ყიდვა. მე ჩემ ქოხში ისე განვიც-
დიდი ყოველგვარ ავდარს, როგორც ტრიალ მინდორზე.
ჩემი მსახურების სასოწარკვეთილება ძალიან მაწუხებდა.
ერთი სიტყვით, ჯავრით აღარ ვიყავი. ამან მაიძულა
მეხმარა ყოველი ღონე, გავსულიყავ სამეგრელოდან,
ვიდრე კიდევ მქონდა შეძლება. ყველგან მოვაძებნინე
ყოლაუზები *); აღვუთქვი ვეხვეწე, ვაძლიე. ვერაფერს
გავხდი, არავინ არ ისურვა გამომყოლოდა. მეუბნებოდ-

*) ყოლაუზი, – ეტიკი, გზის მცოდნე.

ნენ: იმერეთის გზები ჯარებს უჭირავთ, და სიგიჟე იქნე-
ბა თავისი ნებით მისვლა, რადგან დარწმუნებული
ვართ, იქ ტყვედ ჩავცვივითო. განვიზრახე მომევლო ან
კავკასიონის მთებით, ან შავი ზღვის ნაპირით მაინც. არა-
ვინ არ ისურვა გამოყოლა.

ვერ დაიჯერებთ როგორ ეშინიათ მეგრელებს სი-
კვდილისა და წახდენისა. რაც უნდა მცირედი განსაცდე-
ლი იყოს, ვერა სასყიდლით ვერ იძულებულჰყოფთ მეგ-
რელს შეჰბედოს. ბოლოს იძულებული შევიქენი ამერჩია
გზა ზღვით და ოსმალეთით. ე. ი. მომევლო 70 ეჯი. წა-
ვედი ანარგიაში. ეს ანარგია სოფელია და მცირე ნავთ-
სადგური. იქ ვპოვე თათრის ფილუგა და ვიქირავე გო-
ნიოში წასასვლელად. მივეცი თუ არა ბე, დავბრუნდი
თეატინების სახლში და საბათარის ციხეში, რომ მოვმზა-
დებულიყავ სამგზავროდ.

ჩემ ამხანაგს მოველაპარაკე მასზე, თუ რა ოსტატო-

ბას ვხმარობ მის გასაყვანად სამეგრელოდან, თუ ღმერ-
თი ინებებდა და მშვიდობით მგზავრობას მომცემდა; ნო-
ემბრის 10-ს გამოვედი ციხიდან. წავიღე თან ასი ათასი
ლივრის ფასი ძვირფასი ქვები, რვა ასი პისტოლი ოქრო
და მცირე ბარგი, რაც კი გადამრჩენოდა. ძვირფასი ქვე-
ბი ჩატანებული მქონდა ერთ ბალიშში და უნაგირში,
რომელიც განზრახ იყო თვლების დასამალავად გაკეთე-
ბული. თან წავიყვანე ერთი მსახურთაგანი, რომელიც
მყავდა გამოყოლილი ტყვეობიდან. ეს ერთი ცბიერი და
მუხთალი კაცი მყო, მისი სიბოროტე მე კარგად არ ვი-
ცოდი. არ მირჩევდნენ იმის წაყვანას, რადგან ეშინოდათ
რამე ცუდი არ შეემთხვია ჩემთვის. მე თვითონაც არა
მქონდა ნამდვილად გადაწყვეტილი მისი წაყვანა, მაგ-
რამ იღბლად ასე მოიტანა, რომ წავიყვანე. მიზეზი, რის
გამოც წავიყვანე ის და არა სხვა, ის იყო, რომ თუ იქ
დამეტოვებინა, მეშინოდა ვაი თუ გავემხილე სამეგრე-

ლოში. ზამპი თეატინების პრეფექტი, გამომყვა თან.
ერისკაცთაგანმა თეატინმაც მოინდომა თან გამოყოლა
ანარგიაში. მე და პრეფექტი ფეხით მივდიოდით, რადგან
ერთი ცხენის მეტი ვერ ვიშოვეთ ქირით, თუმცა ბევრი
ფული ვაძლიეთ ცხენების დასაქირავებლად. ცხენს ავკი-
დე ბარგი და შევსვი ზედ ჩემი მსახური. ერისკაცთაგანი
თეატინიც ცხენით იყო. ორი დღე დაჟინებით წვიმდა.
ციხიდან ერთ ეჯზე ერისკაცთაგანი თეატინი კინაღამ
დაიხრჩო ერთ განიერ და მოდიდებულ არხში, რომელ-
შიაც ჩავარდა მისი ცხენი და, რომლიდანაც დიდის გა-
ჭირვებით ამოვათრიეთ თითქმის ნახევრად მკვდარი მხე-
დარი. აღარას ვიტყვი ჩემს დაღალვაზედ იმ დღეს და მე-
რეც. მე იძულებული ვიყავი ავდარში ფეხით მევლო
ტყეში, რომელიც სავსე იყო გუბეებით და ტალახით.
ტალახი მუხლზე მადგებოდა; არ შეიძლება კაცმა მეტი
გაჭირვება აიტანოს, რაც მე ავიტანე. მთლად დავიქანცე;
დამრჩა მხოლოდ მხნეობა და სურვილი არასფერს არ
მოვრიდებოდი, ყველაფერი მომეთმინა, ოღონდ კი გა-
დამერჩინა სიმდიდრე, რომელიც მქონდა მე ჩაბარებუ-
ლი. საღამოზე მივედით ანარგიაში სულ მთლად დაწუმ-
პულები. ანარგია ექვს ეჯზე არის საბათარის ციხიდან.

12-ს უნდა ხელახლა გზას შევსდგომოდი, მაგრამ
მე დამიშალა ეს ერთმა ახალმა გარემოებამ: მოიტანეს
ამბავი, ჩერქეზებისა და აფხაზების ნავები დადიან სა-
მეგრელოს ნაპირებზედო. ეს მართალი გამოდგა: იმათ

მოეტაცნათ აქაური ნავები და სხვათა შორის ის ნავიც, რომელიც მინდოდა დამექირავებინა. გამოუთქმელი სევდა, რომელიც ამ ამბავმა მაგრძნობინა, წარმომდინარეობდა არა იქიდან, რომ აქ მომიგვიანდებოდა და ბევრს ავს შევემთხვევოდი, არამედ მისგან, რომ იმედი მეკარგებოდა, ვაი თუ აქედან თავის დღეში თავი ვერ დამეღწია.

19-ს აცნობეს მ. ზამპის, რომ წინა ღამეს შეემტვრიათ მისი ეკლესიის კარები, წაეღოთ რაც ყოფილიყო, აეხადნათ საფლავი, რომელიც ეკლესიაში იყო, და წაეღოთ ყველაფერი, რაც სახლის დასაცველად იქა დარჩენილ თეატინს დაემალა; მთლად აეთხარათ იქაურობა და მხოლოდ კედლები-ღა დაეტოვებინათ მთელი. ადვილად შეიძლება წარმოიდგინოთ რა ელდა მეცა მე ამ ამბის გაგონებაზე, რადგან შვიდი ათას პისტოლზე მეტი მქონდა ჩაფლული იმ ეკლესიაში. მაშინვე გავგზავნე კაცი ჩემ ამხანაგთან. ის ციხეში ველარ ეპოვნათ: თეატინების ბინაზე წასულიყო იმის გასაგებად, რაც გვარგუნა წილად ამ უბედურ შემთხვევამ, რომელიც მასაც მაშინვე გაეგო. მან მომწერა, რომ ღვთის მადლით არ შეჰხებოდნენ ჩვენს ქონებას და განძი იმგვარადვე ენახა, როგორც გვქონდა მიწაში ჩაფლული. ამ ამბავმა საკვირვლად გამამხნევა. ეს ჩავთვალე ახალ ნიშნად ღვთის ჩემდამი წყალობისა. გავბედე წასვლა. ოსმალოებმა მომაქირავეს ფილუგა და მაიშნვე გზას შევუდექი.

27-ს გავემგზავრე ანარგიიდან. ჩემი ფილუგა დიდი იყო; იმაში ოც კაცამდე იყვნენ, ნახევარი მონები და სხვა ოსმალოები. მე იმიტომ მივეცი ნება ჩაესხათ ნავში ამდენი ხალხი, რომ შემძლებიყო თაისდაცვა მეკობრეთაგან, რომელნიც ზღვის ნაპირებზე დადიოდნენ. ერთი საათის ცურვის შემდეგ გავედით ზღვაზე. ენგური, რომლითაც ჩამოვედით ჩვენ, ჩქარი მდინარეა, მასზე სიარული ძლიერ ჩქარა შეიძლება, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ამ წყლით ჩამოაქვთ სავსე ნავები, რადგან აქ მრავალი თხელი ადგილებია, სადაც ნავებს გაჰრიყავს ხოლმე. მთელი დღე ზღვის ნაპირზე დავრჩი, ნავის პატრონი შემეხვეწა დავრჩენილიყავ, რადგან კიდევ ორ მონას მოელოდა, რომელნიც საღამოზე უნდა მოსულიყვნენ.

ანარგიაში ყოფნის დროს ორჯერ მიმიწვიეს ნათლობაში. წავედი სანახავად, რომ შემეტყო, თუ როგორ ასრულებდნენ ამ საიდუმლოს სამეგრელოში. მ. ზამპის საკმაოდ სწორად აეწერა ეს თავის მოხსენებაში. აი, როგორი ნათლობა ვნახე: დილის ათ საათზე გაგზავნეს მღვდლის დასაძახებლად. მოვიდა თუ არა მღვდელი, მაშინვე შევიდა ქოხში, სადაც ღვინოს ინახავენ, ჩამოჯდა სკამზე და, თავის ჩვეულებრივ ტანისამოსშივე, დაიწყო კითხვა ნახევრად დაგლეჯილი წიგნისა, რომელიც სიდიდით იყო ახალი აღთქმის ტოლი in – 8⁰. ყმაწვილი, როდესაც მღვდელმა დაიწყო კითხვა ჯერ არ იყო მის წინ. მამამ და ნათლიამ შემოიყვანეს ყმაწვილი ხუთმეტი წუთის შემდეგ. ეს ხუთი წლის ბავშვი იყო, ნათლიამ მოიტანა ერთი პატარა ღერი წმიდა სანთელი და სამი მარცვალი საკმეველი; აანთო სანთელი და მიაკრა ქოხის კარებზე. ჯერ ბავშვის მონათვლამდისვე დაიწვა ის სახთელი, სხვა სანთელი აღარ აანთეს. სამი მარცვალი საკმეველი დააგდეს მცირე ცეცხლზე და დაწვეს. მოძღვარი ამ ხნის განმავლობაში კითხვით იყო გართული. კითხულობდა ჩქარა, დაბლად და ძალიან მცირე ყურადღებით, რადგან ყველას პასუხს აძლევდა, ვინც კი ჰკითხავდა რამეს. მამა და ნათლია შედიოდნენ და გადიოდნენ ამ ხნის განმავლობაში და აგრეთვე ყმაწვილიც, რომელიც ჭამის მეტს არას აკეთებდა. კარგა ხნის კითხვის შემდეგ მოიტანეს თბილი წყლით სავსე ლაგვანი *), მღვდელმა ჩაასხა შიგ პატარა კოვზით ნიგვზის ზეთი და უთხრა ნათლიას გაეხადა ბავშვისათვის ტანისამოსი. გახადეს ყმაწვილს და მთლად ტიტველი ჩასვეს ლაგვანში. ყმაწვილი ფეხზე იდგა ნათლიამ მთლად დაჰბანა ტანი. როდესაც კარგად დაჰბანა, მღვდელმა ამოიღო ტყავის ქისიდან

*) პირფართო სარწყული.

რომელიც მას სარტყელზე ეკიდა, ერთი ბეწვი მირონი, მისცა ნათლიას და იმან სცხო მირონი ყმაწვილს თითქმის ყველა ასოზე: ქოჩორზე, ყურებზე, შუბლზე, ცხვირზე, ლოყებზე, ნიკაპზე, მხრებზე, ნიდაყვებზე, ზურგზე, მუცელზე, მუხლებზე და ფეხებზე. მღვდელი კი სულ კითხულობდა. გაათავა კითხვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათლიამ ისევ ჩააცვა ბავშვს ტანსაცმელი. ყმაწვილს რომ ჩააცვეს მერე მამამ მოიტანა პური, ღვინო და ერთი

ნაჭერი მოხარშული ღორის ხორცი. ჯერ ყმაწვილს აჭამა, მერე მიართვა ნათლიას, მღვდელს, სტუმრებს და ყველას, ვინც სახლში იყო. ამის შემდეგ ყველანი მოუსხდნენ სუფრას, სუფრიდან თითქმის არავინ არ ამდგარა ფხიზლად.

5.

28-ს დილით, ადრე გავედით ზღვაში. წყნარი ტაროსი იყო. ვხედავდით ერთის მხრივ ტრაპიზონის მთებს და მეორეს მხრივ აფხაზეთისას.

30-ს შუადღის უკან მივედით გონიოში. ფაზისიდან იქამდინ 40 ეჯი არის. მთელი ეს ნაპირი ძალიან მაღლობი და მთებიანია. ეს ადგილები ზოგი ტყით არის შემოსილი, ზოგი მოტიტვლებულია. ქვეყანა ეკუთვნის გურიელს. გურიელის სამფლობელოს უჭირავს ადგილი იმ მდინარემდინ, რომელიც გონიოდან ნახევარ ეჯზე ჩამოდის.

მიადგა თუ არა ჩვენი ფილუგა ნაპირას, ჩემი მსახური სიხარულისაგან აღტაცებული გადახდა ნაპირზე, ცას მიაპყრო თვალები, კოცნიდა დედამიწას, ათას ნაირად წყევლიდა სამეგრელოს და ათას აღთქმას აძლევდა ღმერთს, რომ ოსმალეთში მოიყვანა. ერთი წამის შემდეგ შევიდა ციხეში და დამტოვა მარტო. ვგონებ იმიტომ წავიდა, რომ ეამბნა, ვინ ვიყავი. როდესაც მებაჟე და ლეი-

ტენანტი მოვიდნენ ფილუგიდან გადმოწყობილი საქონლის სანახავად და ბაჟის ასაღებად, იმათ მაშინვე მიამბეს, რომ ევროპელი ვარ, სამეგრელოში გაჭივრებულ დღეში ვიყავი და ახალციხეში ვაპირობ წასვლას. ძლიერ გავკვირდი. მივხვდი, რომ გამცეს. არ შევშინდი და ღვთის მადლით გული შემრჩა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემმა მსახურმა არ იცოდა თუ ვინ ვიყავი. ის სტამბოლიდან წამოვიყვანე; ჩემი მსახური ჰხედავდა, რომ მე უფრო ელჩებთან და ევროპელ მოხელეებთან დავდიოდი; ისინი პატივსა მცემდნენ, დანარჩენ დროს კი წერაკითხვაში ვატარებდი. ის უნდა დარწმუნებულიყო, რომ მე მოგზაური ვიყავი. დავარიგე ეთქვა ოსმალოებისთვის, რომ მე ვაჭარი ვარ. სამეგრელოში იმიტომ ვიყავი, რომ მტაცებელი ფირნველები მეყიდნა ევროპაში წასაყვანად. იქაურებმა მთლად გამცარცვეს და მივდივარ ახალციხის ფაშასთან საჩივლელად. მტკიცედ დავადექი ამ ჩვენებას.

მეზაჟემ რაღაცეები გამომკითხა. მე საკმაოდ კარგი პასუ-
ხები მივეცი. უბრძანა გაესინჯათ ჩემი მარაგი – ვერა-
ფერი ვერ იპოვეს მასში აკრძალული. ბარგში სხვათა-
შორის უნაგირი იყო. უნაგირს ფუღურო ჰქონდა ძვირ-
ფასი ნივთების დასამალავად. უნაგირი სავსე და ძალიან
მძიმე იყო. მისმა სიმძიმემ ეჭვი ააღებინა, მით უფრო,
რომ ოსმალური უნაგირები ძალიან მსუბუქებია. ყარაუ-
ლებმა აიღეს, გასინჯეს ყოველმხრივ, მაგრამ რადგან
ხელში ყველგან მხოლოდ ძუა და ბალანი მოხვდათ, და-
ანებეს თავი.

ნახევარი იმ რვა ასი პისტოლისა, რომელიც მიმქონდა
აქვე მქონდა, ნახევარი კი კლიტით დაკეტილ ჩანთაში
იდვა, იქვე იყო ზოგიერთი უბრალო ნივთებიც, რომელ-
ნიც თუმცა ძლიერ ძვირფასნი არ იყვნენ, მაგრამ ძა-
ლიან კარგად ვიცოდი, მაინც წაიღებდენ ოსმალოები,
თუ კი თვალს მოჰკრავდნენ. როცა სამეგრელოდან წამო-

ვედი, გადაწყვეტილი მქონდა მენავეებისთვის მიმეცა ეს
ჩანთა შესანახავად, როდესაც გავიდოდით ნაპირზე ქო-
ბულეთში. მენავეების ბარგს არ სინჯავენ და ფილუგა-
საც იშვიათად ჩხრეკენ. კარგი ნიავი იყო და ეს ალაგი
ისე გავიარეთ, რომ არ დავდექით. ამან ხელი შემიშალა
ამესრულებინა ჩემი განზრახვაი თავხედობა იქნებოდა
შემესრულებინა ეს ფილუგაშივე მსხდომთა თვალწინ.

მეზაჟეებმა უკვე იცოდნენ, რაც მქონდა მე; ჩავიდნენ
ფილუგაში და იპოვეს ჩემი ჩანთა. იკითხეს ვისიაო, მე
ვუთხარ; – ჩემია, შიგ ისეთი არა არის რა, რასაც ბაჟი
უნდა. მეზაჟემ მითხრა, – ჩანთა გახსენიო. მე მივუგე
სიამოვნებით ავასრულებ, მაგრამ სახლში და არა ზღვის
ნაპირზე ამდენ ხალხში. მეზაჟემ თავისთან წამიყვანა.
მმართველი ლეიტენანტიც მოვიდა იქ. იმან აიღო ასზე
ერთი და მეზაჟემ ხუთი. წაიღეს ჩემგან ოც და ორი პის-
ტოლი, ოქრო და ყველაფერი, რაც კი მოეწონათ იმ ნივ-
თებიდან, რომელიც ჩანთაში მქონდა. სხვათა შორის
წაიღეს ერთი წყვილი დამბაჩა, რომელიც შეადგენდა
ჩემს ერთადერთ იარაღს. მართალია ფასი მომცეს, მაგ-
რამ მარტო ღირებულების ნახევარი. მეზაჟემ მითხრა,
მასთან დავბინავებულიყავი. მე მივუგე, რომ ის მასხრად
მიგდებს, როდესაც მიწვევს თავისთან დასაბინავებლად
მას შემდეგ, როცა უსამართლოდ წამართვეს ბაჟი თეთრზე,
რომელიც მქონდა მე, რადგან ოქროსა და ვერცხლს ბაჟი
არ უნდა. მან მომიგო, – რომ კარგად არ მცოდნია საქმე:

არაფერი უსამართლობა არ ჩაიდინა, რადგან გონიოში ახდევინებენ ბაჟს ყველაფერზე გამოუკლებლად; რომ თავისთან მაძლევენ ბინას, ეს არის პატივისცემა. მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, – თუ გსურს სიკეთე გამიწიო და საუკუნოდ დამავალო, შემწეობა მომეცი ახალციხის ფაშასთან წავიდე; ახლა მთელმა გონიომ გაიგო, რომ ერთი პარკი ოქრო მიპოვეს და ვშიშობ, დანარჩენ

ოქროს წართმევის დროს არ მომკლან კიდეც, მარტო და უცხო ვარ, თავის დაცვაც აღარ შემიძლია, რადგან თვითონ შენ წამართვი იარაღი და ამიტომ უნდა გაისარჯო, რამე შემწეობა მომცე. – სრულებითაც ნუ შეშინდებით, მითხრა მან, ღვთის მადლით, მორწმუნეთა ქვეყანაში ხარ, აქ არ უნდა გეშინოდეს არც გაცარცვისა და არც სიკვდილისაო: მე თავდები ვარ, რომ შენს ქონებასა და სიცოცხლეს ხელს არავინ ახლებს, თუნდაც თავზე დაიდვა შენი ოქროს პარკი და ისე წაიღოვო: პირდაპირი გზა ახალციხისაკენ ძლიერ საძნელოა: ამ გზაზე ორი პირველი დღე ფეხით მოგიხდება სიარული, რადგან ცხენებს არ შეუძლიათ მთების ვიწრო და უსწორმასწორო ბილიკებზე იარონ; ხვალ დილით მოგცემ კაცებსა და ეს კაცები წაიღებენ შენს ბარგს და მიგაცილებენ პირველ სოფლამდე, იქიდან მეორემდე და ასე კიდევ ახალციხემდეო.

მითხრა ეს და მესამედ მიმიწვია, ღამე ჩემთან გაატარეო. ძლიერ მთხოვდა ამას, და ეტყობოდა, გულითაც მთხოვდა. თურმე თავაზიანობას იჩენდა კეთილის გულით და ჩემთვის სიკეთე სურდა. ამას მივხვდი შემდეგში. ნეტავი მაშინვე შემენიშნა ეს, ვერ მივხვდი, თუ განგება რას მიმზადებდა; მეშინოდა, ვაი, თუ იმიტომ მიწვევს, რომ უფრო კარგად გასინჯოს ჩემი ბარგი, უნაგირი და თვითონ ჩემი გაჩხრეკაც მოინდომოს. თან მქონდა დიდი ქისა ოქრო და ძვირფასი თვლები სამ ადგილას დამალული.

თითქმის დაღამებული იყო, როდესაც გამოვედი მეზაჟისაგან. ჩემს მსახურს წაეღო ჩემი ბარგი იქ, სადაც ჩემთან ერთად მოსული ხალხი დაბინავებულიყო. ეს იყო ერთი საძაგელი ქოხი, ყოველ მხრივ ფარღალალა, ფრიად ბინძური და მყრალი. იქ მე თანაგრძნობა გამომიცხადეს. – დიდად ვწუხვართ, – მითხრეს და, მართალი

უნდა ვთქვა: დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მსახურის
გარდა, რომელმაც მიიღო საჩუქარი იმ ოცდაოთხი პის-
ტოლიდან, ჩემი ამბავი ყველას ეწყინა, ვინც-კი იქ იყო.
ყველა მაყვედრიდა, რომ მათ არ მივეცი ჩემი ბარგი შე-
სანახად. მე საწყლად და ძალიან დაღონებულად ვაჩვენე
თავი, მაგრამ გულში კი მიხაროდა, რომ ასე ადვილად
გადავრჩი: მოუთმენლდ ველოდი მზის ამოსვლას და ვამ-
ბობდი: – ღმერთო, ჩქარა გაათენე და ამ განსაცდელს
გადამარჩინე.

ნამცხვარს გეახლებოდით, როდესაც მოვიდა ერთი
იანიჩარი და უთხრა ჩემს მსახურს, – ციხის თავის ლეი-
ტენანტი გიბრძანებსო. ციხის თავი თვითონ არ იყო იქ: მისი
ლეიტენანტი ასრულებდა მის თანამდებობას. ჩემი მსა-
ხური წავიდა მასთან, და ერთი საათის შემდეგ იგივე იანი-
ჩარი მოვიდა ახლა ჩემს დასაძახებლად. მე რომ მივედი,
ლეიტენანტი და ჩემი მსახური სუფრაზე ისხდნენ,
მთვრალები იყვნენ. ლეიტენანტმა ჯერ ძალით მასვა და
მაჭამა: მერე მითხრა, რომ ყველა ქრისტიანი, სასულიე-
რო წოდების კაცი, რომელიც, გონიოზე გაივლის, ვალ-
დებულია მისცეს გონიოს მმართელს ორასი დუკატი
და, რადგან მე მმართველის წარმომადგენელი ვარ, შენც
უნდა მომცე ეს ფულიო. მე მივუგე: – თქვენ ცდებით,
მე ვაჭარი ვარ, უკვე გადავიხადე ბაჟი, თუმცა უსამართ-
ლოდ-კი და მებაჟემ კიდეც განმათავისუფლა: თუ მაინც-
დამაინც უნდა მივცე რამე მმართველს, ხვალ მივსცემ,
ღამე კი დრო არ არის ამისთანა ლაპარაკისათვის. წამოვ-
დექი, დავაპირე წამოსვლა. ორმა იანიჩარმა შემაყენა:
ლეიტენანტმა ისევ დამსვა, ძალით მასვა. დამაყოვნა იქ
ორი საათი და ათას გვარი უთავბოლო ლაპარაკი და-
მიწყო. სხვათ შორის მითხრა, – ქრისტიანების ქონება,
სიმართლით რომ ვილაპარაკოთ, ოსმალოებს ეკუთვნის:

მალტიელებმა წაიყვანეს ტყვედ ჩემი ორი ძმა: ისეთ
კაცს, როგორიც შენა ხარ, ოცი პისტოლი ქონება ეყო-
ფაო. ჩავვარდი გაჭირვებაში: მთვრალი ხალხი მეხვია
გარშემო და იმათთან მქონდა საქმე! ჩემი მსახური მო-
შვლების მაგივრად მსაჯულთან იჯდა სუფრაზე და
ბრძანებლობდა ჩემს შესახებ. ნამდვილად ის ჩემი მსახუ-
რი კი არა იყო, ბატონი იყო! ვხედავდი მის მუხთლობასა,
მაგრამ არაფრის თქმა არ შემეძლო: მეშინოდა უფრო
უარესისა. გავიხმე ჩემი მსახური ცალკე და ვუთხარი,

ნუღარ გამაჯავრებ ამეზე მეტსა, მემსახურე იმ ერთგულობით, რომლითაც აქამდე მემსახურებოდი: მხოლოდ შენ შეგიძლია მოგვარიგო; მე ნებას გაძლევ გაიღო ამისათვის ოც დუკადამდინ, ჩემი განზრახვა იყო, მოფერებით, რომელსაც ჩემთვის მხოლოდ კეთილის მოტანა შეეძლო, შემეკავებინა ამ ვერაგის სიბოროტე და დამეშალა მისთვის, უკიდურესობა რამ არ ჩაედინა. ამის შემდეგ დავუწყე ხვეწნა, მუქარა ლეიტენანტსა: ვეუბნებოდი აღარავინა მოვა გონიოში, თუ გაიგებენ, რომ აქ ამგვარი ძალადობით და ასე უსამართლოდ ეკიდებიან მოგზაურებს. ლეიტენანტმა სიცილი დაიწყო, – გონიო ჩემი მამული არ არის, მე მხოლოდ ერთი წელიწადი-ღა უნდა ვიყო აქა; ბევრს არას ვიწუხებ, თუნდა ერთი კაციც არ მოვიდეს აქ ჩემს შემდეგ და თუნდა თვით ციხეც დაინგრეს, მე იმის დარდი არ მაქვს, შემდეგ რა იქნება და რა მოხდებაო. საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ლეიტენანტმა გაგზავნა კაცი ჩემი ბარგის მოსატანად, რადგან არ მივეცი, რასაც მთხოვდა. ჩემი მუხთალი მსახური ეხმარებოდა მას ამ საქმეში. მითხრა ამოიღე ოქრო, რომელიც ჩანთაში გაქვსო. მე არ ვქენი: არაფრის გულისათვის ერთ სუსაც არ მოგცემ: მე შენი არაფერი მმართებს: არ შემიძლია წინააღმდეგობა გაგიწიო, თუ ძალადობას დაიწყებ: შეგიძლია წაიღო ყველაფერი, რაც

გსურს. მაგრამ კარგად ვიცი გზები, როგორც უნდა დავიბრუნო ყოველივე, რაც ძალადობით წამერთმევა. ამ ავაზაკმა მოატანინა ბორკილები და რკინის საყელო: ამან, მართალი უნდა ვთქვა, ცოტათი შემაშინა: მქონდა საქმე ჯარის ხალხთან, რომლებსაც ოქრომ და ღვინომ თვალები აუხვია და ისეთ ყოფაში იყვნენ, რომ ყველაფერს იზამდენ; ერთი მათგანი მომიახლოვდა და მითხრა: – ნ ი ო რ ს, რ ა მ დ ე ნ ს ა ც უ ფ რ ო მ ე ტ ს დ ა ნ ა ყ ა ვ, ი მ დ ე ნ ა დ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ა ყ რ ო ლ დ ე ბ ა, ესე იგი რამდენსაც უფრო დააგვიანებ საქმის გათავებას, იმდნად უფრო გაძნელდება მერე საქმეო. ამაშიშარმა ადგილმა, სადაც ვიყავი, და ათასმა სხვა მოგვცეო, მეტა ღონე არ იყო, მივეცი ეს ფულა და კიდევ ოთხი დუკატი იანიჩარებს დავუთვალე. სიმდიდრე, რომელიც მქონდა ზედ და აგრეთვე ბინაზე, ამგვარმა საშიშარმა ადგილმა, სადაც ვიყავი, და ათასმა სხვა მოსაზრებამ ძალა დამატანა ასე მოვქცეულიყავ; სხვა მდგომარეობაში მე არ დავუთმობდი მუქარას, არ შემეშინდე-

ბოდა ბორკილებისა და ან სულ განვთავისუფლდებოდი, ან მცირე ფასით მაინც გადავრჩებოდი.

ლეიტენანტმა ძალა დამატანა; როდესაც ჩავუთვალე ასი დუკატი, ფიცი ჩამომართვა, რომ რაც მივეცი, მივეცი ჩემის ნებითვე და არავის არ ვეტყოდი. ახლა ამაზე დაიწყო ისეთი გაცხარებული დავიდარაბა, როგორც პირველზე. მე არ მინდოდა ფიცი მიმეცა, რადგან ნამდვილად ამაზე ჩივილი მინდოდა; ეს ავაზაკი კი გაჯიუტდა და არ იღებდა ას დუკატს, თუ იმ პირობას არ მივცემდი, რა პირობასაც ითხოვდა. მეტი ღონე არ იყო, უნდა შევფიცებოდი, რომ ისე მოვიქცეოდი, როგორც მას სურდა.

მეორე დღეს, დილა ადრიან, დეკემბრის პირველს, მებაჟეები მოვიდნენ ჩემს ბინაზე და წასვლამდინ მათვა-

ლიერებდენ. ბრძანება ჰქონდათ გაესინჯათ ჩემი უნაგირი და მეც გავეჩხრიკეთ. დაუძახეს ჩემს მსახურს და თავაზიანად და დარბაისლურად, რამდენადაც კი შესაძლო იყო მათთვის, გამოუცხადეს ეს ამბავი. ხელმეორედ გასინჯეს უნაგირი. მე შიშით ვთრთოდი, როცა სინჯავდენ. მაგრამ ეჭვი ვერაფერზე ვერ აიღეს მხოლოდ უნაგირის სიმძიმე აყოყმანებდა მათ. მე ეს შევნიშნე და ვუთხარი: მძიმე უნაგირი იმიტომ გავაკეთებინე, რომ საჭიროების დროს ბარგისთვისაც გამომდგარიყო. ისინი ამით დავაშოშმინე. შემდეგ შევატყვე, რომ ჩემი გასინჯვაც უნდათ. ჯერ ერთმა და მერე მეორემ ცალცალკე გამიხმეს და მეუბნებოდენ, თუ მაქვს რამე იმისთანა, რაზედაც ბაჟი არ გადამიხდია, მიმეცა მათთვის საჩუქარი და არ გამამხელდენ! – მეგობრებო, მივუგე მე, ნუ ეძებთ მიზეზებს ჩემს გასასინჯად: თუ გსურთ გამსინჯეთ, აი, გამსინჯეთ, – ვუთხარი ეს თუ არა, გავიხსენი ჟილეტი და ვაჩვენე ჩემი ქისა. ამ გაბედულებამ დამიფარა და მებაჟეებმა აღარ გამსინჯეს. მე წავედი მათთან ერთად მათ უფროსთან: განგებ მოვიმტირალე თავი ძლიერ შეწუხებული ვეჩვენე და ვუთხარი: – თქვენთან არ დავბინავდი და ამიტომ წამართვეს ერთი ნაწილი ჩემი ოქროსი: – მე კარგად გირჩიე, – მომიგო მან; ვიფიქრე რომ აგრე მოგივიდოდა. ძალა დამატანა მეთქვა მისთვის, რამდენი წამართვეს, ვინ წამართვა: მარწმუნებდა, უსათუოდ დამიბრუნებდა დანაკარგს, მე ვუთხარი რომ მოკვლას დამექადნენ, თუ ვიტყვი. მართალიც იყო ეს. გულით მსურდა გავცლოდი გონიოს: აღარ მსურდა დამეწყო დავა. შევევედრე მებაჟეს, თავის

ნათქვამი აესრულებინა. მან ამისრულა: მომცა ორი კაცი, რომ ჩემი ბარგი საღამომდინ ეტარებინათ: მომცა კიდევ ერთი ოსმალო, რომ ახალციხემდინ მივეცილებინე. უბრძანა იმ ორ კაცს, – ბარათი მოიტანეთ ამისაგან დასარწმუნებლად, რომ მშვიდობით მივიდა ბინაზე: ოსმალოს

მისცა ბრძანება, რომ გზაზე არავის დავებრკოლებინე. აი ბრძანება:

„გზის მცველებო, მამასახლისებო, მსაჯულებო, ქეთხუდებო, მოაცილეთ სოფლიდან სოფლამდე, თვით ჰასსან ფაშის სახლამდე ჟანი, მისი ზარაფი. მიეცით ფულით ცხენები და კაცები, რამდენიც კი მოითხოვოს, ეს და მისი ბარგი უნდა მთლად იმ ადგილების მცხოვრებლებმა დაიცვან და გაუფრთხილდენ, სადაც გაივლის: წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებლები პასუხისგებაში მიეცმიან“.

6.

3-ს ხუთი ეჯი გავიარე ფეხით. სამ კაცს მოჰქონდა ჩემი ბარგი, ბევრჯელ ისე ახლო გავივლიდით საშინელ ხრამის პირზე, რომ შემზარავდა. სულ აღმართ-დაღმართ მივდიოდით: ამ ხუთ ეჯში ორიც არ გამორეულა სწორი გზა.

4-ს დავრჩი ერთ სოფელში, სადაც წინა დღეს მივედი: წვიმამ, თოვლმა და ქარიშხალმა არ გაგვიშვა წავსულიყავით. ამ სოფელში მოსახლეობდენ ქრისტიანები და მუსლიმანები.

5-ს და 6-ს თერთმეტი ეჯი გავიარე. თუმცა ცხენები მყავდა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ სამი ეჯი არ გამივლია ცხენით: ყოველ წამს უნდა ჩამოვმხდარიყავ, რადგან ვიწრო და ძნელი სავლელი გზები იყო. ცხენი ძლივს იკიდებდა ფეხსა.

7-ს და 8-ს თექვსმეტი ეჯი გავიარე; ჯერ ხან შევჯდებოდი ცხენზე, ხან ჩამოვხტებოდი: მერე ვაკე გზა დაიწყო, მაგრამ ძალიან მიხვეულ-მოხვეული იყო. კავკასიის მთებში ვიყავით მოსულნი. ოთხი ეჯი ბოლოს სულ თავ-ქვე გზა იყო. ნახევრად რომ გავიარეთ ეს დაღმართი, მაღლობებსა და მთის წვერებზე გამოჩნდა ციხეებისა და

ეკლესიების ნანგრევები. იქაურები ამბობენ, ბევრი ციხე

და ეკლესია იყო, მაგრამ ოსმალოებმა დაანგრიესო. მთის ძირში იწყება მშვენიერი ვაკე, რომელიც სიგანით სამი ეჯი იქნება. ეს ვაკე ნაყოფიერი ალაგია, უხვად მომცემი და მთლად სოფლებით სავსე. შუაში ჩამოუდის მდინარე მტკვარი.

აზია რამდენსამე ნაწილად იყოფა დიდის მთის ქედებითა. ამ ქედებში ერთი იწოდება ტავრად, მეორე ინაუსად და მესამე კავკასად. ტავრის მთა უფრო ღრმად არის შეწეული აზიაში. მთლად ეს მთა გრეხილი საზოგადოდ იწოდება ტავრის მთად. ვამბობ საზოგადოდ, რადგან მის თითოეულ შტოს საკუთარი სახელი აქვს და ამ საკუთარ სახელს მახლობელად მცხოვრებელი ხალხი უწოდებს. მესამე ქედი, კავკასიონი, უფრო ახლოა ევროპაზე: ის მდებარეობს შავისა და კასპიის ზღვების შუა, რუსეთისა და ოსმალეთის შუა. ბევრნი ვერ არჩევენ ერთმანეთში ამ სამ ქედს: სხვათა შორის ვერ არჩევენ პლინიუსი და კვინტ-კურციუსი, რომლებსაც ინდოეთში ჰგონიათ კავკასიონი. სტრაბონი, რომელიც ლაპარაკობს ამ მთაზე თავისი გეოგრაფიის მეთერთმეტე წიგნში, ამბობს: თუმცა ეს ავტორები ეთანხმებიან ერთმანეთს ამ საგნის შესახებ, მათ მაინც არ უნდა დაუჯეროთ, რადგან წარმოსთქვეს ეს მხოლოდ პირ-მოთნეობით, რომ უკეთესად შეექოთ ალექსანდრე, რომლისთვისაც რასაკვირველია, უმეტესი დიდება იქნებოდა, გაევრცელებინა თავისი ძლევამოსილობა ინდოეთის მთების იქით, ვიდრე გარდევლო იარაღით ხელში მხოლოდ ევქსინის პონტის მახლობელი მთები. მე დავიჯერებდი, რომ ეს შეცდომა არის და შეცდომა მხოლოდ გეოგრაფიული, რომელიც მოსვლია კვინტ-კურციუსს რაიმე განზრახვის გარეშე, როგორც მაგალითად, ის შეცდომა, როცა ამბობს, განგესი სამხრეთიდან მომდინარეობსო, ან იაქსარტი ტანაისიაო, – დავიჯერებდი,

რომ არ ამბობდეს იმ მეექვსე წიგნში: კავკასია მდებარეობს ჰირკანიისა და ფაზისს შორისო.

კავკასიონი ყველაზე დიდი და ძნელი გადასასვლელი მთა არის ყველა იმ მთებში, რომელიც მე მინახავს: ეს იქიდანაც ჩანს, რაც აქამდე ვსთქვი: ციცაბოებით და საზარელი ფრიალოებით არის ეს მთა სავსე.

ბევრი შრომა დასჭირვებია აქ ზოგიერთ ალაგას ბილიკების გაყვანასა, და გამოკვეთას. მთა მთლად თოვლით იყო დაფარული, როდესაც მე გადავიარე: თითქმის ყოველგან ათ გოჯზე მეტი თოვლი იდვა. ჩემს ყოლაუზებს

რამდენსამე ადგილას გზის გაწმენდა დასჭირდათ ნიჩბებითა. ფეხებზე ეცვათ ერთგვარი თოვლზე სასიარულოდ მოწყობილი ქალამნები, რომლებიც მე მხოლოდ ამ ქვეყანაში ვნახე, ამ ფეხსაცმელს ძირი გრძელი და თხილამურის მაგგვარი აქვს, თუმცა ისე განიერი არა. აგრეთვე ბადე უფრო თხელია და ფიცარი მთლად მრგვალი, ეს ფეხსაცმელი იფარავს თოვლში ჩაფლობისაგან, რადგან თითის დადებაზე მეტი არ ჩადის თოვლში. ისინი მარდად დარბოდენ თოვლზე, მხოლოდ მქრქალ და განურკვეველ კვალსა ტოვებდენ, რადგან ამ ფეხსაცმელს არც თავი უჩანს და არც ბოლო. კავკასიონის სიმაღლეებზე მუდამ თოვლი ძევს და გადასავალი გზა რვა ეჯის სიგრძეზე ძალიან უდაბურია. 7-ს ღამეს თოვლში გავატარე. გავაკაფინე ნაძვი და დიდი ცეცხლი დავანთებინე. როდესაც მთის წვერზე ავედით, ჩემი თანამგზავრები ევედრნენ თავიანთ ხატებს: მოეღოთ წყალობა და არ ამოვარდნილიყო ქარი. მართლაც და, რომ ცოტათი ძლიერი ქარი ამდგარიყო, უსათუოდ წაგვბუქავდა: თოვლი ფხვიერი და მტვერივით წმინდა იყო: ქარი აიტაცებდა ამ ფხვიერ თოვლს და ჰაერს გაავსებდა. ღვთის მადლით თითქმის სრულებით არ იყო ქარი. ცხენები ისე ღრმად იფლობოდნენ ზოგან, მეგონა ვეღარ ამოაღწევდენ. თითქმის სულ ფეხით მივდი-

ოდი: რვა ეჯიც არ გამივლია ცხენით, ისე გადავიარე ეს შესანიშნავი მთა, რომელიც არის ოცდათექვსმეტი მილი. უკანასკნელ ორ დღეს ჩემი თავი ღრუბელში მეგონა. ოც ნაბიჯს იქით ვეღარას ვხედავდი, თუმცა მართალია, ტყე, რომლითაც შემოსილა მთის წვერი, ძლიერ უშლის შორს დანახვას. ტყე ნაძვისაა. აქ სხვა ხეები ვერ ვნახე, რამაც ძლიერ დამაღონა: მეგონა, ქვეყნის უმაღლეს მთაზე ვარ, ანდა აზიის უმაღლეს მთაზე მაინცა; ძალიან მინდოდა დავრწმუნებულიყავ, მართალს ამბობდნენ ბუნებისმეტყველნი და გამომკვლეველნი თუ არა, რომ ძალიან მაღალი მთების წვერებზე ხის ფურცლები ყოველთვის ერთგვარ მდგომარეობაშიაო. რადგან ქარი და ღრუბლები, რომლებსაც შეუძლიათ ჩამოჰყარონ ისინი, უფრო დაბლაა და ვერას დროს ვერ ააღწევს იმ სიმაღლესაო. ეს ვერსად ვერ შევნიშნე. აგრეთვე ვერ შევნიშნე, რომ იმ ჰაერში შეუძლებელი ყოფილიყო ცხოვრება, როგორც ისინი ამტკიცებდენ.

მართალია იქ ჰაერი ძლიერ თხელი და მშრალია, მაგრამ, ვგონებ იქ ისევე შეიძლება ცხოვრება, როგორც

ძალიან შეკუმშულ ჰაერში: იმის მიზეზი კი, რომ იქ არავინ სახლობს, მხოლოდ ვაჭრობა და აღებ-მიცემობაა. ძნელია კაცმა იქონიოს აქიდან დანარჩენ ქვეყანასთან რაიმე ურთიერთობა და დამოკიდებულება. ამ საშინელ მთას რომ ჩამოვდიოდით, ვხედავდი ღრუბლებს, რომელნიც იძროდენ ჩემ ქვევით, თვალ ჩაუწვდენელ სიღრმეში. ჩემი თავი ჰაერში მეგონებოდა, რომ არ მეგრძნო, თუ რანაირად ვიდექ დედა-მიწაზე.

კავკასიის მთა თვით წვერამდე ნაყოფიერია და უხვი თაფლით, პურით და ღომით; აგრეთვე ბლომად არის იქ ღვინო, ხილი, ღორი და მსხვილი საქონელი. ყველგან მშვენიერი წყლებია. რამდენიმე სოფელია იქ. ვაზი ხეების გარშემო იზრდება და ისე მაღლა ეხვევა, რომ ხან-

დისხან შუძლებლია მისწვდეს კაცი ყურძენს, დასაკრეფად. რთველი იყო, როდესაც გავიარე. ვშოულობდი ყურძენს, მაჭარსა და მშვენიერ ძველ ღვინოს. ღვინო იქ იაფია: ზოგან სამას გირვანქა ღვინოს ერთ ეკიუთი იყიდით: რადგან სოფლელები ვერა ჰყიდიან იმდენ ღვინოს, რამდენის დაყენებაც შეუძლიათ, ყურძენს არ კრეფენ მთლად და ვაზებზედვე ალპობენ. გლეხები ხის ქოხებში ცხოვრობენ: ყველა ოჯახს ოთხი-ხუთი ქოხი აქვს. ცეცხლს ანთებენ უფრო დიდი ქოხის შუაზე და ყველანი გარშემო უსხედან. დედა-კაცები ხორბალს მაშინ გამოჰფქვავენ, როცა პური დასჭირდებათ. პურს აცხობენ კეცებში, კეცები ორიოდ-სამიოდ თითის დადებაა სიღრმითა და ირგვლივ იქნება ერთი ფუტი. ძალიან გაახურებენ კეცს, ჩასდებენ შიგ პურს, ზედ წააყრიან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს. ისეთი ადგილებიც არის, სადაც პირდაპირ ნაცარში აცხობენ პურს, გამოსწმენდენ კერიის ერთ კუთხეს, ჩასდებენ შიგ ცომს და ზევიდან ცხელ ნაცარს და ნაღვერდალს წააყრიან. თუმცა ესე აცხობენ, მაგრამ პურის ქერქი მაინც საკმაოდ თეთრია და პურიც ძლიერ კარგი. ღვინოს ისევე ინახავენ, როგორც სამეგრელოში. საღამოობით ვბინავდებოდი იმ გლეხისას, რომელიც ცხენებს ან მეზარგულეებს მაქირავებდა. გამყოლი ოსმალო მემსახურეობდა მარდად და კარგად, იმდენად, რამდენადაც კი შესაძლებლი იყო იმ ადგილებში. ჩვენ გვაძლევდენ, ქათმებს, კვერცხებს, მწვანილს. ღვინო, პური და ხილი უხვად იყო რადგან ყველა მახლობელ ოჯახს მოჰქონდა როგორც ბეგარა, ერთი დიდი ხელადა ღვინო, ერთი

კალათა ხილი და ერთი ცხრა პური, ფასს არა მთხოვდენ
და ზრდილობაც მიშლიდა რამე მეჩუქებინა მათთვის: მე-
შინოდა უმართებულობაში არ ჩამოერთვათ.

54

მგელივით ვჭამდი, მაგრამ ორი სამი საათის უკან ისევ
მომშივდებოდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ დავ-
სუსტდებოდი სამ თვეს სამეგრელოში, სადაც არა მქონდა
პური, გაჭირვებაში ვიყავი და ვძრწოდი უფრო დიდ უბე-
დურებათა მოლოდინში. ახლა, მადლობა ღმერთს, კვალად
მშვიდ და უხვ ქვეყანაში ვიყავი; მოვედი საძაგელი ქვეყ-
ნიდან, სადაც ფულითაც ვერ ვშოულობდი საჭმელს, იმ
ქვეყანაში, სადაც უსასყიდლოდ მასაზრდოებდნენ. ამის-
თანა უკიდურესობა უნდა გამოსცადოს კაცმა, რომ იგრ-
ძნოს, რამდენად სასიამოვნოა მისთვის ამგვარი ბედნიე-
რი ცვლილება.

მთების მცხოვრებნი უმეტესად მართლმადიდებელი
ქრისტიანენი არიან. მშვენიერი ელფერი აქვს ხალხსა,
ძალიან მშვენიერი სახის დედაკაცები ვნახე იმათში. აქაუ-
რები გაცილებით კარგად არიან მოწყობილი, ვიდრე მე-
გრელები და კავკასიის სხვა ხალხი, რომელიც ოსმალე-
თის ქვეშევრდომი არ არის.

9-ს ხუთი ეჯი გავიარე ხეობაში. დასამუშავებლად გა-
მოსადეგია იქაური ნიადაგი. გორებზე, რომლებითაც შე-
მოზღუდულია ეს ხეობა, მოჩანდა მრავალი შინაური
პირუტყვი. საღამოზე ახალციხეში მივედი.

ახალციხე არის კავკასიის მთაზე აშენებული ციხე:
იგი დგას ოცამდე სხვადასხვა გორებს შუა. ამ გორები-
დან ადვილად შეიძლება ყოველმხრივ მისწვდეს ტყვია.
გარს ორი კედელი და კოშკი არტყია. კედლებიც და
კოშკებიც ძველებურად არიან ქონგურებით მოცულნი.
ციხეს მცირე არტილერია აქვს. იქვე ახლო, გორებზე და
და მაღლობებზე, დაბაა გაშენებული. დაბაში ოთხასზე
მეტი სახლია, რომლებიც თითქმის ყველა ახალია, ამ ცო-
ტა ხანშია აშენებული. იქ ძველი არაფერი არ არის
სომხის ორი ეკლესიის გარდა. დაბაში ცხოვრობენ ოსმა-
ლოები, სომხები, ქართველები, ბერძნები და ებრაელები.

55

ქრისტიანებს აქ აქვთ ეკლესიები, ებრაელებს – თორა.
აქ არის აგრეთვე ახალი ქარვასლა, რომელიც ხისაგან
არის აშენებული, როგორც თითქმის სხვა ყველა აქაური

სახლები. ახლო ჩამოუდის მდინარე მტკვარი, რომელსაც სათავე აქვს კავკასიის მთებში, რამდენსამე ათ ეჯზე ამ დაბიდან. სტრაბონის სიტყვით მისი სათავე სომხეთშია. პტოლომეი კი ამბობს, რომ სათავე მტკვრისა კოლხიდა-შიაო, ხოლო პლინის სიტყვით მტკვარი გამოდის ოსმალეთის მთებიდან, რომლებიც კოლხიდის ზევით მდებარეობენ და იწოდებიან კორაქსისად მდინარე კორაქსის გამო. ეს მდინარეც იქიდან გამოდის და შავ ზღვაში ჩადისო. ეს სხვადასხვა აზრი შეიძლება ერთმანეთს უდგებოდეს და ერთი და იგივეც იყოს, რადგან სომხეთი არტყია კოლხიდას და თვით კოლხიდას ოდესმე დიდი ადგილი ეჭირა. ახალციხის ფაშა ციხეში ცხოვრობს. აფიცრები და ჯარი ახლო-მახლო სოფლებში არიან დაბანაკებულნი. სპარსეთის ისტორია ამბობს, ციხე ქართველებისაგან არის აშენებული და ოსმალოებმა წაართვეს უკანასკნელი საუკუნის დამლევსო: ოსმალოებს მიუმატებიათ ამ ციხისათვის ახალი შენობები, როგორც მეორე ციხისთვისაც, რომელიც სამი დღის სავალზე არის იქიდან და იწოდება დმანად.

13-ს დილის ორ საათზე გავემგზავრენით ახალციხიდან. აღმოსავლეთისაკენ წავედით. სამი ეჯის იქით ახალციხის ვაკე ვიწროვდება, მთები ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ნახევარი ეჯის სიგანე ვაკის მეტი აღარ რჩება. ამ ადგილას არის მაგარი ციხე ოსმალოებისა აშენებული კლდეზე, მტკვრის მარჯვნივ. კლდე გარშემოზღუდულია წყვილის კედლით. ციხის გარშემო გაშენებულია პატარა ქალაქი ახალციხის მაგვარად. ამ ადგილს უსკერი ჰქვია. აქ არის სანჯაყი, ჯარი, მხედრობა, მებაჟე. ძალიან მეშინოდა, არ შევეყენებინეთ და არ გა-

ვესინჯეთ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ისე გამიშვეს, სრულებითაც არა მითხრეს რა. მეურმე, რომელსაც მოვყავდი, გორელი იყო. ციხის უმფროსმა ჰკითხა, ხომ გორიდან ხარო. მან მიუგო, – დიაღო. სხვა აღარაფერი ჰკითხეს და გაუშვეს ისიც და ისინიც ვინც მას მოსდევდნენ. გორის ხანსა და ახალციხის ფაშას მეგობრობა აქვთ ერთმანეთში. ეს არის იმის მიზეზი, რომ ოსმალოები კარგად ეპყრობიან ქართველებს. უსკერიდან ორ ეჯზე გადასასვლელია მთა, რომელიც ჰყოფს აქ სპარსეთს ოსმალეთისაგან. გადავიარეთ ეს მთა და მერე სიგრძეზე ჩავყევით. მთაზე ბევრი სოფელია გაშენებული. ძირს მომდინარეობს მტკვარი. რამდენსამე ადგილას

მოჩანს კოშკების, ციხეებისა და ეკლესიების ნანგრევები: ეს არის ნაშთი საქართველოს დიდებისა და ოსმალეთ-სპარსების მძვინვარებისა. გავიარეთ ათი ეჯი და ღამე დავდექით ერთ პატარა ქალაქში.

14-ს მხოლოდ ოთხი ეჯი გავიარეთ, ერთობ ოღრო-ჩოღრო გზა იყო ამ მთებში. აქ არის მეტად ძნელი და შეუვალი გასავლები და მრავალი ციხის ნანგრევები. ჩვენ დავდექით სურამის ვაკეზე ერთ დიდ სოფელში, რომელიც ციხის მახლობლად არის გაშენებული. მშვე-ნიერი ვაკეა. შემოსილია დაბალი ტყით და სავსეა სოფ-ლებით, აგარაკებით, ქართველთა ბატონების კოშკებით. მთელი მხარე დამუშავებულია. ერთი სიტყვით, ეს არის ერთი უმშვენიერესი მხარე.

7.

15-ს გავიარეთ ათი ეჯის სიგრძე ცხრა მინდორი: ერ-თიც პატარა მთა გადავიარეთ. მთა ამ მინდვრების და ქ. გორის შუაში ძევს: ყოველ მხრივ მოჩანდა მშვენიერი სოფლები, დამუშავებული მიწები და ნაყოფიერი ადგი-ლები. მარჯვნივ, მანამ მთაზე ახვალ, დაგვრჩა ერთი

დიდი ქალაქი, რომელიც თითქმის სულ მთლად დანგრეუ-ლი იყო: იქ ხუთასამდინ მოსახლე ცხოვრობსო: ადრევე კი 12 ათასი კომლი იყოვო. იმ ქალაქში არის საეპისკო-პოზო კათედრა და ერთი დიდი ეკლესია ქართველებისა-გან აშენებული.

მთიდან რომ ჩავდიოდით, ღამემ მოგვისწრო. გორში რომ შევედი, პირდაპირ იტალიელ კაპუცინების ბინისა-კენ გავსწიე. იმათთან ჩემს შესახებ წერილები მქონდა. სამი წელიწადია რაც ამ ბერებმა დაარსეს ქუთაისში უცხოთათვის სავანე სახლი: აზრად ჰქონდათ, იქიდან სა-მეგრელოში გასულიყვნენ და იქ დაბინავებულიყვნენ, მაგრამ, რადგანაც ამ ქვეყნებში დაუცხრომელი ომები და ავაზაკობა იყო, მეფე კი ყურს არ უგდებდა, ანუ უკეთ ვთქვათ, არ იცოდა, როგორ მოესპო ყველა ეს, იძულებულნი გახდენ, აღმოსავლეთ საქართველოში გად-მოსულიყვნენ. ამ კაპუცინებს შეეძლოთ მოეცათ ჩემთვის რჩევა და შემწეობა. გამოვეცნაურე მათ და ვუთხარი, რომ სპარსეთის შაჰმა გამგზავნა საფრანგეთში: მომცა ბრძანება თავის სახელმწიფოს ყველა მმართველთან: მი-სი დიდებულება სწერს მათ, რომ პატივით მიმიღონ და

ყოველგვარი საჭირო შემწეობა აღმომიჩინონ. ვუამბე, რომ მე სპარსეთში წამოველ შავი ზღვით და სამეგრელოთი: სამეგრელოში ომს შევესწარი და ათასი უბედურება გადამხდა. ვერავითარი ღონისძიებით ვერ გამოვიტანე ის ნივთები, რომელიც შაჰისათვის მომქონდა, ამიტომ ჩემს ამხანაგთან დავტოვე და მე საქართველოში წამოვედი. იქნება შემწეობა აღმომიჩინოს ვინმემ. ახლა სულით და გულით გევედრებით მირჩიოთ რამე და გაჭირვებიდან დამიხსნათ. ამას ვალად გდებთ, როგორც სიყვარული ისე სხვა მოსაზრებაც. მამები შეაწუხა ჩემმა თავგადასავალმა და იმ განსაცდელმა, რომელიც ჩემს ამხანაგსა და ქონებას მოელოდა სამეგრელოში. მითხრეს

რამდენადაც შეგვიძლია ვეცდებით, როცა პრეფექტისაგან ბრძანებას მივიღებთ, უიმისოდ კი არა შეგვიძლია რაო. პრეფექტი ახლა ტფილისშია მეფესთან: უმჯობესი იქნება, შენ თვითონ წახვიდე მასთან. ისე დამარწმუნეს რომ გადავწყვიტე წასვლა და ცხენებიც დავაქირავებინე. წინამძღვარმა უბრძანა დე-ვიტერბს, მომზადებულიყო და გამომყოლოდა.

ეს საეროთაგანი კაპუცინი ძალიან კეთილი და პატიოსანი კაცი იყო: კარგად იცოდა ექიმობა, მოტეხილისა და დაჭრილის წამლობა. საქართველოში და იმერეთში ისეთი ავადმყოფები და დაჭრილები მოერჩინა, რომ მათი მორჩენა არავის ეგონა, და ამით დიდი პატივი დაემსახურებინა. ქართული კარგად იცოდა და მთელი საქართველო თავიდან ბოლომდინ დავლილი ჰქონდა. ძალიან გამბედავი, მომთმენი, ლმობიერი და კეთილგონიერი იყო. მე უკეთეს თანამგზავრს ვერ ვიშოვნიდი. მშვენიერი ამხანაგობა გამიწია. ვუთხარი, თუ სამეგრელოში წამომყვები, ჩემთვის დიდი შემწეობა და ნუგეში იქნება! – დიდის სიამოვნებით გამოგყვებიო, – მითხრა, – მხოლოდ პრეზიდენტისაგან ნებართვა აიღეო.

16 დეკემბერს მე და ეს კეთილი ბერი გავემგზავრენით გორიდან. ჩვენ გავიარეთ შვიდი ეჯი თითქმის სულ მტკვრის პირად. გზა კარგი იყო, გადიოდა ნაყოფიერ მინდვრებზე, სადაც მრავლად იყო სოფლები. გზაზე არის ერთი თითქმის მთლად დაქცეული ქალაქი კალიყალა. ეს გზა ზედ კალიყალას შუაზე გადიოდა. გორიდან აქამდინ ოთხი ეჯია.

17-ს ექვს ეჯზე მეტი გავიარეთ. გზა სწორი, მაგრამ ზოგან ცოტა ქვიანი იყო. ჩვენ გავიარეთ საქართველოს

საკათალიკოზო ეკლესიის პირდაპირ, რომელიც მტკვრის
პირას არის აშენებული. ერთი ნახევარი ეკლესიისა დან-
გრეული იყო, მეორე ნახევარი კი არ იყო დანგრეული და

მშვენივრად მოჩანდა. ამბობენ, ამ ეკლესიაში ეკლის
გვირგვინის ნაწილი, კვართისა და ილია წინასწარმეტ-
ყველის ტანთსაცმელის ნაჭრებიაო. მე ვერ ვნახე ეს
წმინდა ნაშთები: კაპუცინმა დამარმწუნა, – მე მინახავ-
სო. საღამოზე მივედით ტფილისში: მთელი დღე ძლიერ
თოვდა და ამის გამო ადრე ვერ მივედით. კაპუცინმა
თავიანთ ბინაზე წამიყვანა. მაშინვე ვუამბე პრეფექტს
ჩემი მისვლის მიზეზი. წერილებიდან, რომლებიც წარ-
ვუდგინე მას, გაიგო ჩემი ვინაობა. მხოლოდ ისღა იყო
საჭირო, რომ კარგად ჩამეგონებინა მისთვის, თუ რა მოე-
ლოდა ჩემს ქონებას, რომელიც სამეგრელოში დავტოვე;
ავუხსენი, რომ აუცილებლად საჭირო იყო, როგორმე გა-
მოგვეტანა ჩემი ქონება სამეგრელოდან. მოვახსენე პრე-
ფექტს: – ჩემის აზრით ორი საშუალება დაგვრჩენია,
რომ შევასრულოთ ეს ჩვენი განზრახვა: თითოეულ ამ სა-
შუალებათაგანს თავისი კარგი მხარეებიც აქვს და ცუ-
დიცა. პირველი საშუალება ის იყო, რომ მეამბნა ჩემი
ვინაობა საქართველოს მეფისათვის, მეჩვენებინა შაჰის
ბრძანება და მეთხოვნა შემწეობა, რათა სამეგრელოდამ
გამომეტანა ის ნივთები, რაც მის დიდებულებას, შაჰს
ეკუთვნოდა. მეორე საშუალება იყო: იდუმალად წავსუ-
ლიყავით იმ ქვეყანაში, არ გაგვეცხადებინა არც ჩვენი
თავი და არც ის, თუ რისთვის მივდიოდით. მე მეორე
საშუალება მერჩივნა, მაგრამ პრეფექტს არ შევამჩნევინე.
პრეფექტმა მითხრა, – მოითმინეთ ცოტა ხანს, ვიფიქრე-
ბო. ისიც მითხრა, რაც მე მიამბე, ეგევე ბერებსაც უთხა-
რი, რადგან ისინი სამეგრელოში და იმერეთში ნავალი
არიან და შეუძლიათ ამ საქმეში დაგვეხმარონო. ამასთა-
ნავე აღმითქვა, ვუბრძანებ, ეს საიდუმლო არავის უთხრა-
ნო. შევასრულე პრეფექტის ნება, ვუამბე ბერებს და შე-
ვეხვეწე, ერჩიათ რამე, დამხმარებოდენ ამ გაჭირვებაში.

60

18-ს სადილის შემდეგ, პრეფექტმა მე და ბერები თა-
ვის ოჯახში შეგვიყვანა. გვითხრა თავისი აზრი ჩემის
საქმის შესახებ. ბერებმაც წარმოსთქვეს თავიანთი აზრი:
თითქმის ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ ფარულად შევ-

დგომიყავით საქმეს: არ გაგვეცხადებინა ჩვენი თავი და
იდუმალად წავსულიყავით სამეგრელოში. იმათ მით-
ხრეს, – თუ ამ საქმეს საქართველოს მეფეს შეატყობი-
ნებთ, ის უსათუოდ მოგცემთ საჭირო შემწეობასაო; გაგ-
ზავნის კაცებს და უეჭველად გადმოატანინებს ყველა-
ფერს, რაც იქ დაგიტოვებია, რადგანაც სამეგრელოში
და იმერეთში მისი დიდი შიში და ხათრი აქვთო, მაგრამ
საქმე გაზვიადდება და ვაი თუ სულ დაიღუპოვო; და-
ბრუნების დროს რამე ხიფათს შეგამთხვევენ, მოგკლავენ
და სულ ერთიანად წაიღებენ, რაც გაბადიაო. აქ ყველა-
ფრისა უნდა ეშინოდეს კაცსა: ადგილები, რომელზედაც
უნდა გაიაროს კაცმა, თავგანწირული ავაზაკების და კა-
ცის მკვლელების ბუნაგებით არის მოფენილიო.

ქართველებიც ძალიან ორგულები და ბოროტები
არიანო. დიდი ხანი არ არის, რაც გაცარცვეს ერთი ვი-
ღაც პატრიარქი, რომელმაც საქართველოზე გამოიარა,
ეჭვი თვით მეფეზე აიღეს, ვითომ იმან გააცარცვინა იდუ-
მალად და წაართმევინა ქონება, რომელიც თან მოჰქონ-
დაო. ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საქართველოს
მეფე აგრე რიგად არ ემორჩილება სპარსეთის შაჰის
ბრძანებას:

ვთქვათ, მეფე გულწრფელად გაისარჯა, მაშინ ის
დიდ საჩუქარს მოითხოვს და ვერ დააკმაყოფილებ ვერც
მეფს და ვერც მის ოჯახობასაო.

აღტაცებაში მოვედი, როდესაც დავრწმუნდი, რომ
კაპუცინებიც ჩემი აზრისა იყენენ. გადავსწყვიტე წავსუ-
ლიყავით ფარულად მე და ჩემი თანამგზავრი ანჟი, გა-
გვევრცელებინა ხმა, ვითომ მე კოლხიდელი თეატინი

ვარ: ისინი ომიანობის გამო გაჭირვებულ ყოფაში არიან
და კაპუცინებს შემწეობას თხოვენ: ამის გამო კაპუცი-
ნებმა ერთი თავიანთი ამხანაგი გაგზავნეს იმათ გამოსა-
ყვანად. მაშინვე სამგზავროდ მოვემზადე. ამოვალაგე
უნაგირსა და ბალიშში დამალული ძვირფასი თვლები,
ყუთში ჩავაწყე, დავკეტე და პრეფექტს მივაბარე შესა-
ნახად. გვეგონა, ვერ ვიშოვიდით ქირით ცხენებს, რად-
გან არავის არ სურდა სამეგრელოში წამოსვლა. ბოლოს
ფული დავხარბეთ და დავიქირავეთ ორი ჩალვადარი.
შევპირდით, გიზღავთ ცხენებსაც და ბარგსაც, თუ რამე
ხიფათი შეგვემთხვევაო.

20-ს გავემგზავრენით მე, ანჟი და ერთი კაპუცინე-
ბის მეგობარი ქუთაისელი ქართველი; ის ათასჯერ ყო-

ფილიყო სამეგრელოში და მის ახლო-მახლო. პრეფექტმა
გამომატანა თან სანდო კაცი: ჩვენ სულ ხუთნი ვიყავით:
ოთხი ცხენი გვყავდა. მე და ანჟი ცხენებზე ვისხედით:
ორ სხვა ცხენზე სურსათი ეკიდა. ჩვენ ყველას ვეუბნე-
ბოდით, რომ მივდივართ სამეგრელოში იქაური თეა-
ტინების სანახავადო. მინამ ტფილისიდან წამოვიდოდი,
ჩემი მსახური დავითხოვე. იმ მუხთალმა ათას ხიფათს გა-
დამკიდა, რამდენჯერმე მოინდომა ჩემი დაღუპვა. ვუამ-
ბე კაპუცინებს, რა ყოფა დამაყენა გონიოში. მირჩიეს
დამეტუსაღებინა ჩემ დაბრუნებამდის და მერე სამართალ-
ში მიმეცა, მაგრამ ყოველივე მიუტევე. მეგონა ცას გა-
ვარისხებდი, თუ ამ უბედურს დავასჯევინებდი, როდესაც
ზენა მოწყალების თვალით მიყურებდა. ჯამაგირი მივეცი
და დავითხოვე: ვუთხარ კი, რომ მღალატობდა და ვურ-
ჩიე გასწორებულიყო. ჩემმა გულკეთილობამ არ იმოქმედა
და ისე გაცოფდა, რომ შემეშინდა, რამე უბედურება არ
შეემთხვია. მოვინდომე შემეყენებინა. საკმაო იყო მენიშ-
ნებინა კაპუცინებისათვის; იმათ გავლენა ჰქონდათ ტფი-
ლისში: არ მოვინდომე. განგებამ დამიშალა. მთლად მო-

წყალებად გარდავიქეცი. ღმერთმაც მოიღო ჩემზე მოწყა-
ლება. ნახავთ, როგორ შემიწყალა და დამიფარა მან გან-
საცდელისაგან, რომელიც შემამთხვია იმ მუხთალმა მო-
სამსახურემ.

21-ს გორში დავბრუნდი. 22-ს გავემგზავრენით: გო-
რიდან ექვს ეჯზე ღამე ერთ სოფელში დავდექით, რო-
მელიც ახალციხის გზაზე იყო. ამ სოფელზე გამოვიარე,
როცა მოვდიოდი.

23-ს, განთიადისას, გავემგზავრენით. ახალციხის გზა
მარცხნივ დაგვრჩა. შუადღისას მივედით ერთ პატარა სო-
ფელში, რომელსაც ალი ეწოდება. ის ცხრა ეჯზე არის
გორიდან და ორი მთის შუა მდებარეობს. იქიდან ორ
ეჯზე გავიარეთ ვიწრო კლდეკარი, რომელიც იკეტება
ხარიხებით. ეს მიჯნაა საქართველოს და იმერეთის სა-
მეფოებისა. გავიარეთ კიდევ ერთი ეჯი და ერთ პატარა
ქალაქში დავდექით.

24-ს შვიდი ეჯი გავიარეთ მთებში. ძალიან თოვდა
და მთები თოვლით ავსილიყო. ეს მთები აყრილი ტყით
არის შემოსილი. გვეგონა გზას დავკარგავდით, რადგანაც
თოვლს მთლად დაეფარა ბილიკები, და გზა აღარ ჩან-
და. ღამე ერთ სოფელშიდავდექით, რომელსაც კოლბაუ-
რი *) ეწოდება. რამდენიმე ასი კომლია ამ სოფელში.

სახლები სიგრძეზე არის ჩამწკრივებული და ისე დაშორებით დგანან ერთმანეთზე, რომ პირველიდან უკანასკნელამდინ ერთ ეჯზე მეტი მანძილი იქნება.

25-ს მხოლოდ სამი ეჯი გავიარეთ. თოვლმა, სიცივემ და ბურუსმა გზა შეგვიკრა: მეტის გავლა აღარ შეიძლებოდა. ღამე ერთს სოფელში დავდექით, რომელშიაც ოცდა ათი კომლი მცხოვრები იყო.

---

*) დღევანდელი კორბოული – საჩხერის ახლო.

26-ს ცა უფრო მოწმენდილი იყო, აღარც თოვდა და აღარც ისე საშინლად ციოდა. ექვსი ეჯი გავიარეთ სულ ტყით შემოსილ მთებში, გზა საკმაოდ სწორი იყო: არც აღმართები და არც დაღმართები ჰქონდა. ღამე პატარა სოფელში დავდექით, რომელიც ერთი დიდი მდინარის პირზე მდებარეობს.

27-ს გავედით ნავით მდინარეზე, სამი ეჯი გავიარეთ: გზა ისეთი სწორი იყო, როგორც წინა დღეს. მთიდან ერთ თვალგაუწვდენელ მშვენიერ ვაკეში ჩავედით და სოფელ სეზანოში დავბინავდით. ამ ვაკეს თითქმის ყველგან ერთი ეჯი სიგანე აქვს. ძალიან ნაყოფიერი და მშვენიერი ვაკეა: მშვენიერის წყლებითაც ირწყვება. ვაკე სამეგრელომდის ჩასდევს. ეს უუმშვენიერესი მხარეა იმერეთისა. მთები, რომლითაც ეს ვაკე შემოზღუდულია, ტყით და სოფლებით არის დაფენილი. ამ მთების ნიადაგი უმეტეს ნაწილად ადვილია დასამუშავებლად: აქ მრავლად არის გაშენებული ვენახი. აქაური ჰაერი გაზაფხულის ჰაერს ჰგავდა: თოვლიც ცოტა იდო.

სოფელი მდებარეობს ერთი კოშკის მახლობლად, რომელიც ეკუთვნის იმერეთის მეფის მოხუცებულ მამიდას. ის ავად იყო, როცა ჩვენ გავიარეთ. გაეგო სოფელში კაპუცინი მოსულაო, და გამოეგზავნა დასაძახებლად: უნდა რჩევა ეკითხნა. ამ ქვეყანაში ყველა მისიონერი ექიმი ჰგონიათ. ანჟი წავიდა მანდილოსანთან იმ იმედით, რომ იქნება ჩვენს საქმეში დაგვეხმაროსო. ორმა საათმა გაიარა მისი წასვლის შემდეგ, როდესაც მოვიდა გორიდან ცხენით ერთი კაპუცინი. თან კაცი ჰყავდა. მე ძალიან გამიკვირდა მისი მოსვლა. კაპუცინი ჩემი გულისთვის მოვიდა, რომ შეეტყობინებინა შემდეგი ამბავი: ჩემგან განთავისუფლებული მსახური მისულიყო ტფილისიდან გორში: ეთქვა ყველაფერი, რაც კი იცოდა ჩემი საქმის შესახებ, დაექადნა დავღუპავო და სადღაც წასულიყო.

ამ ამბავმა არ გამაკვირვა: ამას წინათვე ვგრძნობდი. შე-
ვეხვეწე კაპუცინს, ჩემთან დარჩენილიყო. ათასი მადლობა
გადავუხადე და რაც კი შემეძლო შევაქე მათი საზოგა-
დოება გულითადი თანაგრძნობისათვის, რომელიც მე
აღმომიჩინეს.

28-ს ხუთი ეჯი გავიარეთ: ეს ვაკე მთლად დაფენი-
ლია სოფლებით და ტყეებით: ნიადაგი აქ ისეთი ჭაობი-
ანია, რომ ცხენები იფლობოდენ. ვიარეთ ორი საათი:
მარჯვნივ დაგვრჩა ციხე სკანდა, იქაურები ამბობენ,
ალექსანდრე დიდმა ააშენაო. ალექსანდრე დიდს აღმო-
სავლეთში ისკანდერს ეძახიან. ხალხი ამბობს, თექვსმეტი
ციხე ააშენა და ყველას თავისი სახელი დაარქვაო. შე-
საძლოა ეს ციხე ერთი იმ თექვსმეტთაგანი იყოს და სა-
ხელდობრ ის, რომელზედაც ლაპარაკობს კვინ-კურცი
7-დე წიგნში. ციხე მთის ძირში ძევს; დიდი არ არის;
ორი ოთხ-კუთხიანი კოშკი აქვს მიდგმული; გალავანი
არ არტყია; გარშემო ზოგან თხრილები აქვს. პროკოპი,
რომელიც იხსენიებს ამ ციხეს, უწოდებს მას ლიანდს. ამ
ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომების დროს, რო-
მელიც გამართული იყო რომაელებსა და სპარსელებს
შორის მეშვიდე საუკუნიდან რომის დაარსების შემდეგ
მაჰმადიანობამდინ: ათასჯერ იღებდენ ციხეს ხან რომაე-
ლები, ხან სპარსელები: ანგრევდენ, ისევ აშენებდენ.

სკანდიდან ჩიკარისი გავიარეთ. აქამდინ სულ ერთი
ეჯია. ამ სოფელში ორმოც და ათი კომლია. იმერეთში
ის ქალაქად ითვლება, თუმცა ქალაქობისა არა ეტყობა
რა. იქიდან ერთი ეჯი გავიარეთ და დავბინავდით.

29-ს და 30-ს იქ დავრჩით. ჩემი დაქირავებულები
აღარ მომდევდნენ: ისინი ომზე ლაპარაკმა შეაშინა: ყვე-
ლა გამვლელ-გამომვლელი მათ ომზე ელაპარაკებოდა.
შეშინდნენ, დასახოცად ან დასატყვევებლად მიგყევარ-
თო. ძალიან შეგვაწუხეს, მაგრამ ვითმენდი. კაპუცინებ-

საც ვურჩევდი, ისინიც ისე მოქცეულიყვნენ. ვუთხარი: –
ტფილისიდან რომ მოვდიოდი, მაშინვე ვიცოდი, დიდი
დაბრკოლება დაგვხვდებოდა წინ: მოთმინებისა და გამბე-
დაობის მეტი აღარა გაეწყობა-რა, უნდა მოვეფეროთ
ჩვენს კიცებს, აღვუთქვათ და კარგად მოვექცეთ, რომ წა-
მოსვლა გაბედონ: თუ ერთი სამეგრელოში შემოვლენ,

აღარ შეეძლებათ დაბრუნება. დავუძახეთ დაქირავებუ-
ლებს და ვუთხარით: კარგად ვიცით, შიში არაფრის არ
არის, ჩვენც თქვენსავით გვოყვარს სიცოცხლე და ქო-
ნება. პასუხს ვაგებთ, თუ თქვენ ცხენებს, ან თქვენ შე-
გემთხვათ რამე. ერთმა მითხრა – ბარათი მოგვეცი, თუ
დაგვატყვევებენ გამოგვისყიდითო: ასოცი ეკიუ მიეცით
ჩვენს სახლობას, თუ დაგვხოცავენო. მე სიამოვნებით შე-
ვასრულე მათი თხოვნა. მაშინ გაბედეს. გზას შევუდექით.

8

31-ს გავუდექით გზას. ძალიან ცუდი დარი იყო: გზაც
მეტად გაფუჭებული. გავედით სამ საკმაოდ განიერსა და
ჩქარ მდინარეში. საღამოზე მივედით ქუთაისში, გელა-
თელის სახლში დავბინავდით. თეითონ შინ არ იყო,
მაგრამ მაინც კარგად მიგვიღეს. მსახურები იცნობდნენ
ანჟს, იცოდნენ, – ეპისკოპოსი განსაკუთრებულ პატივსა
სცემდა მას.

ქუთაისი გაშენებულია მთის კალთაზე, მდინარე ფა-
ზისის ნაპირას. მეექვსე საუკუნის ბერძენთა ისტორიკო-
სები ამ ქალაქს უწოდებენ ქოთეზად; ამბობენ, დიდი
ადგილი უჭირავსო. აქ ახლა მხოლოდ ორასი სახლია.
ბატონების სახლები და მეფის სასახლე. არო სიმაგრეები
აქვს, არც კედლები. ყოველ მხრივ ღიაა, იმ მხარის გარ-
და, საიდანაც ზღუდავენ მდინარე და მთები. მდინარის
გაღმა დაბის პირდაპირ, უფრო მაღალ მთაზე, ვიდრე
ის მთა რომლის ძირშიც გაშენებულია, ქალაქი, დგას

ქუთაისის ციხე, შიგ არ ვყოფილვარ. ციხე კარგად მო-
ჩანს იმ მთიდან, რომელიც მის პირდაპირ არის. აქვს
კოშკები, ბურჯი და წყვილი კედელი, რომელნიც მა-
ღალი და მკვიდრი უნდა იყვნენ.

ქუთაისში მისვლის უმალვე კითხვა დავიწყე, ახალი
ამბები ხომ არა იყო რა; ყველა გვარწმუნებდა და მარ-
თალიც იყო შემდეგი: სამეგრელოს ახალი მთავარი და
გურიელი დაბრუნებულიყვნენ, რაკი შეეტყოთ, ოსმალთ
ომი აღარ სურთო. დადიანის ვეზირი გამოსულა მთები-
დან თავისი ჯარით, გაეგო თუ არა, რომ ორივე მთა-
ვარი და ოსმალოები უკუმდგარან, გაეგზავნა დადიანი-
სათვის რვა ასი კაცი, მიეწერა გამოსულიყო ციხიდან,
შეეკრიბა ჯარი და გამოეცხადებინა შენდობა მათთვის,
ვინც ისევ მას მიემხრობოდა; ასეც მოქცეულა. მთავარი

მერე მოსულა ქუთაისში, იმერეთის მეფე და დიდკაცობა მიემხრო და წასულიყვნენ გურიელის ასაკლებად. მოკავშირეებს ძალიან სურდათ გურიელის დასჯა, რადგან, მართლადაც ის იყო მიზეზი ოსმალოების შემოსვლისა და ყველა უბედურებისა, რაც კი ამ ომიანობის დროს მოხდა. ჯარები სულ სამი დღის წინათ გასულიყვნენ რიონსა. ამგვარად გარემოება საკმაოდ ხელს მიწყობდა, ჩემი საქმე გამეკეთებინა; შიში აღარ იყო ჯარების შეხვედრისა.

1 იანვარს 1673 წელს დღესასწაულის გამო ქუთაისში დავრჩი. მე და კაპუცინები სადილად ვისხედით. ჩვენი კაცები და მხლებლებიც ჩვენთან ისხდნენ აქაურ ჩვეულებისამებრ; აქ ბატონები და მსახურნი ერთად სადილობენ. ვნახოთ, შემოვიდა ჩემი მუხთალი მსახური: თან შემოყვნენ ერთი ახალციხელი სომეხი და ერთიც ქუთათური მღვდელი, რომელიც ჩემი ბინის საჩვენებლად გამოჰყოლოდა. ძალიან არ გამკვირვებია მისი მოსვლა, რადგან მისი შიში მქონდა და ამიტომ სულ ამ კაცზე

ვფიქრობდი. არ ვაჩვენე, რომ შევკრთი. მეგონა, მუსულმანობა მიუღია ჩემს მსახურს, რადგან თეთრი დოლბანდი ეხვია თავზე. ეს მუხთალი შემოვიდა განრისხებული და დაუპატიჟებლად მოიკეცა ჩემი კაცების გვერდით. ასეთი კადნიერება უფრო ძლიერ მეწყინა. ვკითხე, – საიდან მოდიხარ ასე აღელვებული? – ახალციხიდან, – მომიგო მან. იქიდან აქამდე მხოლოდ ორი დღე ვიარე. მე ვკითხე: – განა გზა ეგრე კარგია და მთებზე ეგრე ცოტა თოვლია, რომ შესძელ ორ დღეს გადმოსვლა? გზა ძალიან საძაგელიაო, – მომიგო მსახურმა: – და მთებიც ისე დათოვლილია, როგორც ის მთები იყო, რომელზედაც გადავიარეთ ჩვენ, გონიოდან რომ მოვდიოდითო. თქვენ თვითონ ნახავთ ამ გზას, რადგან ახალციხეს უნდა წამოხვიდეთ: მე ფაშის ბრძანება მაქვს, რომ წაგიყვანოთო. — შეიძლება, – ვუპასუხე მე, – თუ შენ უფრო მეტი შეძლება გაქვს ძალით წამიყვანო იქ, ვიდრე მე, რომ არ წამოგყვე, რადგან მე ახალციხეში არაფერი საქმე არა მაქვს და სრულებითაც არ მსურს იქ წავიდე. ბიჭო, განვაგრძე მე, ცუდად დაურიგებიხართ, დამიჯერე, ნუ ცდილობ რამე უბედურება შემამთხვიო, რადგან ღმერთი ხელს არ მოგიმართავს და შენი განზრახვა ჩემს წინააღმდეგ არ შესრულდება. ტფილისში ყველაფერი შეგისრულე, რაც კი ითხოვე, და თუ კმაყოფილი არ იყავ, იქვე

უნდა გეთქვა, რაც გსურდა!

ასე ტკბილად ველაპარაკებოდი, ეგება გონზე მოსულიყო ის მუხთალი. – ტფილისში უსამართლობა ჰსუფევს, – მომიგო მან, – ახალციხეში კი გაგვასამართლებენო. – განა ქუთაისში საკმაოდ არ არიან კაცები, – მიუგე მე, – შეძლონ ამ საქმის განსჯა? რამდენადაც კი შემეძლო ტკბილად ველაპარაკებოდი. არ მოლბა, განრისხებული მიუბრუნდა თავის ამხანაგს და უთხრა, ოსმალოები შემოიყვანეო, ამხანაგი მაშინვე გარეთ გავიდა.

68

ეს თურმე უბრალო ხერხი იყო და ჩემი შეშინება უნდოდათ; შემდეგ გავიგე, რომ არავითარი ოსმალოები არ იყვნენ იქ და არ ელოდნენ მის ბრძანებას, მაინც თავზარი დამცა ამ ამბავმა; მეგონა დავიღუპე! ქუთათურ მღვდელს არ ესმოდა, რა ხდებოდა, რადგან მე ოსმალურად ვლაპარაკობდი და იმან კი ოსმალური არ იცოდა. იმან ჰკითხა ანჟს, რაზედ ჩხუბობენო. ანჟმა უამბო ყოველივე. მერე მეც ვუთხარი, რომ ვაძლევ ამ ვერაგს, რასაც პატიოსანი კაცები გადასწყვეტენ, ოღონდ თავი დაანებოს დავას, ჰსურს ძალით წამიყვანოს ახალციხეს.

მღვდელი და სხვა რამდენიმე ქართველი, რომელნიც ხმაურობაზე შეგროვდნენ, ჩაერივნენ ჩემ საქმეში. ამათ უთხრეს მიიღე რასაც გაძლევსო, მაგრამ მსახური გონს არ მოდიოდა: რამდენსაც უფრო ძალას იტანდენ, იმდენად უფრო კადნიერდებოდადა იმუქრებოდა. მე მოთმინებიდან გამოვედი. – მუხთალო! მაშინ შენ მხოლოდ ბოროტება გამოქმედებს. გეუბნები, რომ ღვითის მადლით ვერ წამიყვან ახალციხეს. შევსძახე ეს და ვეძგერე ამოღებულის ხმალითა. მე ხელი დამიჭირეს, ჩემი მოღალატე კი, რომლისთვისაც მინდოდა დამეკრა ხმალი, გაიქცა შიშისაგან ათრთოლებული. ამის შემდეგ თითქმის ამედი გადავწყვიტე და მინდოდა გავქცეულიყავ. გელათელის კაცმა დამაყენა და დამარწმუნა, არაფრის შიში არ უნდა გქონდეს ჩემი ბატონის სახლშიო. არავითარი ოსმალოები არ მოვლენ შენს წასაყვანადო. მე და კაპუცინებმა ვარჩიეთ, რა უნდა გვექნა და გადავწყვიტეთ, ანჟი მეორე დილით სამეგრელოში წასულიყო, ხოლო მ. იუსტინე და მე ქუთაისშივე დავრჩენილიყავით. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ ცხენები ვერ ვიშოვეთ ვერც საყიდლად, ვერც ქირით. ჩვენ ვიცოდით, რომ სამეგრელოშიც ვერ ვიშოვიდით: ამან მაიძულა და-

ვრჩენილიყავი ქუთაისში და ცარიელი ცხენები ჩემი ამ-
ხანაგისათვის გამეტანებინა.

9

2-ს ანჟი წავიდა ცხენებით და კაცებით, რომლებიც
ტფილისიდან წამოვიყვანეთ. მე და მ. იუსტინე ჩიკა-
რისში დავბრუნდით, რომელიც რვა ვერსზე არის ქუ-
თაისიდან. აქ იმიტომ დავდექით, რომ მოგვეცადნა ან-
ჟისათვის: ამ სოფლის პირდაპირ იდგა გელათელის სა-
ზაფხულო სასახლე: სასახლეში მაშინ დედოფალი და გე-
ლათელი იმყოფებოდნენ და გაჭირვების დროს შეგვეძ-
ლო შემწეობა გვეთხოვნა მათთვის.

5-ს დედოფალმა და გელათელმა კაცი გამოგვიგზავ-
ნეს: შემოგვითვალეს, მათ სანახავად მივსულიყავით.
ჩვენ ვეახელით. რამდენჯერმე ვისადილეთ იმათთან. მა-
ინცდამაინც ეს დიდი პატივისცემა არ არის, რადგან ამ-
გვარად ეპყრობიან ისინი უკანასკნელ ყმასა და მსახურ-
საც. დედოფალი მშვენიერია, მაგრამ შეუფერებელი
ქცევა აქვს. ისე ლაღობს, თითქო სირცხვილი აღარ იცი-
სო. უწმაწურად ლაპარაკობს, ყველა მის სიტყვიდან გა-
მოჩანს ბიწიერება. ეს არ არის არც საძრახისი და არც
სათაკილო ამ ქვეყანაში: გარყვნილება აქ საზოგადო ბო-
როტებაა! იმერეთის დედოფალსაც ისეთი წვეულობის
წესი აქვს, როგორიც სამეგრელოს დედოფალს, მაგრამ
მისი სუფრა მოწყობილია ვერცხლის ჭურჭლით და ამა-
ლაც უფრო მდიდრულად არის მორთული.

8-ს მოვიდა გელათელთან ერთი დიდებული, რომე-
ლიც იმერეთის მეფეს გაეგზავნა ტფილისში, და მოა-
ხსენა დედოფალს, როგორ შეესრულებინა მინდობილო-
ბა. ის გაეგზავნათ რვა ათასი ეკიუს სასესხებლად: გი-
რაოდ სამეფო გვირგვინი გაეტანებინათ. ეს გვირგვინი
ოქროსი იყო, ძვირფასი ქვებით მოჭედილი. ოთხი ათას

პიასტრად ეღირებოდა. ფული არავის არ ესესხებინა. სა-
ქართველოს მეფეს გაეგო იმერეთის მეფის და დედოფ-
ლის გაჭირვება და გამოეგზავნა მათთვის ძღვენი: მეფის-
თვის – სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ვერცხლი,
დედოფლისათვის – ოქროქსოვილი ფარჩა, ატლასი, თავ-

თა *) და ხუთასი ეკიუ. საქართველოს მეფე იმიტომ იქ-
ცეოდა ასე, რომ იქნება იმერეთის მეფე-დედოფალს აე--
სრულებინა თავიანთი ფიქრი. აეყვანათ შვილად რომე-
ლიმე მისი შვილი.

12-ს მეფე ვნახე. შეუძლოდ გამხდარიყო და ჯარი-
დან დაბრუნებულიყო. დიდი პატივი გვცა და ალერსიც
არ დაგვაკლო: თავისთან დაგვსხა, ძლიერ თავაზიანად
გვექცეოდა, საყვედური უთხრა მ. იუსტინეს: – შენ და
შენმა ამხანაგმა ქუთაისს თავი დაანებეთო. მ. იუსტინემ
მიზეზად განუწყვეტელი ომები მოიყვანა. – მეც ძალიან
ვწუხვარო, – მიუგო მეფემ, – მაგრამ ვერა გამიწყვია რა.
მე ერთი საბრალო ბრმა ვარ და რაცა სურთ იმას მაქნე-
ვინებენო. ვერავისთვის გამიცხადებია ჩემი ხვაშიადი **),
ვერავის ვნდობივარ, ყველას ნებას ვაძლევ და არ შე-
მიძლია ვაწყენინო ვისმე რამე: მეშინია, ვაითუ მომა-
კვლევინონო. საბრალო მეფე ახალგაზრდა იყო, მშვე-
ნიერი აგებულობისა, თვალები ხელსახოცით ჰქონდა აკ-
რული, რომ ჩირქი არ ჩამოსდენიყო და საზარელი სენი
დაეფარა; წყნარი ხასიათის კაცი იყო. ხუმრობა და ოხუნ-
ჯობა უყვარდა. მ. იუსტინეს უთხრა: ცოლი შეირთე
ჩემს ქვეყანაშიო. მ. იუსტინემ მიუგო: არ შემიძლია,
რადგან მეც ისეთივე აღთქმა მაქვს მიცემული, როგორც
იმერეთის ეპისკოპოზს და ბერებს...

---

*) თავთა თხელი ნაქსოვია.

**) ხვაშიადი – საქმე დაფარული.

16-ს ჯერს ისევ ლოგინში ვიწექი, როდესაც განთია-
დისას, ჩემმა ამხანაგმა გამაღვიძა: ჩემდა სასიამოვნოდ,
იმან მიამბო, რო ანჟი ჩემი გატანებული კაცებით და ცხე-
ნებით მისულიყო 9-ს სიპიაში. ძალიან მოწყენილი და
იმედ-გარდაწყვეტილი ენახა იქ ჩემი ამხანაგი; ჩემი ამ-
ბავი ჩემი წამოსვლის შემდეგ სრულებით არა ჰსმენოდა
მას და ვერც ეპოვა ფასით კაცი და ცხენები საქართვე-
ლოში წამოსასვლელად. როდესაც გაეგო ანჟისაგან ჩემი
მშვიდობით ჩამოსვლა ტფილისში და ისიც, რომ ახლა
ქუთაისის მახლობლად ვუცდიდი, საშინლად გაჰხარებო-
და: მაშინვე მომზადებულიყვნენ წამოსასვლელად. რაც
დამალული ქონება გვქონდა, იმას ნახევარი ამოელაგე-
ბინა და წამოეღო. თვის 12-იდან დაეცადნათ, რომ ცხე-
ნები შეესვენებიათ და მერე წამოსულიყვნენ. ერთი ჩვე-
ნი მსახურთაგანი, ყველაზე უფრო სანდო, იქ დაეტო-
ვებინა, რომ ყური ეგდო, რაც იქ დარჩებოდა. წამოღება

ვერ გაებედნათ, შეშინებოდათ, ყველაფერი ერთბაშად
არ დავკარგოთო. ეს მიამბო და მერე მითხრა: ნუ შე-
წუხდები რასაც ახლა გაიგებ, რადგან ყველაფერი ღვთის
მადლით კარგად მიდისო, და დაიწყო: 14-ს, შაბათს, სა-
ღამოს რვა საათზე, ჩვენ მშვიდობით მოვედით ქუთაის-
ში. ანჟმა გელათელის სახლში წამიყვანა, მე მხოლოდ
გუშინ გავიგე, რომ ახალწელიწად დღეს დაგმუქრებია
შენი დათხოვნილი მსახური. რომ ადრე მცოდნოდა ეს
ამბავი, ქუთაისში არ დავდგებოდი. კვირა დილით ანჟმა
და ჩვენმა კაცებმა მთხოვეს შუადღემდინ დავრჩენილი-
ყავ, რომ ცოტა შეესვენათ. დავთანხმდი და კარგი სა-
დილიც მოვამზადებინე. სადილზე ვისხედით, როდესაც
შემოვიდა ის მუხთალი მსახური ოცი შეიარაღებული ია-
ნიჩარით. სად არის ჩემი ბატონი? შეჰყვირა მან გან-
რისხებით. იმას ჩემი მოკვლა უნდოდა, მაგრამ ვერ მო-
ახერხა. ახლა კი ის მე ვეღარ გადამირჩებაო, თქვა და

ძებნა დაგიწყო; რომ ვერ გიპოვნა, მეორე ოთახში შე-
ვიდა: ეგონა იქ იქნებოდი დამალული. მეც შევყევ თან
და თვალცრემლიანმა ვუთხარი: – მეგობარო, რა გიყა-
ვი ისეთი, რომ მღუპავ, თუ ჩემი ამხანაგი ცუდად მო-
გეპყრო, ან არ დაგაკმაყოფილა, მე ამაში დამნაშავე არა
ვარ: მთხოვე რაც გინდა და ახლავე მოგცემ, მხოლოდ
გაიყვანე აქედან ოსმალოები, – კარგიო, – მომიგო მო-
ღალატემ, – მე წავიყვან იმათ და ახლავე თქვენთან და-
ვბრუნდებიო.

შეჯდა ცხენზე, მიუთითა იანიჩრებს ანჟზე და უთხ-
რა: – დაიჭირეთ ეს კაცი და წავიდეთ ციხის უფროს-
თანაო. ანჟი დაიჭირეს და წაიყვანეს. იანიჩრებმა და-
იწყეს თვალიერება; უნდოდათ რამე მოეტაცნათ: ეცნენ
ჩვენს ნაბდებს და წაიღეს. არც ჩემი იარაღი წაიღეს და
არც ჩემს ხურჯინს ახლეს ხელი, რომელშიაც იყო ორ-
მოც და ათი ათასი ეკიუდ ღირებული ოქრო და ძვირ-
ფასი ქვები. ერთი მსახურთაგანი გავატანე ანჟს. შევე-
ხვეწე ჩემს მხლებლებს, გავქცეულიყავით. ერთ წამში
შევკმაზეთ ცხენები. დავბარგეთ და გამოვიქეცით. ღმერ-
თმა მიშველა და აგერ მოვედი: მოვიტანე ყველაფერი,
რაც კი წამოვიღე სამეგრელოდან იანიჩრებმა ორი პის-
ტოლის საფასი ძლივს წაიღეს.

მ. იუსტინე მაშინვე წავიდა გელათელთან, შესჩივლა
დედოფალს, რაც ოსმალოებს მოექმედებინათ გელათე-
ლის სახლში და შეევედრა, მიეღოთ ღონისძიება ანჟის

გამოსახსნელად. მ. იუსტინე უკან დაბრუნდა შუადღისას
და დაგვარწმუნა, რომ ორი დიდებული გაგზავნეს ამ
საქმის თაობაზე ციხის უფროსთანაო. მე ისეთი მეში-
ნოდა ოსმალოებისა, რომ მინდოლი მაშინვე წავსული-
ყავი. ცხენებს დასვენება ეჭირვებოდათ. შუადღის უკან
ჩემმა ამხანაგმა იქირავა ცხენები სამეგრელოში დასა-
ბრუნებლად, რომ გამოეტანა ის ნივთებიც რაც დაგვრჩა

კიდევ იქ; ხოლო მე მოვემზადე ტფილისში წამოსასვლე-
ლად და მოტანილი განძის წამოსაღებად.

17-ს ჩემი ამხანაგი და მე დავადექით გზას. ის სამეგ-
რელოსაკენ წავიდა ხუთი კაცით და ოთხი ცხენით: მე
და მ. იუსტინე სამი ცხენით და სამი კაცით წამოვედით
ტფილისისაკენ. იმავე გზით დავბრუნდი, რომლითაც მო-
ვედი.

22-ს ღამე მოვედი გორში და იქ ორი დღე დავრჩი:
უნდა ოქრო დამეხურდავებინა და მ. იუსტინესაც დავხმა-
რებოდი, რომ ქუთაისში დაბრუნებულიყო, წაეღო ჩემი
ამხანაგისათვის ფული, წამოეყვანა ის ტფილისში და აგ-
რეთვე ეზრუნა ანჟის გამოხსნაზე.

10

25-ს დილით მამა იუსტინე გაუდგა თავის გზას, მე
გავემგზავრე ტფილისისაკენ. 26-ს, შუადღის უკან, მე და
კაპუცინი, რომელიც გამომატანა გორელ კაპუცინების
წინამძღვარმა, მივედით ტფილისს.

თებერვლის 6-ს, საღამოზე, მოვიდა ტფილისში ჩემი
ამხანაგი. მას მოჰყვნენ თან ჩემი მსახური, რომელიც
კოლხიდაში დავტოვე, ერთი მ. თეატინი და ანჟი. რო-
დესაც ყველას მივესალმე, ანჟმა გამიხმო ცალკე და მი-
ამბო თავისი თავგადასავალი. – თქვენ იცით უკვე, –
მითხრა მან, – რომ თქვენი მუხთალი მსახურის წყალო-
ბით იანიჩრებმა შემიპყრეს. იანიჩრები ქუთაისის ციხის
თავს მიეცა იმისთვის. მსახურს თქვენზე ციხის თავისა-
თვის ეთქვა, ჩემი სამასი ეკიუ მართებსო: ის ელჩიაო.
ახლა სამეგრელოში მიდის დიდი სიმდიდრის გამოსატა-
ნად, რომელიც მან იქ დასტოვა და, თუ მას ჩაიგდებ
ხელში, სამუდამოდ გამდიდრდებიო. ის უკეთური ძალას
ატანდა იანიჩრებს, რომლებსაც ციხეში მივყავდით, რომ
შევეკარით და ცუდად მომპყრობოდნენ, მაგრამ ისინი,

პირიქით პატივსა მცემდნენ. იმათში ერია ერთი გადა-
მდგარი იტალიელი, რომელიც ძლიერ ტკბილად მექცე-
ოდა. მე რაც შემეძლო, ნელ-ნელა მივდიოდი და ლაპა-
რაკში ვართობდი იმ უკეთურებს, რომ თქვენი ამხანაგი-
სათვის მიმეცა დრო გაქცეულიყო, რადგან დარწმუნე-
ბული ვიყავი, გაქცევას მოიწადინებდა. როდესაც მიმი-
ყვანეს ციხის თავთან, ჰკითხა თქვენს მსახურს: – ეს არის
შენი ბატონიო? მსახურმა მიუგო: – ის ვერ ვიპოვე, მაგ-
რამ ამას უსათუოდ ეცოდინება მისი ბინაო. ციხის თავ-
მა მკითხა. – სად არისო! – მე მიუგე, რომ ახლა სად
არის არ ვიცი; როცა მე წამომიყვანეს, ის ტფილისში
აპირებდა წასვლას. ციხის თავმა ბევრი რამ გამომკითხა
თქვენს ვინაობაზე და ბოლოს მითხრა: – შენ უნდა მი-
სცე ამას სამასი ეკიუ, რომელიც იმას მართებიაო. მე
მიუგე: – ის ერთი საწყალი ბერია; წამოსულა, რომ ჩემ-
თვის ეცნობებინა, რა გაჭირვებაში არიან სამეგრელოში
მყოფი ბერები: გავიგე თუ არა წამოვედი ბერების სა-
შველად. იმ კაცს მხოლოდ ასე ვიცნობ. ფულები არა
მაქვს: ქუთაისში ყველამ, მეფიდან დაწყობილი მის უკა-
ნასკნელ მსახურამდინ, იცის რომ გლახაკობის აღთქმა
მაქვს მიცემული.

ციხის თავმა ბრძანა, გავეჩხრიკე. მინახეს სარტყე-
ლი, რომელიც თქვენ მომეცით: იმაში რამდენიმე ათი
პისტოლი კიდევ იყო. იმის მეტი არა მქონდა რა. ღვთის
განგება იყო, თუ სხვა რაღაც, თქვენმა ამხანაგმა არ
მომცა შესანახად არავითარი ძვირფასი ქვები, თუმცა
თქვენა წერდით ჩემთვისაც მოებარებინა. ციხის თავმა,
როდესაც ნახა ასე ცოტა ფული, უთხრა თქვენს მსა-
ხურს: – სად არის ის სიმდიდრე, რომელზედაც შენ მე-
უბნებოდიო? იმიტომ მოიყვანე აქ ეს საწყალი კაცი,
რომ სასაცილოდ გაგეხადე? შენ ავაზაკი ყოფილხარ, ცე-
მით მოგაკვლევინებო! – ბატონო, მიუგო იმან თრთო-

ლით, – ის სიმდიდრე ჩემი ბატონის ამხანაგს აქვს, გე-
ლათელისას არის ახლა.

– შე ძაღლო, შეუტია ციხის თავმა, რატომ ის არ
მომიყვანე აქა?

ციხის თავმა გამოგზავნა, გამოატანა იანიჩრები, რომ-
ლებმაც ციხეში მიმიყვანეს, და უბრაძანა, თქვენი ამხა-
ნაგი მიეყვანათ. ადვილი წარმოსადგენია, რა შიშში ვი-

ყავი, ვაი თუ დაიჭირონ! შიში დიდ სიხარულად შემე-
ცვალა, როდესაც დაბრუნდნენ იანიჩრები და მოახსე-
ნეს ციხის თავს: – ის კაცი იქიდან გაქცეულაო! მაშინ
ციხის თავი გაუწყრა მსახურს. ის უკეთური შიშმა და
ჯავრმა შეიპყრო, როცა მიხვდა, რამდენად დაუბნია მას
ღმერთმა გონება: – რატომ მაშინვე არ წავაყვანინე ჩე-
მი ბატონის ამხანაგი და არ წაგაღებინე ყველაფერი,
რაც ჰქონდაო. – ამბობდა მგონი ის თავის გულში. შემ-
დეგ ვუამბე ციხის თავს, რამდენი ხიფათი მოგვაყენა,
როგორ პატიოსნად და კარგად მომეპყარით, როდესაც
ჯამაგირში გავუსწორდით.

საღამოთი ციხის თავმა ვახშამი თავისთან მაჭამა. გა-
ეგო, ექიმი ვიყავი და შემომჩივლა, შეუძლოდა ვარო,
მე ვუწამლე მას; აგრეთვე ვუწამლე რამდენსამე მეცი-
ხოვნეს: მცველად ერთი იტალიელი განდგომილი მიმი-
ჩინა. თქვენი მსახური ეუბნებოდა, – ბორკილი შეუყა-
რეთ არ გაიქცესო. ის უკეთური ათას რასმე იგონებდა,
რომ ცუდად მომპყრობოდნენ.

მეორე დღეს დედოფალმა და გელათელმა გამოგზავ-
ნეს ციხისთავთან ორი კეთილშობილი და მოითხოვეს გა-
მენთავისუფლებინე, რადგანაც მე ვიყავი, როგორც მა-
თი, აგრეთვე, მეფის ექიმი. შუადღისას კიდევ მოვიდა
იქაური დიდი თავადისაგან გამოგზავნილი ორი კაცი,
თავადის ცოლი ძლიერ ავად გამხდარიყო. შეუთვალეს
ვალის გულისათვის არის დაპატიმრებულიო: კიდევ გა-

მოგზავნა ციხისთავთან კაცი; ეხვეწებოდა, გამოუშვი და
პირდებოდა მაგის ვალს მე მოგცემო. ცხადი იყო, რასა-
კვირველია, რომ მე არაფერი არ მემართა. ციხისთავს
მაინც შეჰპირდენ 25 ეკიუს. ამ პირობით გამომიშვეს. თუმ-
ცა თქვენი მსახური ბევრს ჰყვიროდა და ეუბნებოდა ცი-
ხისთავს: ნუ გაათავისუფლებთ, ჩემი ბატონი თუნდ
ათას ეკიუს მოგცემთ და მაგას კი არ ტასტოვებსო. მი-
მიყვანეს თავადისას, რომელმაც გამომაშვებინა. იქიდან
კაცი გავგზავნე ჩიკარისში თქვენი ამბის გასაგებად, გა-
ვიგე, რომ თქვენ ტფილისში დაბრუნებულხართ და
თქვენი ამხანაგი კი სამეგრელოში წასულა. რამდენისამე
დღის შემდეგ მ. იუსტინეც მოსულა ჩიკარისში, სადაც
ვიყავ, და მოვიდა ჩემ სანახავად. თქვენი ფულიდან მი-
ვეცი 25 ეკიუ. გამათავისუფლეს ტყვეობიდან და და-
ვბრუნდით ჩიკარისში. ორი დღის შემედეგ თქვენი ამხანა-
გიც მოვიდა იქ და მოიტანა ყველაფერი, რაც დაგრჩე-

ნოდათ სამეგრელოში. გვიამბო, რა გზა აერჩია, რომ ქუ-
თაისს ასცდენოდა. ის ნავით გამოსულიყო რიონში, ქუ-
თაისიდან ექვს ეჯზე; მენავეებს ეამბნათ იმისთვის, რომ
თქვენს ბოროტ მსახურს, რომელმაც ამდენი ხიფათი შე-
გამთხვიათ, მიეცა იმათთვის ორი ეკიუ და შეხვეწნოდა,
მაცნობეთ როდესაც წყალს გადიოდესო. ის თურმე ოთხ
იანიჩარსა ჰყავს ჩაბარებული და ციხისთავისაგან ნაბრძა-
ნები აქვთ არ გაუშვან. ახლა ხედავ დაუმატა იმან, ყვე-
ლაფერი კარგად გათავდა, ღმერთმა ხელი არ მოუმართა
უკეთურს, სიბოროტე ჩაედინა.

ღამე გატყდა. მე და ჩემმა ამხანაგმა მაინც ვერ ვი-
ვახშმეთ, სანამ კარგად არ მოვილაპარაკეთ ჩვენი საქმის
კრგად წარმართვაზე და ყველა იმ განსაცდელზე, რომ-
ლის მხოლოდ ერთა ნაწილი გიამბეთ, არ მოველოდით
საქმე ამნაირად გათავდებოდა. მართლაც, როგორ ვიფიქ-
რებდით, ყველაფერი გადაგვირჩებოდა, რადგანაც ყო-

ველ მხრივ განსაცდელში ვიყავით, შემდეგში გამოვიან-
გარიშეთ, რაც დაგვეკარგა ამ უბედურ მოგზაურობის
დროს, და აღმოჩნდა, რომ დაგვეკარგა მხოლოდ ერთი
მესამედი იმ საქონლისა, რაც შეგვრჩა და ჩამოვიტანეთ
ტფილისში

11

საქართველოდ ვუწოდებ მთელ იმ მხარეს, რომელიც
სპარსეთს ექვემდებარება. საქართველოს საზღვრავს აღ-
მოსავლეთით ჩერქეზეთი და რუსეთი, დასავლეთით მცი-
რე სომხეთი, სამხრეთით დიდი სომხეთი, ჩრდილოეთით
შავი ზღვა და კოლხიდის ის ნაწილი, რომელსაც იმე-
რეთს ეძახიან. ეს ის მხარეა, რომელსაც ძველად ივე-
რია ერქვა. საქართველო ერთ დროს თავრიზიდან და აზ-
რუმიდან მოკიდებული ტანაისამდე ითვლებოდა და ალ-
ბანიად იწოდებოდა. ახლა ეს ქვეყანა შემცირებულია და
შეზღუდული. ამ ქვეყანაში ბევრი ტყეები და მთებია;
მთების შუა არის მრავალი მშვენიერი გრძელი, მაგრამ
ვიწრო ხეობანი. საქართველოს შუაგული უფრო ნაყო-
ფიერი და თანაბარია სხვა ნაწილებზე. შუაში ჩამოუ-
დის მდინარე მტკვარი, რომელსაც გეოგრაფები უმეტეს
ნაწილად კირსა და კორუსს უწოდებენ. მტკვარს სათავე
კავკასიის მთებში აქვს, დღე ნახევრის სავალზე ახალცი-
ხიდან, როგორც მითხრეს კასპიის ზღვას ერთვის. ეს

მდინარე უფრო სასარგებლოა სპარსეთის ყველა მდინარეზე იმითი, რომ საკმაოდ დიდ მანძილზეა და გამოსადეგია ნაოსნობისთვის, რომლისთვისაც არც ერთი სპარსეთის მდინარე არ ვარგა. ძველი ისტორიკოსები მოგვითხრობენ ამ მდინარეში სპარსეთის შესანიშნავი მეომარი კირსი ჩააგდეს ყმაწვილობის დროს, მდინარემ არ ჩასძირა და ამიტომაც სახელად კირსი დაარქვესო. ეს ამბავი, ჩემის აზრით, მით უფრო დასაჯერებელია, რომ

მთელ ამ მხარეებში, რომლებზედაც ახლა ვლაპარაკობ, ამ მდინარეს საზოგადოდ შაჰ ბაჰმენ-სუს უწოდებენ, ესე იგი მეფეთ-მეფის ბაჰმენის მდინარეს; ბაჰმენი კი მეფე კირსას სახელია, სპარსეთის მემატიანეები კირსს ამ სახელით იხსენიებენ.

მე მინახავს ძველი სპარსეთის გეოგრაფები, რომლებიც ამბობენ: საქართველო დიდ სომხეთში მდებარეობსო, ახალი გეოგრაფები კი ამბობენ: საქართველო ცალკე ქვეყანაა, და გურჯისტანს უწოდებენ. ამ ქვეყანას ისინი ჰყოფენ ოთხ ნაწილად: იმერეთი, რომელზედაც გვქონდა საუბარი, გურიელის ქვეყანა, ახალციხის სამმართველო, კახეთის სამეფო, რომელიც შეწეულია ღრმად კავკასიონის მთებში და ქართლი, რომელსაც ძველი გეოგრაფები აზიის ალბანიას უწოდებენ კახეთის სამეფო და ქართლი სპარსეთის საბრძანებელია. სპარსეთში ამ ქვეყნებს უწოდებენ გურჯისტანს. გიორგიანნი თავიანთ თავს ქართველებს ეძახიან. ეს სახელი არ არის ახალი; იგი იპოვება, თუმცა ცოტათი გადასხვაფერებულად, ძველი მწერლების ნაწერებშიაც; მაგალითად, წმინდა ეპიფანეს წერილებში, რომელიც ლაპარაკობს ამ ხალხზე და ქართველებს „ქარდიენებად“ იხსენიებს. ამბობენ, ბერძნებმა დაარქვესო მათ გეორგიანები, რადგან „გეორგოს“ მათებურად მიწის მუშაკსა ნიშნავს, და ამბობენ, რომ ეს სიტყვა წარმოსდგება წმინდა გიორგის სახელიდან, რომელსაც დიდ პატივსა სცემენ მართლმადიდებელი ხალხიო. ეს შეცდომაა, რადგან სახელს „გიორგიელნი“ ჰხმარობენ უფრო ადრინდელი მწერლები და სხვათა შორის პლინი და პონპონიუსმელი.

საქართველოში ცოტაა ქალაქები. კახეთის სამეფოში რმდენიმე ქალაქი ყოფილა უწინ; ახლა ისინი სულ დანგრეულებია ერთის გარდა, რომელიც კახეთადვე იწოდება. ტფილისში ყოფნის დროს მითხრეს ის ქალაქები

დიდები და მდიდრულად ნაგები იყოვო; ამასვე აფიქ-
რებინებს კაცს ის, რაც კიდევ მთელად დარჩენილა,
თვით ნანგრევებიც. ამ პატარა სამეფო კახეთს კავკასიის
გადაღმა მცხოვრები ხალხი ხშირად არბევენო. ესენი
არიან ალბანები, სვანები, გუნები, სხვადასხვა ტომნი,
რომელნიც მამაცობით განთქმული არიან და, აგრეთვე,
ამაზონები. ამაზონები ახლო არიან მათზე; გადაღმა
ჩრდილოეთის მხრივ ცხოვრობენ. ძველი და ახალი გეო-
გრაფები ერთხმად აღიარებენ ამას პტოლომეის სიტყვით,
ამაზონების ქვეყანა მდებარეობს აზიის სარიმათიაში,
რომელსაც ახლა სათათრეთს უწოდებენ, ვოლგის დასავ-
ლეთით, ვოლგასა და ჰიპპიკის მთებს შუა; ეს არის კა-
ხეთის სამეფოს ჩრდილოეთი ნაწილი, კვინტ-კურციუსი
ამბობს, რომ თალესტრის სამეფო მდინარე ფაზისის მახ-
ლობლად იყოვო, სტრაბონიც ამავე აზრისაა, როდესაც
ლაპარაკობს მომპეის და კანოდიუსის ომებზე. მე ვე-
რავინ ვნახე საქართველოში, რომ ამაზონების ქვეყანაში
ყოფილიყო, მაგრამ ბევრმა კი მიამბო მათი ამბავი; მი-
ჩვენეს კიდეც მეფისას ერთი დიდი მსხვილი შალის კაბა,
სულ სხვაგვარად შეკერილი და მითხრეს, ეს კაბა იმ
ამაზონისა არის, რომელიც უკანასკნელი ომის დროს კა-
ხეთის ახლო მოჰკლესო. ჩვენ მალე გავიგებთ ამ გან-
თქმული მეომარი დედაკაცების ამბებს, რადგან ტფილი-
სელმა კაპუცინებმა მითხრეს გაზაფხულზე ორი მისიო-
ნერი უნდა გავგზავნოთ იმათ ქვეყანაში, ვინაიდან კონ-
გრეგაციისაგან მოგვივიდა ბრძანებაო, მე ერთხელ ამ სა-
განზე საკმაოდ დიდხანსა მქონდა ბაასი საქართველოს
მეფის შვილთან; მან სხვათა შორის მიამბო: – კახეთის
გადაღმა, ხუთი დღის სავალზე, ჩრდილოეთისაკენ არის
ერთი თითქმის სრულებით უცნობი დიდი ერი, რომე-
ლიც განუწყვეტელ ბრძოლაშია კალმუხელებად წოდე-
ბულ თათრებთან; სხვადასხვა ტომნი, რომლებიც კავკა-

სიის მთებში სახლობენ, ყოველთვის ბრძოლ/აშილ არიან
ერთმანეთთან და არაფერი მნიშვნელობა არა აქვთ მათ-
თან ზავსა და მორიგებას, რადგან ისინი ველურნი არიან
და არა აქვთ არც რჯული და არც წესიო. იმათგან რო-
მელნიც კი კახეთის მახლობლად ცხოვრობენ, ყოველ-
თვის თავს ესხმიან კახეთსა. ამის გამო კახეთის მეფე,
საქართველოს მეფის უფროსი შვილი, იძულებულია, რომ

ყოველთვის იქ იმყოფებოდეს და უკუ აქციოს ხოლმე ბარბაროსებიო.

მე ვუამბე იმ ახალგაზრდა პრინცს, რასაც ბერძენთა და რომაელთა ისტორიკოსები მოგვითხრობენ ამაზონებზე, ამაზე დიდხანს ვილაპარაკეთ და მან შემდეგი აზრი წარმოსთქვა: ისინი უნდა იყვნენ სკვითების ტომისანი, რომელნიც დადიან ჯგუფ-ჯგუფად, როგორც თურქმენები და არაბებიო. იგინი, ახინუელებივით, ქალებს აბარებენ ქვეყნის გამგეობას. ეს დედოფლებიც იმსახურებენ ქალებს, და ქალები თან დაჰყავთ ყველგანაო. თქმა არ უნდა, რომ ისინი ცხენებზე უნდა ისხდენ და შეიარაღებულები უნდა იყვნენ, როგორც კაცები, რადგან აღმოსავლეთში ქალებიც კაცებსავით ცხენებით დადიან და დედოფლები ხანჯალს ატარებენო. მაგრამ ძუძუს მოჭრა და სხვა, რასაც ამაზონებზე მოგვითხრობენ, ჩვენ ჩავთვალეთ იმ ტყუილ თქმულებად, რომლითაც ბერძნებს აუვსიათ ამაზონების ისტორიები, როგორც ამბობს იუვენალიო.

12

ქართლში მხოლოდ 4 ქალაქია, გორი, სურამი, ალი და ტფილისი. გორი პატარა ქალაქია, მდებარეობს ვაკეზე, ორი მთის შუა მტკვრის ნაპირას, ერთი გორის ძირში, რომელზედაც ციხე არის აშენებული. ციხის მცველები სპარსელები არიან. ეს ციხე აუშენებიათ გურ-

ჯისტანის უკანასკნელი ომის დროს 40 წლის წინათ რუსტენ-ხანსა, რომელიც სპარსეთის ჯარის სარდალი იყო. ციხის გეგმა შეუდგენია ერთ მისიონერს, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა. ციხეს არა ჰყავს ბევრი მცველი. ციხე ძალიან მაგარია. მოხერხებულ ადგილზე არის აშენებული. ციხეში ასი კაცია მეციხოვნედ. თვით ქალაქი პატარაა, სახლები და ბაზარი მიწურებია. მცხოვრებლები სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულებაც. აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება. სახელი გორი წარმოსდგება სიტყვისაგან „ღორი“, რადგან გორში მრავალი და კარგი ჯიშის ღორები ჰყავთ.

სურამი უფრო დაბაა გორზე, ორჯერ პატარაა, მაგრამ ციხე დიდია და კარგად ნაგები. ამ ციხეშიაც ასი მეციხოვნე დგას. სურამის მახლობლად არის ერთი ალაგი,

რომელიც სამცხედ იწოდება. ეს სახელი ქართულია და ნიშნავს სამ ციხეს. იქაურების სიტყვით, ნოე იქ დასახლებულა კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ და მის შვილებს სამივეს თითო ციხე აუშენებიათ. ქალაქ ალზე აღარას ვიტყვი, რადგან ზევით მქონდა მაზე ლაპარაკი.

საქართველოში კარგი ჰავა არის. ჰავა მშრალია, ზამთარში ძალიან ცივი, ზაფხულში ცხელი. მაისიდან ნოემბრის დამლევამდე სულ კარგი დარები დგას. იქაურ მიწას მორწყვა უხდება; თუ მოირწყა უხვად აღმოაცენებს ყოველგვარ მარცვალს, მწვანილს და ხილს. საქართველო ძალიან ნაყოფიერი ქვეყანაა. იქ კარგად ცხოვრობენ, ისეთი მშვენიერი პური მოდის; სხვაგან არსად იცის ასეთი პური. ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვარი ხილეულობა მოდის. ევროპის არც ერთ ადგილას არ მოთის უკეთესი ვაშლი და მსხალი; აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროწეული. როგორიც მსხვილი, ისე წვრილფეხა საქონელი მრავალია და ძალიან კარგი

ჯიშისაა. გარეული ღორი საკმაოდ ბევრია და ისეთივე გემრიელი ხორცი აქვს იქ ღორს, როგორც კოლხიდაში. ქართველი ხალხი თითქმის სულ ღორის ხორცსა ჭამს. ყველა სოფელში კლავენ ღორებს, მშვენიერი საჭმელია ღორის ხორცი, იქაურები გვარწმუნებდენ ღორის ხორცი თავის დღეში არ აწყენს კაცს, რამდენიც უნდა ჭამოსო. მგონია, ეს მართალი უნდა იყოს, რადგან თითქმის ყოველ დღე იმას ვჭამდი, მაგრამ არ მაწყინა. კასპიის ზღვაში, რომელიც ახლოა საქართველოზე, აგრეთვე მტკვარში, მრავალ თევზს იჭერენ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ იმისთანა ქვეყანა არსად არის, სადაც შეიძლებოდეს იმისთანა კარგი სანოვაგის შოვნა, როგორც საქართველოში.

არც იმისთანა ქვეყანა მოიპვება, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ. ვაზი იქ ხეებზე ადის, როგორც კოლხიდაში. ტფილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისათვის: სომხეთში, მიდიაში, ისპანიაში. ცხენის საპალნე ღვინო ღირს 8 ფრანკი, მე ვამბობ უკეთეს ღვინოზე, თორემ ცოტა მდარე ღვინო არც ამის ნახევრად ფასობს. ყველა სხვა სანოვაგეც ღვინის ფასის შესაბამისად ძვირი არ არის. საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის, მაგრამ იმდენი კი არა, რამდენსაც მოგზაურები ამბობენ. იქაურებმა კარგად არ იციან აბრეშუმის მოვლის ხერხი; აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, აზრუმში და

სხვა გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან.

ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემიძლია ვთქვა მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა, ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლე-

ბა დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა მშვენიერნი, თვალ-ტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი. იშვიათად ნახავთ, რომ ქალი უშნოდ იყოს გასუქებული. მხოლოდ ის აუშნოებს ქართველ ქალებს, რომ ფერ-უმარილს იცხებენ, უმშვენიერესნი სხვებზე უფრო მეტად იცხებენ უმარილსა; ასე ჰგონიათ, ფერ-უმარილი სამკაულია და ისე ხმარობენ, როგორც, მაგალითად, ჩვენში თვალ-მარგალიტს და კარგს ტანისამოსსა.

ქართველები ბუნებით მეტად ნიჭიერნი არიან. ქართველები სწავლულები და დიდი ხელოვანნი გამოვლენ, რომ სწავლაში და ხელოვნებაში მწვრთნელნი ჰყავდეთ. მაგრამ ძლიერ ცუდად იზრდებიან, ამასთანავე ცუდს მაგალითებსაც ხედავენ. ამის გამო მეტად უცოდინარნი და ბიწიერნი არიან. ქართველებში ბევრია მზაკვარი, ვერაგი, დაუნდობელი, ცბიერი, ბრიყვი, ამპარტავანი. ქართველებმა საოცრად ურცხვად იციან უარისყოფა იმისი, რაც უთქვამთ და მოუქმედებიათ; ტყუილი მართლად გამოჰყავთ; რაც ერგებათ შრომისათვის, იმას არ სჯერდებიან და მეტის თხოვნა უყვართ; უყვართ, აგრეთვე, საქმის გადასხვაფერება, განზრახ, სხვანაირად ჩვენება თავისა. ძლიერად იციან ჯავრის ჩატანა და თავის დღეში არ აპატივებენ კაცს დანაშაულს, თუმცა, მართალია მალე კი არ მოსდით გული და არც უმიზეზოდ დაიხსომებენ ჯავრს. კაპუცინების პრეფექტმა დამარწმუნა, კათალიკოზისაგან გამიგონია, რომ ვინც დიდ დღესასწაულებში (მაგალითად, აღდგომას, შობას) არ დაითვრება, ქრისტიანად არ ითვლება და უნდა განდევნილ იქნასო. ქართველები გარდა ამისა ძალიან ანგარნი და ვერცხლის მოყვარულნი არიან. ფულს მხოლოდ მაშინ გაასესხებენ, თუ დაიგირავეს რამე და სულ მცირე სარგებელს, მანეთზე ორ შაურს ართმევენ. ქალებიც ისეთივე ბიწიერნი და

ავნი არიან, როგორც მამაკაცები. ქალებს ძალიან უყ-
ვართ არშიყობა და ეჭვი არ არის, რომ მამაკაცებს ამ
უზნეობაში დიდი მონაწილეობა მიუძღვით. სხვაფრივ
ქართველები თავაზიანები არიან, მოსიყვარულე გული
აქვთ, თავმომწონენი და თავდაჭერილნი. ზნე და ჩვეუ-
ლება უმეტეს ნაწილად შეთვისებული აქვთ იმ ერთა-
გან, რომელნიც გარს არტყიან ქართველების ქვეყანას.
ეს, ჩემის აზრით, იმისაგან წარმოსდგება, რომ ქართვე-
ლებს მისვლა-მოსვლა აქვთ მრავალ სხვა ხალხთან და
აგრეთვე იმისაგანაც, რომ საქართველოში ყველას აქვს
უფლება იცხოვროს თავისი რჯულისა და ჩვეულებისა-
მებრ, თავისუფლად ილაპარაკოს ამ საგნებზე და დაი-
ცვას მათი შეხედულობა. იქ შეხვდებით სომხებს, ბერძ-
ნებს, ებრაელებს, ოსმალბეს, სპარსებს, ინდოელებს,
თათრებს, რუსებს, ევროპელებს. სომხები ბევრნი არიან
იქ. ისინი ქართველებზე უფრო მდიდრები არიან, დაბა-
ლი მოხელეების ადგილები უმეტესად სომხებს უჭირავთ.
ქართველები იმათზე ძლიერნი, თავმომწონენი, ზვავნი
და მედიდურნი არიან. სარწმუნოებისა, ზნისა და ხასია-
თის სხვადასხვაობა ქართველებსა და სომხებს შორის
არის მიზეზი მათ შორის დიდი სიძულვილისა. ქართვე-
ლებსა და სომხებს ეზიზღებათ ერთმანეთი და არ ნათე-
სავდებიან ერთმანეთში. განსაკუთრებით ქართველებს
ძალიან სძულთ სომხები და თითქმის ისე უყურებენ, რო-
გორც ევროპაში ებრაელებს. ქართველების ტანისამოსი
თითქმის სავსებით პოლონურ ტანისამოსსა ჰგავს. ქართ-
ველები იმგვარსავე ქუდებს იხურავენ, როგორსაც პო-
ლონელები. მათი ახალუხი გულ-ჩაღილულია, და წინ
კალთები გაშლილი აქვს. ფეხსაცმელი სპარსელების
ფეხსაცმელსა ჰგავს. ქალების ტანისამოსი სპარსელი ქა-
ლების ტანისამოსის მაგვარია.

დიდი კაცების სახლები და ყველა სახელმწიფო შე-
ნობა სპარსულ შენობათა გეგმაზე არის ნაშენი. სახლე-
ბის აშენება იაფად ჯდება იქ, რადგან უხვად არის ხე-
ტყე, ქვა, კირი. ქართველები სპარსელებსავე ჰბაძავენ
ჯდომაში, წოლაში, ჭამა-სმაში.

მებატონეებს ძლიერ დიდი უფლება აქვთ ყმებზე, მე-
ბატონენი მთელი თვეების განმავლობაში რამდენიც
უნდათ იმდენს ამუშავებენ ყმებსა, და არც ჯამაგირს

და არც საზრდოს არ აძლევენ. მებატონეთ ხელი მიუ-
წვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოც-
ხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებსა და
ან მონებად ჰყავთ სახლში; იშვიათად ჰყიდიან ყმებს ოცი
წლისაზე ზევით, განსაკუთრებით ქალებს. ქართველების
სარწმუნოება ჰგავს მეგრელების სარწმუნოებას. პირვე-
ლებმაც და მეორეებმაც ერთ დროს მიიღეს ქრისტიანო-
ბა, სახელდობრ, მეოთხე საუკუნეში. ამ ქვეყანამ მიიღო
სარწმუნოება ივერიელი ქალისაგან, ხოლო ეს ქალი კონ-
სტანტინოპოლში მოქცეულიყო ქრისტიანობის რჯულზე.
ახლა, როგორც მეგრელთ, ისე ქართველთ დაუვიწყნიათ
აზრი ქრისტიანობისა, ქართველებსაც მეგრელებსავით
სახელის მეტის აღარა დარჩენიათ რა ქრისტიანული; არ
იციან და არ ასრულებენ არც ერთ მცნებას იესო ქრის-
ტეს მიერ ნამოძღვრალსა. თუმცა კი უნდა ვთქვათ, რომ
ქართველები უფრო მტკიცედ ინახავენ მარხვას, და უფ-
რო ხანგრძლივ ლოცულობენ, ვიდრე მეგრელები.

13

ქართველებსა ჰყავთ რამდენიმე ეპისკოპოზი, ერთი
მთავარეპისკოპოზი და ერთიც პატრიარქი, რომელსაც
ქათალიკოზს უწოდებენ. თუმცა მეფე სარწმუნოებით
მაჰმადიანია, მაინც აკურთხებინებს ეპისკოპოსებს, როცა
ადგილები იცვლება; ამ თანამდებობას თავის ნათესავებს

აძლევს. პატრიარქადაც მისივე ძმა არის. მებატონეებსაც
ამგვარი უფლება აქვთ თავთავიანთ მამულებში. ისინი,
ვისაც სურთ, იმას აძლევეს მრევლს; ნება აქვთ სამღვდლო
კაცი დაატუსაღონ და სცემონ კიდეცა, როგორც დანარ-
ჩენ თავიანთ ყმებსა. სამღვდელოებაც ჰსხვებსავით იხ-
დის ყოველგვარ საბატონო გადასახადს. მებატონენი სა-
მღვდელოებასაც ართმევენ შვილებს, თუ დასჭირდებათ.

საქართველოში ეკლესიები ცოტა უფრო კარგად
არიან მოვლილი, ვიდრე სამეგრელოში ქალაქებში სა-
კმაოდ სუფთა ეკლესიებია, სოფლებში კი ძლიერ უსუფ-
თაოდ აქვთ მოვლილი. ქართველებსა და, აგრეთვე სხვა
ქრისტიანებს, რომელნიც საქართველოს ჩრდილოეთითა
და დასავლეთით ცხოვრობენ, ერთი უცნაური ჩვეულება
აქვთ. თავიანთ ეკლესიებს აშენებენ უმეტეს ნაწილად
მთის წვერებზე, განშორებულ და თითქმის მიუდგომელ
ადგილას. ოთხსა და ხუთ ეჯზე მოჩანან ეკლესიები, ამ

სიშორედან სცემენ თაყვანსა და თვით ეკლესიის კართან კი თითქმის არასოდეს არ ადიან; შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ უმეტეს ნაწილს ეკლესიებისას ათ წელიწადში ერთხელაც ძლივს გააღებენ ხოლმე. ააშენებენ კი ეკლესიებს და მერე მიანებებნ თავს და ფრინვლებისა და ჰაერის ზედმოქმედების ანაბარად გახდიან. ვერას გზით ვერ გავიგე მიზეზი ამ უცნაური ჩვეულებისა. ყველა, ვისაც ვკითხავდი ამაზე, ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა. ასეთი ჩვეულება გვაქვსო. ქართველები დარწმუნებული არიან, რომ რა ცოდვაც არ უნდა ჩაიდინონ, შეენდობათ, თუ ეკლესიას ააშენებენ. ვფიქრობ, ეკლესიებს იმიტომ აშენებენ ქართველები მიუდგომელსა და უალაგო ალაგას, რომ მისი შემკობა და მოვლა არ მოუნდეთ. ქართველების დიდი წმინდანი წმინდა გიორგი არის. წმინდა გიორგი კაბადოკიელი იყო, ასურელის პატრიარქის შვილი და დიოკლიტიანეს დროს იქნა წამებული.

ქართველთა კეთილშობილნი გარეგნობით უმეტეს ნაწილად მაჰმადიანები არიან. ეს სარწმუნოება ზოგს იმიტომ მიუღია, რომ მეფის კარს ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირი ჰქონოდა, ზოგს იმიტომ, რომ თავიანთი ქალები მეფისთვის მიეთხოვებიათ და ან მეფის ცოლებისათვის მაინც მიეცათ სამეფო კარის ქალებად. ზოგი ისეთი საძაგელნი კეთილშობილნიც არიან, რომ თავიანთი ლამაზი ქალები თვითონვე მიჰყავთ მეფესთან. ამგვარ პატივისცემისთვის იმათ ან ულუფას უნიშნავდენ, ან სამსახურში იღებდენ, მხოლოდ ამისთვის საჭიროა წინადვე მიიღონ მაჰმადიანობა. ულუფა ხარისხისა და ღირსების შესაბამად ენიშნებათ, თუმცა, საზოგადოდ, ორი ათას ეკიუზე მეტი არავის არ ეძლევა. ამგვარ ჩვეულებისა გამო, ტფილისში, ჩემს იქ ყოფნის დროს ერთი საცოდაობა მოხდა. ერთმა ქართველმა კეთილშობილმა აცნობა მეფეს, მშვენიერი დისწული მყავსო. მისმა უმაღლესობამ მაშინვე ბრძანა, მიეყვანათ მასთან ის ქალი. ბოროტმა ბიძამ თვითონვე წაიღო ბრძანება მეფისა და იკისრა კიდეც საქმის შესრულება. მივიდა თავის ქვრივ დასთან და უთხრა: შენი ქალი მეფეს სურს შეირთოს და უნდა დაიყოლიო ამაზეო. დედამ აცნობა ეს ამბავი თავის ქალს. ქალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა: მას უყვარდა თავისი მეზობელი, ერთი ახალგაზრდა კეთილშობილთაგან და ამ ახალგაზრდასაც ძლიერ უყვარდა ეს ქალი. დედამ კარგად იცოდა ეს, გაგზავნა მსახური და

აცნობა ვაჟს ყოველივე. ახალგაზრდა მაშინვე მივიდა
იმათთან; დედა და შვილი კარჩაკეტილში ისხდენ და
ცხარე ცრემლით სტიროდენ თავიანთ შავ ბედსა. ყმაწ-
ვილმა კაცმა დაიჩოქა მათ წინაშე და უთხრა: მე ყვე-
ლაზე მეტად ჩემი სატრფოსთვის ვწუხვარ; მეფის წყრომა
არაფრად არ მიმაჩნიაო; ერთი საშველი ღა აქვს ამ საქ-
მეს, ახლავე უნდა ვიქორწინოთ და ხვალ განვუცხადოთ

იმ თქვენ მუხთალ ნათესავს რომ ქალი უკვე გათხოვი-
ლიაო. ასე გადასწყვიტეს და ასეც მოიქცნენ. ყმაწვილი
ქალი დაამშვიდეს როგორც იყო და ჯვარი დასწერეს.
ბიძამ გაუგო ეს ეშმაკობა და აცნობა მეფეს. მეფე გან-
რისხდა და მკაცრად ბრძანა, მიეყვანათ მის კარს დედა
და ახალი ჯვარდაწერილნი; მაგრამ დაქორწინებულნი
მიიმალნენ და მთელი ერთი თვე აქა-იქ ეფარებოდენ.
ბოლოს, როცა მიაგნეს იმათ კვალს და ვეღარსადაც ვერ
დაიმალნენ, გაიქცნენ ახალციხეს, სადაც ფაშამ თავის
მფარველობის ქვეშ მიიღო დევნილნი.

ამისთანა შემთხვევებისა ეშინიათ საქართველოში და
ამიტომ ცდილობენ, ვისაც ლამაზი ქალები ჰყავთ, რაც
შეიძლება ადრე გაათხოვონ. მეტადრე ღარიბი ხალხი ად-
რე ათხოვებს ქალებს და ხანდისხან აკვანშივე ნიშნავს.
ამას იმიტომ ჩადიან, მებატონებმა არ მოსტაცონ გასა-
ყიდად. თუ ქალი, რაც უნდა პატარა იყოს, გათხოვილია,
ან დანიშნული, მებატონეები მოკრძალებით ექცევიან.
ადვილად ვეღარა ბედავენ მოაშორონ ქალი თავის ოჯახს.

კახეთის სამეფო ახლა სპარსეთის მეფეს ემორჩილება.
შაჰნავაზ-ხანმა დაიმორჩილა. მისი შვილი არჩილი არის
იქ მეფის მოადგილედ. არჩილს მაჰმადიანობა იმიტომ
მიუღია, სამეფო დავიჭიროვო. არჩილს უყვარდა იმერე-
თის მეფის ქვრივი ნესტან-დარეჯანი, ეს ქალი ტყვედ
იყო ახალციხეში. ფაშა დიდის პატივით ეპყრობოდა მას.
არჩილის მამა ძალიან ცდილობდა გაენთავისუფლებინა
ქალი, და საჩუქარს საჩუქარზე უგზავნიდა ფაშას. ფა-
შამ 1660 წელს გაანთავისუფლა ნესტან-დარეჯანი. დი-
დის ამბით მოიყვანეს იგი ტფილისში და არჩილმა ჯვა-
რი დაიწერა ნესტან-დარეჯანზე. ამ ქორწინებით არ-
ჩილმა შეიძინა კახეთის სამეფო, სადაც უკვე მეფის მო-
ადგილედ იყო: ნესტან-დარეჯანი იყო ქალი თეიმურაზ-
ხანისა და დაი ირაკლისა. არჩილს ამის გამო ერთი სა-

ყურადღებო საქმე შეემთხვა. არჩილი სიყმაწვილითვე დანიშნული იყო ქართველთა პირველ თავადიშვილის ქალზე. ქალს დიდი იმედი ჰქონდა, მალე არჩილის ცოლი შევიქნებიო: ამ ქვეყანაში ძნელად თუ დაარღვევს ვინმე ქორწინების პირობას. როდესაც გაიგო ქალმა, არჩილმა ნესტან-დარეჯანი შეირთოვო, გაუგზავნა კაცი და შეუთვალა, რად შეურაცყავ ჩემი სახელიო. ქალს სურდა სასამართლოსათვის მიემართა, მაგრამ ამ გზით ვერას გახდებოდა, რადგან მოწინააღმდეგე დიდი ხარისხისა და გავლენის პატრონი იყო. ქალმა მიმართა კიდეც სასამართლოს და რაკი მართლა ამ გზით ვერა გააწყო-რა, მიუძღვა 400 შეიარაღებულ კაცს და საომრად გამოითხოვა მოღალატე. არჩილმა უარი თქვა. ასე შემოუთვალა: არ მსურს ქალთან ბრძოლა; მართლა ნურც ეგრე გამოიდებ თავს, თორემ გავამჟღავნებ, რომ სიზი (მეფის კარის თავადი) კვეხულობდა, შენ იმას მოწყალის თვალით უყურებდიო. ქალი უფრო განრისხდა, როცა ასეთი ცილიც დასწამეს და ახლა სიზის გადაეკიდა. ქალმა გამოითხოვა სიზი ხმალში, მაგრამ თავადიშვილმა უარი თქვა, მაშინ ქალი ადგა, ჩაესაფრა იმას ერთ ალაგას, გააქცია, გამოუდგა და 20 კაცზე მეტი მოუკლა, ქალს ძმა ჰყავდა და დის მაგივრად ახლა იმან დაუწყო დევნა სიზის. მეფე და მთლად კარის კაცნი ათასნაირად ცდილობდენ შეერიგებინათ მტრად გადაკიდებულნი: ვერ მოახერხეს; მისცეს ნება იარაღით გადაეწყვიტათ დავა. საქართველოში საზოგადოდ ჩვეულებისამებრ, როდესაც სამართალი ვერ გადასწყვეტს, კეთილშობილებს შუა დავას და ვერც შეარიგებს იმათ, მაშინ ერთმანეთში ბრძოლის ნებას მისცემენ ასპარეზზე. მოწინააღმდეგენი იტყვიან აღსარებას, ეზიარებიან და ასე სასიკვდილოდ მომზადებულნი გადიან საბრძოლველად. ამას ეძახიან ღვთის სამსჯავროსადმი მიმართვას. ქართველებს ჰგონიათ, ეს

პირდაპირ ღმერთზე მინდობა ცოდვილის დასჯისა სამართლიანი საშუალება არისო. სიზი და მისი მოწინააღმდეგე გავიდენ მოდანზე. მაგრამ ჯარისკაცებმა დააშორეს ისინი, როდესაც მათ მიჰყვეს იარაღს ხელი. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილით და ჯავრით, როდესაც ნახა, მეფის ბრძანებით, მისი ძმა იძულებული შეიქნა შერიგებოდა არჩილს და სიზის.

ავსწერ ტფილისს და მერე გიამბობთ რაც იქ შემე-
მთხვა.

ტფილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია
სპარსეთისა. თუმცა ძლიერ დიდი არ არის. ტფილისი
მდებარეობს მთის ძირში, რომელსაც აღმოსავლეთისაკენ
ჩამოუდის მტკვარი. მტკვარს სათავე საქართველოს მთებ-
ში აქვს; შემახიისაკენ, პეინარდში უერთდება არეზს
(არაქსი) და მერე ეს ორი მდინარე ზღვას ერთად ერთვის.
უმეტესი ნაწილი სახლებისა, სალ კლდეზე სდგას. ქა-
ლაქი შემოზღუდულია მშვენიერი და მაგარი კედლით.
მდინარისაკენ კი უკედლოა. ქალაქი სამხრეთიდან ჩრდი-
ლოეთისაკენ არის გაწეული. სამხრეთის მხრივ აქვს დი-
დი ციხე, რომელიც მთის კალთაზე დგას. ციხე მხო-
ლოდ სპარსელები ცხოვრობენ და მეციხოვნედაც მხო-
ლოდ სპარსელებივე არიან. ციხის წინ არის სარბიელი,
რომელიც იმავე დროს მოედანიც არის და ბაზარიც. ეს
ციხე თავშესაფარ ადგილს წარმოადგენს: ყველა დამნა-
შავე და შეუძლებელი მოვალე რაკი ამ ციხეს შეეფა-
რება, უშიშარია. საქართველოს მეფემ ეს ციხე გზად
უნდა გაიაროს, როდესაც ის ჩვეულებისამებრ ქალაქ-
გარედ მიდის სპარსეთის შაჰისაგან გამოგზავნილი წე-
რილების, ან საჩუქრების მისაღებად, რადგან სპარსეთი-
დან მომსვლელს ტფილისში მხოლოდ ამ ციხით შეუძლია

შემოსვლა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, მეფე არა-
სოდეს არ გაივლის ხოლმე აქ ისე, რომ შიში არ ჰქონ-
დეს: ვაი თუ შემიპყრონო. იქნებ ციხის თავს საიდუმ-
ლო ბრძანება ჰქონდეს ჩემი შეპყრობისაო. სპარსელებს
ძალიან ჭკვიანურად დაუწესებიათ, რომ საქართველოს
მეფეები და სპარსეთის მაზრის მმართველები ქალაქგა-
რედ უნდა გავიდენ იმის მისაღებად, რასაც შაჰი უგზავ-
ნის; ეს ძალიან მოხერხებული ღონეა, რომ ადვილად და
უხიფათოდ შეიპყრონ საეჭვო კაცები. ეს ციხე აუშენე-
ბიათ ოსმალოებს 1576 წელს, ამ წელს დაუპყრიათ ქა-
ლაქი და მთლად მისი არემარე გამოჩენილი სარდლის
მუსტაფა-ფაშის წინამძღოლობით, რომელსაც ვერ გა-
მაგრებია საქართველოს მეფე სვიმონ ხანი. მუსტაფამ
ურჩია სულთან სოლიმანს, საქართველოში რამდენიმე
ციხე ააგე, რადგან უამისოდ არ შეიძლება ეს ქვეყანა
მორჩილებაში იყოლიოვო. სოლომანმა დაუჯერა ფაშას

და ციხეები ააგო. მართლაც და უმეტესი ნაწილი საქართველოს ციხეებისა ოსმალოებისაგან არის აშენებული. მუსტაფამ ასზე მეტი ზარბაზანი დააწყო ამ ციხის გალავანზე და ციხის თაობა ჩააბარა მაჰმად-ფაშას.

ტფილისში რამდენიმე ეკლესიაა, 6 მათგანი ქართველებისაა, დანარჩენი სომხებისა. დედა ეკლესია, რომელსაც სიონს უწოდებენ, სდგას მდინარის პირზე, მშვენიერი თლილი ქვით არის ნაშენი. ეს ეკლესია ძველი შენობაა და ჰგავს იმ ძველ ეკლესიებს, რომელსაც აღმოსავლეთში ხშირად შეხვდებოდით; შუა გულში ოთხი დიდი სვეტი აქვს და ამ სვეტებზე გუმბათია დამყარებული. ეკლესიას დიდი საკურთხეველი აქვს. ეკლესია შიგნით სავსეა ბერძნული მხატვრობით. მხატვრობა დიდის ხნისა არ არის. და ისე უხეიროდ არის დახატული, რომ ძნელი მისახვედრია, რის დახატვა ჰსურდა მხატვარს.



ეპისკოპოზს სასახლე იქვე ეკლესიასთან ახლო აქვს ამ სასახლეში ცხოვრობს ტფილელი. ქართველებს ერთი მშვენიერი ეკლესია ჰქონდათ ქალაქის ნაპირას, ჩრდილოეთისაკენ. ამ რამდენისამე წლის წინათ მეფემ წაართვა ეს ეკლესია და თოფის წამლის საწყობად გარდააქცია. ისიც კი უნდა ვთქვათ, ამ ეკლესიაში დიდი ხანია წირვა-ლოცვა ამოიკვეთა, რადგან მეხი დასცემოდა და დანგრეულიყო. მეფემ ხელახლა შეაკეთებინა ეკლესიის შენობა და, თუმცა სხვა დანიშნულება მიეცა, მაინც ეკლესიას ახლა ისევ წინანდელ სახელს – მეტეხის ეკლსეიას უწოდებენ. ეს სახელი წარმოსდგება სიტყვისაგან „ტეხა“ და უწოდებიათ იმიტომ, რომ ეს ეკლესია აუშენებია საქართველოს მეფეს საკანონოში, როდესაც ერთხელ უმიზეზოდ დაურღვევია ზავი მოსამზღვრე მეფესთან.

სომხების ერთი უმთავრესი ეკლესია არის ფაშავანქი, ესე იგი ფაშის მონასტერი. სომხების ტფილელი

ეპისკოპოზი ამ მონასტერში ცხოვრობს. სომხების სიტ-
ყვით ამ ეკლესიისათვის იმიტომ უწოდებიათ ასეთი სა-
ხელი, რომ ის აუშენებია ერთ ოსმალეთიდან გამოქ-
ცეულ ფაშას, რომელსაც ტფილისში ქრისტიანობა მიუ-
ღია. ტფილისში სრულებით არ არის მეჩეთი, თუმცა
ეს ქალაქი მაჰმადიანთა სახელმწიფოს ეკუთვნის და, რო-
გორც ამ ქალაქს, ისე მთელ მხარესაც მაჰმადიანთა მე-
ფე განაგებს. სპარსები ბევრსა ცდილან, ბევრჯერ კი-
დეც დაუწყიათ მეჩეთის შენობა, მაგრამ ვერ დაუსრუ-
ლებიათ. ქრისტიანები მაშინვე იარაღს ხელში იღებდენ,
არეულობას ახდენდენ, შენობას ანგრევდენ და შეურაც-
ყოფას აყენებდენ ამშენებლებს. საქართველოს მეფეებს
გულში ძლიერ უხაროდათ ხალხის ამგვარი ამბოხება.
თუმცა თავს კი ისე აჩვენებდენ, ვითომ არ მოსწონდათ
ხალხის ასეთი საქციელი. მეფეები თუმცა ქრისტიანო-

ბას გადაუდგებოდენ და მაჰმადიანობის გავრცელებას
ეხმარებოდენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ ჩადიოდენ,
რომ მეფობა მოეპოებინათ, გული კი ისევ ქრისტიანე-
ბისაკენ ჰქონდათ.

ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია. ესენი
თავგანწირულად იცავენ თავიანთ თავისუფლებას. რად-
განაც ქართველები ოსმალოებზედაც ახლო არიან, სპარ-
სელები ვერ ბედავენ სავსებით ხელი ჩაჰკიდონ ქართვე-
ლებსა და ნებას აძლევენ დაიცვან თითქმის ყველა გა-
რეგანი ნიშნებიც კი თავის რჯულისა: ყველა ეკლესიის
თავზე გაკეთებულია ჯვარი, სამრეკლოში კიდია ზარე-
ბი, ზარებს რეკავენ; ყოველთვის საქვეყნოდ და მოური-
დებლად ჰყიდიან ღორის ხორცსა და ღვინოს ქუჩებში.
სპარსელებს ჯავრი მოსდით და უნდათ აუკრძალონ,
მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გაუწყვიათ.

სპარსელებმა ამ რამდენისამე წლის წინათ ააშენეს
ერთი პატარა მეჩეთი ციხეში, იქ, სადაც ციხესა და მო-
ედანს შუა მაგარი კედელია. ეს ადგილი იმიტომ ამო-
ურჩევიათ სპარსელებს, რომ ხალხს ხშირად დაენახა და
შესჩვეოდა, როგორც მეჩეთსა ისე მოლებსაც. ქართვე-
ლებმა ვერ დაუშალეს მეჩეთის აშენება და ვერ გაბე-
დეს იარაღით ხელში შესულიყვენ ციხეში, რადგან ციხე
კარგად იყო გამაგრებული. ხოლო, როცა მოლა ავიდა
ზევით და ჩვეულებისამებრ მოუწოდა მაჰმადიანებს სა-
ლოცავად, ხალხი შეგროვდა მოედანზე, დაუშინა ქვა
მეჩეთს და მოლა იძულებული შეიქნა საჩქაროდ ძირს

მეჩეთში ჩასულიყო. ამ ამბის შემდეგ მოლა აღარ ადის მეჩეთზე.

ტფილისში რამდენიმე კარგი საჯარო შენობაა, აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიაც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით. თვი-

თონ ქალაქში აბანოები ცოტაა და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ციხეშია. ამ აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ, აგრეთვე, სნეულებიც სამკურნალოდ... დუქნებიც კარგად არის მოწყობილი, სუფთად შენახული და მაღლობზე დგას, დიდი მოედნის პირას.

მეფის სასახლე ერთ უმშვენიერეს შენობას წარმოადგენს ტფილისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელნიც მდინარეს და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან ფართოა. იქვე არის ყაუშხანები, რომლებშიაც ბევრ სხვადასხვაგვარ ფრინველებს ინახავენ. არის აშენებული, აგრეთვე, ერთი დიდი მწევარ-მეძებრების სადგომი და ისეთი მშვენიერი საქორე, უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი, ამ მოედანზე ათას ცხენამდე დაეტევა, მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარია სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან. კახეთის მეფეს ქალაქის ნაპირას, აქვს სასახლე, რომელიც, აგრეთვე, ღირს იმად, რომ კაცმა ინახულოს და დაათვალიეროს.

ტფილისის მიდამო შემკულია რამდენიმე სალხინო სახლით და მშვენიერი ბაღებით. ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტაა, მაგრამ იმისთანა ხეებით არის სავსე, რომლებიც ამშვენებენ ბაღს და ჩრდილსა და სიგრილეს ავრცელებენ.

ტფილისში არის კაპუცინების სახლი. ამ მისიონერების პრეფექტი აქ ცხოვრობს. 13 წელიწადია მას აქეთ, რაც ისინი გამოუგზავნიათ რომიდან. იმათ ექიმები დაურქმევიათ თავიანთ თავისათვის, ხალხიც ექიმებს ეძახის. ისინი კარგად მიუღიათ ყველგან, სადაც მოუნდომებიათ დაბინავება, რადგან ექიმობას და განსაკუთრებით ქიმიას ძლიერ პატივსა სცემენ მთელ აღმოსავლეთ-

ში. ისინი დაბინავებულან ჯერ ტფილისში და მერე
გორში. შაჰ-ნავაზ-ხანს უჩუქებია მათთვის სახლი ორსა-
ვე ქალაქში და ნებაც მიუცია თავიანთი სჯული თა-
ვისუფლად აღასრულონ. მათ მიურთმევიათ იმ მეფის-
თვის წერილები პაპისა და კონგრეგაციისაგან; აგრეთვე
მათივე სახელით მშვენიერი საჩუქრები. საჩუქრები მი-
ურთმევიათ აგრეთვე დედოფლისთვის, კათალიკოზის-
თვის და კარის უმთავრეს დიდებულთათვის. ერთი მი-
სიონერთაგანი, რომელიც უფრო დახელოვნებულია ექი-
მობაში მეფეს ახლავს და ცდილობს იგი მფარველად
იყოლიოს. ქართველების და სომხების სამღვდელოება
სდევნის მათ და ეს მეფის მფარველობა არის ერთად-
ერთი მათი ქომაგი. ხანდისხან როცა თავს იჩენს მათი
მეცადინეობა მიიზიდონ ხალხი თავის სჯულისაკენ, იქა-
ური სამღვდელოება ცდილობს განდევნოს ისინი; მაინც
ვერ იშორებენ მათ, რადგან საქართველოში ექიმები და
დოსტაქარნი არ მოიპოვებიან; ისინი საჭირონი არიან.
იმათ პაპისაგან ნება აქვთ დართული აიღონ სასყიდელი
ექიმობაში; ისინიც კარგად სარგებლობენ ამით და ექი-
მობით ცხოვრობენ. მათ აძლევენ ექიმობაში ღვინოს,
ფქვილს, პირუტყვს, მონებს. ხანდისხან ცხენებსაც აძ-
ლევენ. ისინი ჰყიდიან, რაც საჭირო არ არის მათთვის
და ან რაც გამოუსადეგარია. თუ ეს შემოსავალი არა,
მაშინ გაუჭირდებოდათ თავის რჩენა თავიანთი ჯამაგი-
რით, რადგან კონგრეგაცია თვითონ მისიონერს აძლევს
წელიწადში მხოლოდ თვრამეტ რომაულ ეკიუს. მისიო-
ნერებს აქვთ ნება სწირონ ყველგან და ყოველგვარ ტა-
ნისამოსში, მიუტევონ ხალხს ყოველივე ცოდვა, სხვადა-
სხვანაირად მოირთონ, იყოლიონ ცხენები, მსახურები, მო-
ნები, ივაჭრონ, ფული სარგებლით გაასესხონ და ისეს-
ხონ და სხვ. ერთისიტყვით იმათ ისეთი ვრცელი უფ-
ლება აქვთ მინიჭებული, რომ შეუძლიათ და კიდეც

ასრულებენ ყველა იმას, რის უფლებაც აქვთ მხოლოდ
ეკლესიის უმთავრეს მსახურთ. მაგრამ მისიონერებს,
თუმცა ასე მოხერხებულად მოქმედებენ ისინი და დიდ
თავისუფლებასაც აძლევენ თავიანთ სულიერ შვილებს,
მაინც ვერ დაუჩენიათ თვალსაჩინო კვალი ქართველებ-
ში, რადგანაც ქართველები ძლიერ უცოდინარნი არიან
და ერთობ მცირედაც ზრუნავენ განვითარებაზე; გარდა
ამისა ეს ხალხი დარწმუნებულია, რომ იმათებური მარ-
ხვები შეადგენენ ქრისტიანობის არსებას და კაპუცინები

არ მიაჩნიათ ქრისტიანებად, რადგან გაუგიათ, რომ ევ-
როპაში ისინი არ ინახავენ ჩვენებურ მარხვებსო.

15

10-ს კაპუცინების პრეფექტმა მეფეს აცნობა ჩემი
მოსვლა. მე თვითონ ვთხოვე ეცნობებინა, – მოსამსახუ-
რენი მყავდენ, ბარგი მქონდა, კაპუცინებთან ვიყავი ჩა-
მომხდარი და ჩემი მოსვლა მაინც არ შეიძლებოდა არ
გაეგო მეფეს, რადგან ყველაფერი დაწვრილებით იცო-
და, რაც ხდებოდა ტფილისში. იმას, რასაკვირველია,
ისიც ეცოდინებოდა, რაც სამეგრელოში გადამხდა და
რაზედაც ბევრს ლაპარაკობდენ. გარდა ამისა, მე ძა-
ლიან მოხარული ვიყავი მეფე მენახა და მეჩვენებინა
მისთვის შაჰისაგან მოცემული ქაღალდი. ეს ქაღალდი
მოწერილი იყო ყველა თემის უფროსებთან და ნაბრძა-
ნები ჰქონდათ, რომ კარგად მივეღეთ. დარწმუნებული
ვიყავი, რომ როდესაც მეფე წაიკითხავდა ამ ბრძანებას
ძალიან კარგად მიმიღებდა და კაცებსაც გამომაყოლებ-
და გზაზე და კაცების გამოყოლა კი ძალიან საჭირო იყო
ჩემთვის. როდესაც შაჰ-ნავაზს გაუგია ჩემი ვინაობა და
შეუტყვია, რომ განსვენებული შაჰისაგან ვიყავი გა-
გზავნილი თავის საქმეზე ევროპაში, პრეფექტისათვის
უბრძანებია: – უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ის ჩვენთვის

ძვირფასი სტუმარია, რომ ძალიან მიამა მისი მოსვლა
და სასიამოვნო იქნება ჩემთვის, რომ რაც შეიძლება მა-
ლე მოვიდეს ჩემს სანახავადო. მე არც შემეძლო და არც
მსურდა მაშინვე ვხლებოდი მეფეს; მინდოდა ჯერ სა-
მგზავროდ მოვმზადებულიყავ, მერე მენახა მეფე და წავ-
სულიყავ კიდეც. რომ ყოველდღე არ მევლო მეფესთან,
მე ვთხოვე მამა რაფაელს, მეფის ექიმს: – მოახსენეთ
მეფეს, რომ ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის, მისი კეთილი
გული და შეწყნარება, უსათუოდ ვეახლები როგორც კი
მოვახერხებ; ახლა კი ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ
ამ ათ დღეს ვერ ვეახლები, კარზე გამოსვლას ვერ შე-
ვიძლებ. არ ვიცი, მამა რაფაელმა არ მოახსენა ჩემი ბო-
დიში მეფეს, თუ მეფემ არ შეიწყნარა და თორმეტს
დილით შემომითვალა ერთის კეთილშობილის პირით: ამ
კვირას ყოველდღე შექცევა გვექნება სასახლეში და
გთხოვთ შენ მობრძანდეო. მე ძალიან შევკრთი და და-
ვღონდი. შევეხვეწე პრეფექტს და მამა რაფაელს, – ჩა-
აგონეთ მეფეს, რომ ჯერ ხანად არ შემიძლია ვეახლო,

მომავალ კვირამდის მაცალოს და მაშინ ვეახლები. კა-
პუცინებმა აღმითქვეს, შევასრულებთ შენს სურვილ-
საო, თუმცა კი ვერაფერი გაარიგეს. წავიდნენ სასახლე-
ში, მაგრამ მაშინვე დაბრუნდნენ და მითხრეს, – რომ
მეფეს მოუთმენლად სურს ევროპის ამბავი შეიტყოს
შენგანაო. ნამდვილად კი თურმე თვით კაპუცინებს
უნდოდათ, რომ მალე მეფის წინაშე წარვედგინეთ, რად-
გან სპარსეთის შაჰის მახლობელი ვიყავი. იმათ ეგონათ,
რაკი მე წარმადგენენ მეფის წინაშე, მეფე უფრო მეტს
პატივსა სცემდა თვით კაპუცინებსაც. კაპუცინებმა მე
და ჩემს ამხანაგს გვთხოვეს: რომელიც უფრო კარგი ტა-
ნისამოსი გაქვთ, ის ჩაიცვით და მეფესაც კარგი ძღვენი
მიართვითო. მე შევასრულე იმათი ყოველივე სურვილი,
რამდენადაც კი შემეძლო, რომ ამით გადამეხადნა მათ-

თვის ის დიდი სიკეთე, რომელიც მათგან მახსოვდა და
რომლითაც დავალებული ვიყავი.

შუადღე მოტანებული იყო, როდესაც ჩვენ სასახლე-
ში წავედით, პრეფექტი და მამა რაფაელიც წამომყვნენ.
სადილად ჩვენ გველოდენ. მეფე დარბაზში ბრძანდებო-
და. დარბაზი სიგრძით ას ათი ფუტი იყო, სიგანით ორ-
მოცი; სასახლე მტკვრის პირას იდგა და მტკვრის დარ-
ბაზი ახდილი იყო. საროთით *) ნაკვეთებს დარბაზის ჭერს
რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული
სვეტი იმაგრებდა; სვეტებს სიმაღლე 35 ფუტიდან 40
ფუტამდე ჰქონდა. მთელი დარბაზი მშვენიერი ორხოე-
ბით იყო მორთული. მეფე, დიდებულნი შემოსხდომოდენ
სამ პატარა ბუხარს, ეს ბუხრები და რამდენიმე მაყალი
ისე კარგად ათბობდენ დარბაზს, რომ კაცი სიცივეს
სრულებით ვერ გრძნობდა. მეფე შაჰ-ნავაზს მიმსვლელ-
ნი ისევე აძლევდენ სალამს, როგორც თვით შაჰს: ორ-
სამ ნაბიჯზე, რომ მოახლოვდებიან მუხლს მოუდრეკენ
და სამჯერ ზედიზედ მიწამდინ დახრიან თავს. ევროპე-
ლებს ეძნელებათ, რომ ასე მიესალმონ აღმოსავლეთის
მეფეებს. მართლაც და, რადგან ამაზე დაბლა თაყვანის-
ცემა აღარ შეიძლება, ამიტომ ასეთი თაყვანისცემა მხო-
ლოდ ღმერთს შეჰფერის. ხანდისხან ევროპელებს ათა-
ვისუფლებენ ამგვარი სალამისაგან, რადგან სხვა ქვეყ-
ნოსანი არიან და ჩვენებური ქცევა არ იციანო.

მე მეფეს სამჯერ მდაბლად დაუკარი თავი, მაგრამ
მუხლი კი არ მომიყრია. შემდეგ ორმა დიდებულმა
მთხოვა, რომ დამჯდარვიყავ, მე არ მოვინდომე კაპუ-

ცინებზე წინ დაჯდომა, თუმცა კეთილშობილნი და, აგ-
რეთვე სახლთუხუცესი, რომელიც შუა დარბაზში იდგა,

*) ძვირფასი თვალითა და აღრანებით შემკობილი და მო-
ჭედილი.

მთხოვდენ ზევით დამეჭირა ადგილი. მე სასიამოვნოდ
მიმაჩნდა თავაზიანობა გამეწია კაპუცინებისათვის და
მინდოდა, რომ ისინიც თავაზიანად მოჰქცეულიყვნენ.
პრეფექტს ძალიან მოეწონა ჩემი ქცევა. თვითონვე მოი-
სურვა და მთხოვა, ჩემი ამხანაგის წინ დაჯექიო.

ერთმა კეთილშობილთაგანმა ჩამომართვა კარებში
შაჰისაგან მოცემული ქაღალდი და მეფესთან მიტანი-
ლი ძღვენი, რომელიც ხელში მეჭირა; დააწყო ყველა
ეს ვერცხლის დიდ ტაბაკზე და, როდესაც მე სალამს ვა-
ძლევდი მეფეს, მეფის ახლო დადგა. მეფემ აიღო ბრძა-
ნება, წამოდგა ზეზე, გახსნა, მიიტანა ტუჩებთან და
შუბლთან და შემდეგ თავის ვეზირს გადასცა. ვეზირს
უნდა წაეკითხა და შეეტყობინებინა მეფისათვის ქაღალ-
დის შინაარსი. ამ ამბის შემდეგ მეფემ დიდის ყურად-
ღებითა და სიამოვნებით დაათვალიერა ძღვენი. ძღვნად
მივართვი ერთი დიდი საათი ჩუქურთმით ნაკეთები და
ვერცხლით მოვარაყებული, კოლოფით, ერთი ვერცხლ-
ში ჩასმული ბროლის სარკე, ერთი სევადის მორთული
ოქროს პატარა კოლოფი თრიაქის აბებისათვის – სპარ-
სელების უმეტესი ნაწილი დღეში რამდენჯერმე ხმა-
ტობს ამ აბებს, – ერთი ლამაზად შემკული და დიდის
ხელოვნებით გაკეთებული სადოსტაქრო იარაღების ბუ-
დე. მშვენივრად გაკეთებული და საუცხოვო დანები.

ვეზირმა ბრძანების ქაღალდი წაიკითხა და მდაბალის
ხმით გადასცა მეფეს შინაარსი. როგორც შემდეგ გავი-
გე, მეფეს და მის შვილებს უთქვამთ, რომ ასეთი პატი-
ვისცემით დაწერილი ქაღალდი არ გვინახავსო. დიდე-
ბულებს უკვირდათ, რომ ამ ქაღალდის ბრტყელი არ-
შია მშვენივრად იყო მორთული ვარაყით და მხატვრო-
ბით. მეფემ ბრძანა, რომ გადაეღოთ პირი ამ ქაღალდისა.

მე არაფერი არ ვუთხარი მეფეს, როდესაც მივესალ-
მე და არც იმას უთქვამს ერთი სიტყვა. შემდეგ სუფ-

რაზე მეფემ სუფრაჯის ხელით გამომიგზავნა ოქროს
თეფშით ნახევარი ერთი დიდი პურისა, რომელიც მის

წინ იდვა და შემომითვალა, რომ ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი აქ ყოფნაო. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ იკითხა, რა ისმის იმ ომისა, რომელიც ოსმალებსა და პოლონელებსა აქვთო. მეორე თავი საჭმელი რომ შემოიტანეს, მეფემ გამომიგზავნა თავისი სასმელი ღვინო იმ თასით, რომლითაც თვითონ მიირთმევდა.

ღვინო ოქროს სევადით მორთულ საღვინეში იყო ჩასხმული, თასიც ოქროსი იყო. გარედან ლალითა და ფირუზით მოჭედილი. ერთმა კეთილშობილთაგანმა მოგვართვა ეს ღვინო და მეფის მაგივრად გვითხრა: – მიირთვით, იმხიარულეთ, ნუ მოგიწყენიათო. შემდეგ, მესამე თავი საჭმელი, რომ შემოიტანეს, მეფე უფრო დაგვიტკბა. მოიტანეს შემწვარი, მეფემ გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეშხო, და შემოგვითვალა: თუმცა ნადირის ხორცზე ღვინო კარგია, მაგრამ მე მაინც ვუბრძანე ძალა არ დაგატანონო. მე ყველა ამგვარ თავაზიანობაზე მდაბლად ვუკრავდი თავს და არავითარ პასუხს არ ვაძლევდი. კაპუცინებიც ასევე იქცეოდენ. სპარსული ჩვეულება ასეთია: წესად არ არის მიღებული, რომ სხვაფრივ გადაუხადონ მადლობა პატივისცემისათვის.

აღარ გავაგრძელებ სიტყვას იმაზე, თუ რა წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს. მხოლოდ იმას ვიტყვი, ღვინო ბევრი სვეს, გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, სახსნილოც მოჰქონდათ და სამარხვოც, რადგან სადილზე პატრიარქი და ეპისკოპოზებიც იყვნენ, რომლებიც თავის დღეში არ ჭადმენ ხორცს. ჩვენ სადილზე სამი საათი ვისხედით და მერე ავდექით. სხვა სტუმრები ზოგნი კიდეც წასულიყვნენ შინ. მწვადი ჯერ კიდევ არ აელაგებინათ სუფრიდან. წამოსვლის

დროს დიდი მადლობა გადავუხადეთ მეფეს, იმან ერთხელ კიდევ შემომითვალა, სასიამოვნო სტუმარი ხარო, და უბრძანა გავეცილებინეთ შინ.

14-ს მეფეს გამოეგზავნა ჩემთვის ორი ღვინით სავსე საღვინე, ორი ხოხობი, ოთხი კაკაბი. კეთილშობილმა, რომელმაც მოსაკითხი მოატანინა, მითხრა: – მეფემ შემოგითვალა, ხომ არაფერი გიჭირს, კაპუცინები ხომ კარგად გართობენო; თუ ჩემი გამოგზავნილი ღვინო მოგეწონოთ, ყოველდღე წააღებინე ჩემ სარდაფიდანო. მე ვთხოვე კეთილშობილს: დაარწმუნეთ მეფე, რომ ჩემი მასპინძლები არას მაკლებენ, და ჩვენ ერთად დავლევთ

მის მიერ გამოგზავნილ ღვინოს და მას ვადღეგრძელებთ. იმ ღვინოზე უკეთესი ღვინო არ შეიძლებოდა.

16-ს მეფემ მიმიწვია თავის ქორწილში. ჯვარისწერა სასახლეშივე იყო. ხუთ საათზე წავედით მე მ. პრეფექტი და მ. რაფაელი. ჯვარის წერა თითქმის გათავებული იყო, როცა მივედით. იმ დიდ დარბაზში სწერდნენ ჯვარს, რომელშიც წინა კვირას ვისადილეთ. ძალიან მინდოდა მენახა ჯვრისწერა, მაგრამ დარბაზი ქალებით იყო სავსე და კაცებს აღარ უშვებდენ შიგ. იქ მხოლოდ მეფე, მისი ახლო ნათესავები, კათალიკოზი და ეპისკოპოზები იყვნენ.

ქართველებმა აუკრძალეს თავიანთ ქალებს კაცებთან ერთად ყოფნა მხოლოდ მას აქეთ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან. ეს წესი მხოლოდ ჯერ ქალაქებშია გავრცელებული: სოფლებში პირბადეს არ ატარებენ და ვაჟკაცებთან პირისპირ ლაპარაკობენ.

ქორწილის ზეიმი გამართული იყო სასახლის ტერასაზე, რომელიც გარშემორტყმული იყო ორი ფუტის სიმაღლე მოაჯირით. ტერასა დაფარული იყო დიდი ფარდულით, რომელიც დამყარებული იყო ხუთ სვეტზე სიმაღლით თითო ოცდა ორი ფუტი. ფარდულის ჭერი

გაკეთებული იყო ოქრო თუ ვერცხლ ნარევ ფარჩისაგან, ხავერდისაგან და ჭრელ ტილოსაგან. ისე საკვირვლად და მშვენივრად იყო შეწყობილი ეს მასალა და ფერები, რომ სეფა მაშხალების შუქზე ყვავილებიდან და ნახატებიდან შეთხზულსა ჰგავდა: სეფას შუაში იდგა დიდი აუზი წყლით სავსე. სრულებით არ ციოდა. ბევრი მაყალი იდგა და დიდი მაშხალა ანთებული ძლიერ ათბობდნენ. იატაკი მოფენილი იყო მშვენიერი ხალიჩებით. მთელი სეფა განათებული იყო ორმოცი დიდი მაშხალით. ამათში ოთხი, რომელიც მეფის მახლობლად იდგნენ, ოქროსი იყო, დანარჩენები ვერცხლისა. მაშხალები ორმოც გირვანქამდინ იქნებოდა თითო. მაშხალის ტოტებზე იდგა წმინდა ქონით სავსე ჭრაქები პატრუქებით. ამგვარი მაშხალა დიდ სინათლეს იძლევა.

სტუმრები ჩამწკრივებულები ისხდნენ. მეფე თავში იჯდა მაღალ ტახტზე, რომელსაც ბალდახინი ჰქონდა წამოხურული გუმბათივით. მისი ვაჟი და ძმები მარჯვნივ ისხდნენ; ეპისკოპოზები მარცხნივ. ახლად ჯვარდაწერილი იმათში იჯდა. მეფემ მე კაპუცინებთან მიბრძანა დაჯდომა, ეპისკოპოზების შემდეგ. ას კაცზე მე-

ტი იყო ზეიმზე. მესაკრავეები ქვევით ისხდნენ. ჩვენ რომ დავსხედით, ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა ახლად ჯვარ-დაწერილი; მას კათალიკოზი უძღოდა წინ. როცა მან დაიჭირა თავისი ადგილი, ნათესავებმა დაუწყეს მილოცვა და მიართვეს საჩუქრები. სტუმრებმაც მიულოცეს და მიართვეს პირის სანახავი. ეს ამბავი გაგრძელდა ნახევარ საათს მაინც. საჩუქრად მიართვეს ვერცხლის ჭურჭელი: დოქები, თასები. მინდოდა გამეგო დაახლოებით, რამდენი იქნებოდა პირსანახავად მირთმეული განძი. ჩემი აზრით ბევრი არ იყო, არ აღემატებოდა ორას ეკიუს.

მერე ამგვარად გაშალეს სუფრა: გადაშალეს სუფრები ყველა სტუმრების წინ სეფის სამ მხარეს. სუფ-

რები მაგიდების სიგრძისა იყო. შემდეგ მოიტანეს პური. სამნაირი პური იყო: თხელი როგორც ქაღალდი, თითის სისხო და პატარპატარა დაშაქრული პურები. ხორცი მოიტანეს ვერცხლის დიდი ლანგრებით. ვერცხლისავე ხუფები ეხურა. ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ ხმაროზენ. ლანგარი ხუფით იწონის ასე, ორმოცდა ათ ან სამოც მარკას (1/2 გირვ.). შემოჰქონდათ და ამწკრივებდენ ერთად. სხვებს მიჰქონდათ შემოტანილი ხორცი დამჭრელებთან; დასჭრიდნენ, ავსებდნენ საინებს და მიჰქონდათ სტუმრებთან მათი ღირსების მიხედვით. სამგვარი საჭმელი მოვიდა სუფრაზე, ყველა სამოცამდე ვეება ლანგრით. მოვიდა ყველა ჯურის ფლავი, ბრინჯი, ხორცთან ერთად მოხარშული. აკეთებენ სხვადასხვა ფერისას და გემოვნებისას: ყვითელ ფლავს შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით აზავებენ, წითელს ბროწეულის წვენით. თეთრი ფლავი უფრო გემრიელი და კარგი საჭმელია. ფლავი საზოგადოდ საუცხოვო რამ სანოვაგეა, აზიზი და ფრიად შემრგე.

მეორე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, მშვენიერი მომჟავოდ მოხრაკული ხორცი და სხვა ამგვარი საჭმელები. მესამე თავი შემწვარი იყო. ამ სამივე თავსაჭმელს მოსდევდნენ სამღვდელოთათვის თევზი, კვერცხი, მწვანილი, ჩვენ სახსნილოც და სამარხვოც მოგვდიოდა: საკვირველი წესიერებით და სიჩუმით მიჰქონდ-მოჰქონდათ საჭმელები. ყველა უთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვინემ ყველა ის ას ორმოც და ათი კაცი, რომელიც სეფაში იყო.

გარდა ამისა მეტად საკვირველი იყო სუფრის იარა-

ღი და ავეჯეულობა, ას ოცამდე ღვინის სასმელი ჭურ-
ჭელი იყო სუფრაზე: ბადიები, თასები, ყანწები, კუ-
ლები, თორმეტი აზარფეშა და სხვა. აზარფეშები თით-



ქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები,
ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი დასევადებული ოქროსი,
ზოგი ძვირფასი თელებით მოჭედილი, ზოგიც ვერცხლი-
სა იყო. ყანწები ძვირფასი თასებივით იყო მოოჭვილი.
ყანწები სხვადასხვა სიდიდისაა; უფრო ხშირად ყანწი
სიგრძით რვა გოჯია, სიგანით, პირში, ორი გოჯი. ყან-
წები შავებია და ძალიან სუფთად დათლილები. ხმარო-
ბენ აგრეთვე მარტორქის და ჯიხვების ყანწებს. თუმცა
საზოგადოდ საქონლის და ცხვრის რქების ყანწებს უფ-
რო აკეთებენ. ყანწის ხმარება და მისი მორთვა ყოველ-
თვის დიდად ჰყვარებიათ აღმოსავლეთში. არ ვიცი, რამ-
დენი ხანი გასტანა ნადიმმა; და ის კი ვიცი, რომ ჩვენ
შუაღამისას წამოვედით და ჯერ შემწვარი არ აელაგე-
ბინათ სუფრიდან. წინათ ყველანი ცოტას სვამდნენ;
მხოლოდ მესამე თავი საჭმელი რომ შემოვიდა, მაშინ
შეხურდნენ და საკვირვლად დაიწყეს სმა. სადღეგრძე-
ლოები ამგვარად დალიეს: ჩამოურიგეს რვა კაცს, რომ-
ლებიც უფრო ახლო ისხდნენ მეფესთან, ოთხს მარცხნივ,
ოთხს მარჯვნივ რვა თასი, ერთისა და იმავე სიდიდისა
და მოყვანილობისა და ერთნაირის ღვინით სავსე. ეს
რვანი წამოდგნენ ზეზე და ფეხზე იდგნენ, ვიდრე და-
სცლიდნენ. მემარჯვენეებმა დალიეს ერთად და გადა-
სძახეს „ალავერდი“ მემარცხენებს; მემარცხენეებმა უპა-
სუხეს – „იახშიოლ“ და დასცალეს თასები. მერე ყვე-
ლანი ისევ დასხდნენ. მერე მიართვეს ღვინო იმავე რვა

თასით მათ შემდეგ მსხდომთ და ასე ჩაჰყვნენ ბოლო-
მდინ. მერე დაიწყეს სხვა ახალი სადღეგრძელო რვა უფ-
რო დიდის თასით. ჩვეულება მოითხოვს, უფროსების სა-
დღეგრძელო დალიონ ბოლოს და უფრო დიდის თასე-
ბით. რომ უფრო დაეთროთ სტუმრები, აძალებდენ ღვი-
ნოს იმათი ხათრითა და პატივისცემითა, ვისიც სადღე-
გრძელო იყო. ამგვარად სვეს ჩემს იქ ყოფნის დროს ორი

საათის განმავლობაში და, როგორც გავიგე, გათენება-
მდინ ესვათ ასე. მე და კაპუცინები გაგვანთავისუფლეს
სმისაგან. მართლაც, მე რომ დამელია იმდენი, რამდე-
ნიც ჩემს გვერდზე მჯდომმა სვა, იქვე მოვკვდებოდი;
მაგრამ მეფემ ხათრი გაგვიწია და უბრძანა, ჩვენთვის არ
დაელევინებინათ სადღეგრძელოები. ჩვენ წინ იდგა ღვი-
ნო, წყალი და ოქროს თასი; როცა მოვითხოვდით, მა-
შინ გვასმევდნენ. როცა დაიწყებოდა სადღეგრძელო, სა-
კრავებს დაუკრავდნენ და იმღერებდენ. სიმღერა ძალიან
მოსწონდათ, აღტაცებაში მოდიოდნენ. მე კი არაფრად
მესიამოვნა და არ მომეწონა ის სიმღერები. მეფემ ძალიან
მოიმხიარულა.

20-ს, პრეფექტს და მამა რაფაელს დავაბარე, ჩემ მა-
გივრად თავმდაბლად მადლობა მოეხსენებინათ მეფისა-
თვის ჩემი შეწყნარების გამო და ეთხოვნათ, ებოძებინა
ჩემთვის კაცი, ერევნამდინ. მეფეს მოესმინა მადლობა
და შეეწყნარებინა ჩემი თხოვნა. ასე ეთქვა კაპუცინები-
სათვის: ძლიერ მიყვარს ევროპელები და მსურდა უფრო
მეტი ხანი დარჩენილიყო ტფილისში, რათა უფრო კარ-
გად გაეცნო ეს ქალაქიო. მაგრამ ვერ დავაყოვნებ, რად-
გან შაჰის ბრძანება უნდა შეასრულოს, შუეძლიან გა-
ნაგრძოს თავისი გზა. ნურაფრის შიში ნუ ექნება ჩემს
საბრძანებელში. საჭიროება არ არის მცველები იახლოს,
მაგრამ მაინც მივსცემ, თუ ჰსურს ერთ ჩემს კარის კაც-
თაგანსო. მერე კაპუცინებმა მიამბეს: მეფე ბევრს გვე-
ლაპარაკა იმაზე, რომ ძლიერ მსურს ევროპელები დაბი-
ნავდნენ საქართველოში და გვიბრძანა გითხრათ, რომ
თუ აღებ-მიცემისათვის მოვლენ ისინი, გავანთავისუფ-
ლებ ყველა გარდასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ
უპირატესობას, რასაც კი ისურვებენო. ჩემი საბრძანე-
ბელია შავ ზღვამდინ, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში,
დიდი პატივი ოსმალეთშიო; ამიტომ ევროპელები ინ-

დოეთში მისვლა-მოსვლისათვის ვერ იპოვიან ჩემ სახელ-
მწიფოზე უკეთეს გზას. გარწმუნებთ, რომ თუ ერთხელ
სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ და-
ადგებიან.

მე მოვახსენე, რომ გადაეცათ დიდი მადლობა იმ წყა-
ლობისათვის, რომელიც მან მიიღო ჩემზე და ჩვენებუ-
რებზე, მე მივაწვდი ცნობებს ჩვენ სავაჭრო დაწესებუ-
ლებებს ინდოეთში; თუ ინებებს წერილის მიწერას უსა-
თუოდ მიუტან იმ წერილს სოვდაგრებს. ამასთან ვსთხო-
ვე, რომ დიდ წყალობას მიზამდა, თუ გამომაყოლებდა
თავის კაცს, რომ გავეცილებინე, მახლობელ საბრძანებ-
ლამდისინ. შევუთვალე რომ ყველა ამის თაობაზე მო-
ხსენებას მივართმევ თითონ შაჰს და მის მინისტრებს,
როდესაც ისპაჰანში მივალ.

24-ს ტფილელი მობრძანდა ჩემს სანახავად, ტფი-
ლელმა მითხრა, მე მსურს შეგატყობინოთ ყოველივე,
რაც მეფემ მიბრძანა თქვენი წინადადების თაობაზედაო.
მეფემ მიბრძანა: – თქვენი აზრის გამო მე მინდოდა მი-
მეწერა ფრანგ სოვდაგრებისათვის საქართველოსთან
აღებ-მიცემობა ქონოდათ, მაგრამ აღარ მივწერე: მე
სპარსეთის მორჩილი ვარ და ვაითუ მისმა დიდებულებამ
იწყინოს, რომ მის დაუკითხავად უცხოელებთან მიწერ-
მოწერა გავმართო და საქმე დავიწყო. თუ ინდოელ სოვ-
დაგართა ამხანაგობა გამოგზავნის თავის რწმუნებულებს
ჩემს საბრძანებელში, ისინი აქ იაფად იშოვნიან მრავალ
საქონელს ევროპისათვის გამოსადეგს. აქ იმათ რამდე-
ნადაც კი შეიძლება კარგად მოეპყრობიანო. მე მოვა-
ხსენე ტფილელს, დაერწმუნებინა მეფე, რომ მე ძალიან
ვეცდები პირნათლად შევასრულო მისი დავალება. ეპის-
კოპოზი თხუთმეტ წუთამდინ დარჩა ჩემთან. წასვლისას
მე ვუძღვენი მას მშვენიერი მარჯნის კრიალოსანი. იქა-
ური ჩვეულება მოითხოვს, ასე გაისტუმრონ დიდკაცები.

კაპუცინები ძლიერ გახარებულნი იყვნენ, რომ ტფი-
ლელმა მე დარბაზობა გამიწია და ისიც ეამათ, როგორ
დავხვდი და გავისტუმრე მე ის. ტფილელი ჯერ არას
დროს არ ყოფილიყო იმათთან.

25-ს მეფემ გამომიგზავნა ღვინო და შემატყობინა,
რომ უკვე დაენიშნა ჩემთან წამოსაყოლად ერთი სპარსი,
განკარგულება მიეცა, მოემზადებინათ ბრძანების ქა-
ღალდი; შეგიძლიან წაბრძანდე, როდესაც გნებავთო.

26-ს მე და მამა რაფაელმა ორი საათი დავყავით ერთ ბებერ დედაკაცის სახლში. ეს მოხუცი ექიმი იყო და ათასნაირ საიდუმლო წამალს ამზადებდა. მ. რაფაელმა ჩამაწერინა ზოგი წამლობა, რომლის ქებაც კი გაეგონა.

საღამოზე ვაზირის მდივანმა მოიყვანა ჩემთან კაცი, რომელსაც უნდა მივეცილებინე ერევნამდინ. მდივანმა ჩემთან მისცა მას ბრძანების წერილი ამ საქმის შესახებ. მდივანს ერთი პისტოლი ვუთავაზე: უფლება ჰქონდა მიეღო გასამრჯელო ამგვარ საქმეში. ახლა ჩემმა გამყოლმა მითხრა, ცხენი არა მყავს, ხუთი პისტოლი უნდა მიბოძო, ცხენი ვიყიდოვო. ეს ხერხი მოიგონა გასამრჯელოს წინადვე გამოსართმევად. ალბად ეშინოდა, ერევანში რომ მივალთ, ვაი თუ ცოტა მომცესო, ან სრულებით არ მომცეს რაო. 28-ს დილის თერთმეტ საათზე, გავემგზავრე ტფილისიდან.

108

ტექსტისათვის

ქართული თარგმანი „მოგზაურობისა“ როგორც წინასიტყვაობაშიც გვქონდა აღნიშნული, შარდენის თხზულების პირველი ტომიდან არის ამოღებული და კავკასიაში მოგზაურობის აღწერის ნაწილს წარმოადგენს. „მოგზაურობის| თარგმანი ეკუთვნის განსვენებულ ვ ა ს ი ლ ბ ა რ ნ ო ვ ს და პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1886 წელს სათაურით „შარდენი საქართველოში“ (იხ. ივერია, 1886 № 125, 128, 129, 147, 115, 160, 166, 171, 1887. 205, 218, 224, 234, 272) მთარგმელს, საპატიო მიზეზების გამო, სრულიად არ უთარგმნია ის ნაწილი, რომელიც საქართველოში მოგზაურობის უშუალო შთაბეჭდილებებს გარდა სხვა მასალებსაც შეიცავს. ვ. ბარნოვის თარგმანში უპირველეს ყოვლისა არ მოიპოვება შრომა სამეგრელოზე მისიონერ ზ ა მ პ ი ს ა, რომელსაც თავისი თხზულება გადაუცია შარდენისათვის, ამ უკანასკნელის სამეგრელოში ყოფნისას. ზამპის საკმაოდ ვრცელი შრომა (შეიცავს 24 თავს) სამეგრელოს ეთნოგრაფიულ დახასიათებას წარმოადგენს და, როგორც ვთქვით, ის ბარნოვის თარგმანში არ შესულა.

წინასიტყვაობაში აგრეთვე აღნიშნული გვქონდა,

რომ შარდენი პირველად ეწვია სამეგრელოს, მაგრამ იქ ჩასვლამდე გამოჩენილ მოგზაურს აფხაზეთი გამოუვლია. ამ მხარის აღწერაც თარგმანში არ მოიპოვება. შეკვეცილია ის აბზაცებიც, რომელნიც სამეგრელოში მოგზაურობის აღწერას შეიცავენ. შემოკლებული აბზაცები უშუალოდ სამეგრელოს დახასიათებისათვის საინტერესო

ცნობებს არ იძლევიან. მათში მხოლოდ გაჭიანურებით არის მოთხრობილი მგზავრობის უმნიშვნელო წვრილმანები.

სამწუხაროდ ჩვენს საყვარელ ბელეტრისტს აღნიშნული არა აქვს თუ Voyage-ს რომელი გამოცემა დაედო საფუძვლად მის თარგმანს. ყოველ შემთხვევაში აბზაცთა თანმიმდევრობა ქართული თარგმანისა არ იცავს ამსტერდამის გამოცემის *) აბზაცთა რიგს (ამას ამჟღავნებს რუსულ გამოცემასთან შედარება, ხოლო რუსული თარგმანი**) ამსტერდამის გამოცემიდან არის დამოკიდებული).

კიდევ ერთი განსხვავება შარდენის ტექსტსა და ქართულს თარგმანს შორის:

მოგზაურობის ერთ ალაგას, სადაც შარდენი აღწერს შაჰნავაზის სასახლეში პირველად მოსვლას, აღნიშნულია, რომ მეფემ მიიღო საჩუქრები და დაინტერესდა მოგზაურის ვიზის შინაარსით, რომელიც სპარსეთის შაჰს შარდენისათვის მიეცა. სახლთ უხუცესმა გააცნო შაჰნავაზს ვიზის შინაარსი, რომელიც შარდენს თავის მოგზაურობაში ვრცლად მოჰყავს, მაგრამ ქართულ თარგმანში ის სავსებით გამოტოვებულია. ეს ხარვეზი თხრობის ძაფს სრულიად არ წყვეტს. მსგავსი შემოკლებანი „მოგზაურობა“-ს მეტს მთლიანობას აძლევს.

---

*) Voyages de Monsieur le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l' Orient. Tome premier, contenant le voyage de Paris à. Ispahan, capitale de I'empire de Perse. ამსტერდამი, (1711).

**) Путешествие Шардена по Закавказью в 1672 – 1673 г.г. Перевод Е. В. бахутовой и Д. П. Косовича.